# არსენალი

ვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №3 (8), არტი. 2005. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
13/2
1425/2
2005



ოგორ
ორს
შენებთ?

რუსი დივერსანტების საეციარალის ქართული ფესვები

„ბაბეტა მიდის ჯარში" კახურად
ანუ „ოქრობიჭის" სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა

ეგენდარული
ატიუშას"
იამომავალი
М-21 "ГРАД"

გახმაურებული პოლიტიკური მკვლელობები

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ბაბეტა მიდის ჯარში" კახურად ანუ „თქვენი მოგებული ომის ...!"
17



CZ-G 2000 — შეიძლება ქართული ჯარის შეიარაღებაში მოხვდარიყო
54



„ნისანს" შვილობილი „მოესწრო" Infiniti FX45
50

რუსი დივერსანტების სპეციარაღის ქართველი მწარმოებელი
10





რა, სად, როდის, რამდენი, როგორ, რატომ უნდა დალიოთ!
41



ინგლისური სეტერი — სამეფო ძაღლი თუ მინდვრის დედოფალი
30

# სარჩევი


**პერსპექტივა**

4 ამერიკა კვლავაც ზრუნავს ქართული ჯარის გაძლიერებაზე

4 რატომ ტოვებენ სამხედრო ნაწილებს ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამით მომზადებული ჯარისკაცები?

**ახალი ამბები**

6 მოკლე ინფორმაციები

**ცვლილებები**

8 როგორ ჯარს ვაშენებთ?

**ქართველი კონსტრუქტორები**

10 რუსი დივერსანტების სპეციარაღის ქართველი მწარმოებელი

12 სამხედრო ლექსიკონი

**კონსულტაცია**

13 კვალიფიციური რჩევები

**სპეცსამსახურები**

14 პოლიტიკური მკვლელობების უკან სპეცსამსახურები დგანან

**რეზერვისტები**

17 „ბაბუტა მიდის ჯარში" კახურად

**ნადირობის მოყვარულთათვის**

20 ძაღლით ნადირობას სულ სხვა ხიბლი აქვს

21 რჩევა-დარიგებანი მონადირეებს

22 უნიკალური კომპანიის უნიკალური იარაღი

25 სატყუარა, ანუ რა უყვარს თევზს

**იარაღი**

26 ლეგენდარული „კატიუშას" შთამომავალი БМ-21 „Град"

**კომპანიონი**

30 ინგლისური სეტერი – სამეფო ძაღლი, თუ მინდვრის დედოფალი

**ცხოვრების წესი**

34 წმინდა ბრიტანული განათლება

**საქართველოს ისტორია**

37 ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

**ცეცხლოვანი სითხე**

43 რა, სად, როდის, რამდენი, როგორ, რატომ უნდა დალიოთ!

43 ღვინოშია ჭეშმარიტება

**კროსვორდი**

47 არსენალკროსვორდი

**გადარჩენის სკოლა**

48 ელიტური მებრძოლი

48 კოცონის დანთების რამდენიმე ხერხი

49 შაშხანიდან სროლის შესახებ

**სუპერმობილი**

50 „ნისანს" შვილობილი „მოესწრო"

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 ავტომატური „სტეჩკინი" – ვისთვის „სამარიაჟო", ვისთვის საბრძოლო


## რედაქტორის სვეტი

ჩვენო ძვირფასო მკითხველო, ალბათ შეამჩნევდით, რომ „არსენალი" სულ უფრო კრიტიკული ხდება ქართული სამხედრო სტრუქტურების ხელმძღვანელობის მიმართ. გვერწმუნეთ, ეს ბოროტებითა და ღვარძლით კი არ მოგვდის, უბრალოდ, კვლავაც „მოყვარეს ვუძრახით..." სამწუხაროდ, ბევრს არ უყვარს კრიტიკა და მხოლოდ საკუთარი მოსაზრება ჰგონია ჭეშმარიტი. არადა, ბევრი ჭკვიანი ადამიანის ნაფიქრალი და ნათქვამი რჩება უბრალო ხმად სამხედრო სტრუქტურების „უდაბნოსა შინა". „ჯარი და საზოგადოება უნდა დავაახლოოთო" – შარშან ეს დევიზი გვქონდა, ახლა ვგონებ შეიცვალა... ღმერთმა ქნას ვცდებოდეთ.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ჟორჟოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება


რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com


ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკა კვლავაც ზრუნავს ქართული ჯარის გაძლიერებაზე

**ამერიკელთა ინიციატივით, გრძელვადიანი დახმარების პროგრამის მიხედვით, პირველი აპრილიდან სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა განხორციელდება. ამ პროგრამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს აპარატის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის ჯგუფის უფროსი ოფიცერი გიორგი კაკიაშვილი გვესაუბრება.**



— **რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაში მონაწილეობის მსურველი?**

– პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ 35 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომელთაც სამხედრო სავალდებულო სამსახური აქვთ გავლილი.

— **ანაზღაურება როგორი ექნებათ?**

– ანაზღაურება დაახლოებით 400 ლარიდან დაიწყება. მარტის თვე მთლიანად დაეთმობა მსურველთა შერჩევას. შერჩევა მოხდება სხვადასხვა ტესტის საფუძველზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება ფიზიკურ მონაცემებს. შეირჩევა რეკრუტთა გარკვეული რაოდენობა, რომელიც დააკმაყოფილებს ჩვენი ტესტების მოთხოვნებს და შემდეგ ისინი 2-3-თვიან სწავლებას გაივლიან. პროგრამის გავლის შემდეგ გაუფორმდებათ ხელშეკრულება და ჩაირიცხებიან საკონტრაქტო სამსახურში. ყველაზე დაბალი წოდება იქნება – კაპრალი, რომელსაც ხელფასი დაახლოებით 400 ლარი ექნება, ხოლო ათმეთაურები, ოცმეთაურები და სხვები კიდევ უფრო მეტს მიიღებენ.

— **როგორც ცნობილია, სამედიცინო მომსახურებაც უფასო ექნებათ.**

– დიახ. უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამედიცინო მომსახურებით, კვებით. მათი ეკიპირება თანამედროვე აღჭურვილობით მოხდება. ვინც გამორჩეული იქნება (ალბათ რამდენიმე პიროვნება), შემდეგ სამხედრო განათლებას უფრო მაღალ დონეზე მიიღებს. რეკრუტებს სურვილისამებრ შეეძლებათ უცხოენის შესწავლა. მონაწილეობას მიიღებენ საზღვარგარეთ სამშვიდობო ოპერაციებში. ეს ისეთივე პირობებით მოხდება, როგორითაც ახლა არიან ჩვენები წასული ერაყში, კოსოვოში და სხვაგან. რა თქმა უნდა, მომზადდებიან ფიზიკურად და ექნებათ სოციალურად სამართლებრივი დაცვის გარანტია, რაც კანონმდებლობით სამხედრო მოსამსახურის შესახებაა გათვალისწინებული. მომზადება მოხდება ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში".

**ლევან ებრალიძე**

# რატომ ტოვებენ სამხედრო ნაწილებს ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამით მომზადებული ჯარისკაცები?

რამდენიმე დღეა, 11 სექტემბრის ტერაქტის მსხვერპლთა პოლიგონზე, რომელსაც ხალხში ამერიკელების ბაზასაც ეძახიან, „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციის ფარგლებში" ახალი ქართულ-ამერიკული სამხედრო პროგრამა ამოქმედდა. ამ პროგრამაში მსურველთა მოსაზიდად საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ საკმაოდ ძვირად ღირებული პიარ-კამპანია წამოიწყო ესტრადის ვარსკვლავების, ცნობილი ჟურნალისტებისა და მსახიობების მონაწილეობით. მაგრამ პარალელურად ცნობილი ხდება, რომ სამხედრო სამსახურს ვადამდე ადრე ტოვებს სულ უფრო მეტი პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც ორი წლის წინ საკმაოდ ძვირად ღირებული ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა გაიარეს.

კონტრაქტის დამრღვევ პროფესიონალ ჯარისკაცთა რაოდენობა დღეისათვის 50-ს აღემატება, ხოლო სამხედრო უწყება, რომელიც ამ ფაქტებს დიდხანს ასაიდუმლოებდა, ჯერჯერობით ვერ ახერხებს პროფესიონალი კადრების დენადობის შემცირებას. ორი წლის წინ, როდესაც ამერიკის მთავრობის დახმარებით 64 მილიონ დოლარად შეფასებული „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამა იწყებოდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ პროფესიულ ქვედანაყოფშიც გამოჩნდებოდნენ ვადაზე ადრე სამხედრო სამსახურიდან წასვლის მსურველები. ხალხმა მალე შეიყვარა ლამაზ ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი, კარგად გაწვრთნილი და მაღალანაზღაურებადი ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც რესპუბლიკის მოედანზე საჯაროდ დებდნენ ერთგულების ფიცს ქვეყნისა და ერის წინაშე. ისინი ხომ ხალხის თვალში ახალი ტიპის – მოტივირებულ და საიმედო არმიას განასახიერებდნენ.

„ცრემლიც კი მომდის, სიხარულის ცრემლი, მათ რომ ვუყურებ. ჩვენი სამხედროები ისეთები არიან, რომ იმედი გამიჩნდა". ცრემლებს ვერ მალავდა ჩემთან საუბარში 2002 წლის 15 დეკემბერს ერთ-ერთი ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ძალიან ცუდი პრეცედენტია, როდესაც მაღალანაზღაურებადი სამხედრო ელიტურ ნაწილს ტოვებს, მით უფრო, თუ იქ საკუთარი ნებით მოხვდა და მისთვის არც ხელფასი დაუგვიანებიათ, პირიქით, ბევრი ადრე საოცნებო პირობაც შეუქმნეს და საკმაოდ დიდი თანხები და დრო დაუთმეს მის მომზადებას. ამ თემაზე ერთი ანეკდოტი შეიძლება გავიხსენოთ ომში წასულ მოხალისეზე, პირველივე გასროლის მერე ბრძოლის ხალისი რომ დაკარგა და „ნიჩურტა“ გააკეთა. ალბათ, აქ სასაცილო აღარაფერია, იმიტომ, რომ ანეკდოტი რეალობად გვექცა. ვფიქრობთ, ახალი პროგრამის მესვეურებს დაფიქრება სჭირდებათ, გვინდა კი ქუჩიდან ექსპრომტად მოგროვებული ხალხი, ვინც შეიძლება ხვალ ზურგი გვაქციოს და შინ, დედიკოსთან წავიდეს? თუ ხვალვე წავა, კიდევ არა უშავს, ღმერთმა ნუ ქნას და შუა ბრძოლაში რომ გადანასკვოს თითები და „ნიჩურტა“ მაქვსო, თქვას?..**




ბატონი, ვინც ქართველ „კომანდოსთა“ პირველ საზეიმო გამოშვებას თვალს ადევნებდა.

მოქალაქეების ასეთი დამოკიდებულება პროფესიონალი ქართველი ჯარისკაცების მიმართ, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში ცხინვალის კონფლიქტის გარდა, საბრძოლო ნათლობა შორეულ ავღანეთსა და ერაყშიც მიიღეს, შეიძლება ითქვას, რომ არ შეცვლილა. მაგრამ ცვლილება მოხდა თავად პროფესიული ქვედანაყოფის მებრძოლთა ფსიქოლოგიასა და მოტივაციაში. როგორც თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალეიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მათ წარმოებაში მიღებული აქვთ საქმეები ათობით პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეზე, რომლებმაც სამხედრო უწყებასთან კონტრაქტი ვადაზე ადრე, ცალმხრივი წესით გაწყვიტეს.

მამუკა კიკალეიშვილი: „საქმეების 90 პროცენტში გამოკვეთილია სამხედრო მოსამსახურეთა მიერ პირადი განცხადების საფუძველზე დათხოვნის თხოვნა. პირადი განცხადება კი მძიმე ოჯახურ მდგომარეობას ეფუძნება“.

როგორც ირკვევა, ასეთ დროს, ანუ მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, სამხედრო პირს არანაირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, იგი მხოლოდ ფულად ჯარიმას იხდის. უფრო ზუსტად, პირმა ბოლო სამი თვის განმავლობაში მიღებული ანაზღაურება სახელმწიფოს უკან უნდა დაუბრუნოს. მაგრამ რას ნიშნავს მძიმე ოჯახური მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში და რატომ აღმოჩნდა, რომ ორმოცდაათივე პროფესიონალმა სამხედრო მოსამსახურემ კონტრაქტი ერთი და იმავე მიზეზით დაარღვია? მით უფრო, რომ თითოეული მათგანი თვეში 400 ლარამდე ხელფასს იღებდა და წინასწარვე ჰქონდა გაცნობიერებული სამხედრო სამსახურის სირთულე. ვინაიდან კონტრაქტის დარღვევის მასობრივი შემთხვევები, ძირითადად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა, სამხედრო მოსამსახურეთა უფლებათა დამცველი ირაკლი სესიაშვილი ფიქრობს, რომ მძიმე ოჯახური მდგომარეობა, შესაძლოა, მხოლოდ საბაბი იყოს.

ირაკლი სესიაშვილი: „მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, ისაა, რომ სამხედრო მოსამსახურეები ვერ ხედავენ სამხედრო მმართველობის განვითარებას. ამის გამო ისინი, ფაქტობრივად, გაურკვევლობასა და გაუგებრობაში არიან. მათ არ მოსწონთ დღევანდელი ხელისუფლების მმართველობა, რის გამოც ფიქრობენ, რომ ჯობია, თავის დროზე დატოვონ სამხედრო სამსახური და სხვა საქმით დაკავდნენ“.

თავდაცვის სამინისტროს მმართველობაში მიმდინარე დაუსრულებელი საკადრო ცვლილებებით ყველაფრის ახსნა ნაკლებად პოპულარული ვერსიაა. თავად სამხედროებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ ბევრმა პროფესიონალმა სამხედრომ მძიმე ოჯახური მდგომარეობა, როგორც იურიდიული საბუთი, მოიშველია იმისთვის, რომ დაემალა მძიმე ფსიქოლოგიური შოკი, რაც მათ ერაყსა და ცხინვალის კონფლიქტის ზონაში საბრძოლო დავალების შესრულების დროს მიიღეს. ამის შესახებ საკუთარი მოსაზრება, ოღონდ ანონიმურობის დაცვის გარანტიით, რადიო „თავისუფლებას“ ერთ-ერთი პროფესიული ქვედანაყოფის ყოფილმა მეთაურმა გაუზიარა.

„ჯი-ტე-პი“-ს (ქართულ-ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) ძალიან სერიოზული რეკლამა გაუკეთდა, ამერიკული ინსტრუქტორები, ჩაცმა, დახურვა. ბიჭებმა ლურჯი ბერეტები მოირგეს, მაგრამ საქმეში რომ მოხვდნენ, ზოგიერთს ცოტა გაუჭირდა და მერე ისე მოხდა, რომ „ოჯახურ მდგომარეობას“ დააბრალეს.

აღსანიშნავია, რომ წელიწად-ნახევრის წინ მძიმე ოჯახური მდგომარეობის მოტივით სამხედრო ნაწილიდან წასულ ერთ-ერთ კაპრალს წინა ხელისუფლებამ სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე საჩვენებელი სასამართლო მოუწყო და თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული მისია ერაყში და არც საბრძოლო შეტაკება ყოფილა ცხინვალის მისადგომებთან, როდესაც ორ კვირაში ორი ათეული ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

შესაძლოა, სწორედ ამ გარემოებას, კერძოდ, კონფლიქტგამოვლილთა მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უწევდა ანგარიშს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა, რომელიც დიდხანს საიდუმლოდ ინახავდა პროფესიონალი სამხედროების მხრიდან სამხედრო სამსახურზე უარის თქმის ფაქტს. მეტიც, სამხედრო უწყებაში არც იმას გამორიცხავენ, რომ ზოგიერთ კონტრაქტის დამრღვევ სამხედროს, მათი სურვილის შემთხვევაში საშუალება მიეცეს ხელახლა სცადოს ბედი ახალ ამერიკულ-ქართულ სამხედრო პროგრამაში.

„თუ მათი საქმეების შესწავლის შემთხვევაში გაირკვევა, რომ არა აქვთ ჩადენილი დისციპლინარული ხასიათის დანაშაული და კონტრაქტის გაწყვეტა მართლაც მძიმე ოჯახური მდგომარეობის გამო მოხდა, შეგვიძლია მათ ასეთი შესაძლებლობა მივცეთ“, — აცხადებს მამუკა კიკალეიშვილი. ოღონდ, ამჯერად უკვე კონტრაქტის პირობა მკაცრი იქნება და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პროფესიონალ სამხედრო მოსამსახურეს, სასამართლოს ძალით, სრულად მოუწევს მის შენახვაზე დახარჯული თანხის უკან დაბრუნება“.

**კობა ლიკლიკაძე,**
**„რადიო თავისუფლება“**
**სპეციალურად**
**„არსენალისთვის“**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბრიტანელი სპეცრაზმელები ხელფასს დახარბდნენ

ინგლისის არმიის ერთ-ერთი ელიტური პოლკის ჯარისკაცებმა ცდუნებას ვერ გაუძლეს და სამხედრო სამსახურის მაღალანაზღაურებად დაცვის სამსახურზე გადაცვლა გადაწყვიტეს. ამით შეშფოთებულმა პოლკის ხელმძღვანელობამ სპეცრაზმელებს ღია წერილით მიმართა. გაზეთ Telegraph-ის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, ოფიციალური წერილი ახსენებდა ჯარისკაცებს მოვალეობას, რომელიც საზოგადოების ინტერესების სამსახურში მდგომარეობს, მოუწოდებდა ნაწილის ერთგულებას.

„ასეთი პრობლემა ხშირად იჩენს ხოლმე თავს. ახალგაზრდები თითქმის არასოდეს მიდიან, მთელი ენთუზიაზმითა და ენერგიით მსახურობენ. წასვლის სურვილი ყველაზე მეტად ვეტერანებს უჩნდებათ. ხელმძღვანელობაც სწორედ ამას სწუხს. თუკი ძველი, გამოცდილი კადრები არ ეყოლებათ, პოლკის მომავალს შესაძლოა სერიოზული პროლემები შეექმნას.

უკანასკნელ პერიოდში SAS-ის დაახლოების 120-მა სპეცრაზმელმა განაცხადა უარი უშიშროების სამსახურის კოორდინატორად ერაყსა და ავღანეთში გამგზავრებაზე და მასთან ერთად 14000 ფუნტი სტერლინგი თვეში 2000 ფუნტზე გადაცვალა. სანაცვლოდ კი დაცვის სამსახურის სახით უსაფრთხო და მსუბუქი სამუშაო შეიძინა.

ვეტერანების მიერ სამსახურის დატოვების მიზეზი, როგორც ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, SAS-ის მებრძოლის მეტად მძიმე ცხოვრების წესია.

ამ ადამიანებს მუდამ შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა უხდებათ, რის გამოც მეტია დაძაბულობა და სტრესი. ეს კი ხელს უშლის ადამიანის ნორმალურ ყოფასა და ოჯახურ ცხოვრებას. დაცვის სამსახური კი, გარდა იმისა, რომ მაღალანაზღაურებადია, პრიორიტეტული იმითაცაა, რომ შედარებით მსუბუქ გრაფიკს სთავაზობს თავის თანამშრომლებს.

# უკრაინა ჯარს ამცირებს

უკრაინის პრეზიდენტი, წლის ბოლომდე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის 270.000-დან 200.000-მდე შემცირებას აპირებს. იუშჩენკოს აზრით, უკრაინის არმია თანამედროვე სამხედრო მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს და ამავე დროს სახელმწიფოს ბიუჯეტს არ უნდა ამძიმებდეს. მისი სიტყვით, 2010 წლისათვის შეიარაღებული ძალები მხოლოდ კონტრაქტის საფუძველზე დაკომპლექტდება. სახელმწიფოს პირველი პირი ამ სფეროში კიდევ მრავალ ცვლილებას გეგმავს. იგი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ თავდაცვის სამინისტრო გააძლიერებს ბრძოლას კორუფციის, თანამდებობრივი უფლებების გადამეტებისა და სახელმწიფო ქონების განიავების წინააღმდეგ. „ამის ჩამდენნი პასუხს აგებენ თავიანთ საქციელზე“ — თქვა იუშენკომ და დაამატა, რომ ჯარისკაცები აღარ იმუშავებენ ზოგიერთ სამხედრო პირთა ბინათმშენებლობებსა და აგარაკებზე.

იუშჩენკომ თავდაცვის სამინისტროს უკრაინული სამხედრო კონტიგენტის ერაყიდან უახლოეს მომავალში გამოყვანა ნომერ პირველ ამოცანად დაუსახა. ამასთანავე პრეზიდენტი ხაზს უსვამს, რომ კონტიგენტის გამოყვანისას დაცული უნდა იქნას ის პრინციპები, წესი და გრაფიკი, რომელიც შეთანხმებულია ერაყის კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილე ყველა მხარესთან.

სამშვიდობო მისია ერაყში უკრაინამ 2003 წლის 28 აგვისტოს დაიწყო. ახლა პროვინცია ვასიტში, რომელიც ბაღდადიდან 120-140 კმ-ს დაშორებით მდებარეობს, დაახლოებით 1600 უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეა დისლოცირებული. სულ ერაყში 18 უკრაინელი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა და რამდენიმე ათეული დაიჭრა.




# ამურისპირეთში ტანკებს ჯართში აბარებენ

ჩიტელმა მესაზღვრეებმა რუსეთ-ჩინეთის საზღვართან ბოროტმოქმედთა ჯგუფი დააკავა, ისინი საცეცხლე პოზიციებზე, სანგრებში ჩამარხულ ტანკებს ნაწილებად შლიდნენ და ჯართის მიმღებ პუნქტებში აბარებდნენ. ჩიტის საზღვრის დაცვის სამმართველოს პრესსამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ დაკავებისას ბოროტმოქმედებს მანქანა უკვე დატვირთული ჰქონდათ ტანკის ლულებით. მისი განცხადებით, აღნიშნული სამხედრო ტექნიკა ადრე საბრძოლო მდგომარეობაში იმყოფებოდა და მათი დაცვაც ხერხდებოდა, თუმცა უკანასკნელ წლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ტექნიკა ჩამოწერილი იყო, უბრალოდ რამდენიმე თვით მიავიწყდათ(?!). ამიტომ მეჯართეების წინააღმდეგ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმე ქურდობისა და სამხედო ტექნიკის განადგურების ბრალდებით აღიძრას.

# ოკინავას მოსახლეობა კომპენსაციას მიიღებს



იაპონიის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამერიკულ სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული თვითმფრინავების ხმაურისაგან გამოწვეული ზიანის გამო კუნძულ ოკინავას ათასი მოსახლე ხელისუფლებისაგან კომპენსაციის სახით 2,8 მილიარდ იენს (26,7 მლნ. დოლარი) მიიღებს. საავიაციო ტურბინებისაგან გამოწვეული ხმაურის თაობაზე დაწერილ სარჩელების ისტორიაში კომპენსაციის ეს თანხა ყველაზე დიდია. ამავე დროს, ოკინავის ადმინისტრაციულმა ცენტრმა არ დააკმაყოფილა კუნძულზე აშშ-ის ყველაზე დიდი სამხედრო ბაზის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებთა სარჩელი. ხუთი ათასზე მეტმა ადამიანმა ზიანის ანაზღაურება 1972 წლიდან, ამერიკელების მიერ იაპონიის ოკუპაციის ოფიციალურად დასრულების პერიოდიდან მოითხოვა. საკომპენსაციო თანხად კი 16 მილიარდი იენი დაასახელა (151,6 მილიონი დოლარი). დღესდღეობით იაპონია-ამერიკის შეთანხმების თანახმად, იაპონიაში დაახლოებით 58 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე იმყოფება, რომელთა ორი მესამედი ოკინავაზეა განლაგებული.



# ისრაელი Merkava-ს პრივატიზაციას აპირებს

ისრაელის ხელისუფლებამ ქვეყნის თავდაცვითი ტექნიკის წამყვანი მწარმოებელი ფირმის პრივატიზაცია გადაწყვიტა. ამის შესახებ ისრაელის ფინანსთა მინისტრმა ბენიამინ ნეითანიაჰუმ და თავდაცვის მინისტრმა მოფაზმა განაცხადეს. მათი სიტყვით IMI-ი 2006 წლის დასაწყისში უნდა გაიყიდოს. სავარაუდოა, რომ პრივატიზაციის შედეგად, გაიყიდება რაკეტების მწარმოებელი ქარხნები ALTAM და GIVON,რომელთა ყიდვასაც სახელმწიფო კომპანია Rafael Armament Development Authority აპირებს.

პრივატიზაციას დაექვემდებარება IMI-ის მსუბუქი და მძიმე შეიარაღების მწარმოებელი ქარხანა, ასევე Slavin-I, სადაც იწარმოება Merkava და თურქეთის შეიარაღებულ ძალთა შეკვეთით ახლაც მიმდინარეობს სამუშაოები ამერიკული ტანკის Patton-ის მოდერნიზაცაზე. ამ საწარმოს მფლობელიც სახელმწიფო კომპანია იქნება.

IMI-ის სხვა საწარმოებს კი კომერციული სტრუქტურები შეიძენენ. სხვათაშორის, პრივატიზაციაში მონაწილეობის მიღების საშუალება უცხოელ ინვესტორებსაც ექნებათ, მაგრამ რა თქმა უნდა ისინი ვერ დაეუფლებიან კორპორაციის საკონტროლო პაკეტს. როგორც მინისტრი აცხადებს, სტრუქტურული ცვლილებები, რომლებსაც პრივატიზაციის პროცესი გამოიწვევს, სახელმწიფოს 80 მილიონი დოლარი დაზოგვის საშუალებას მისცემს.

# ამერიკულ ჯარში მანქანა-რობოტი იმსახურებს

რობოტმშენებლობის ნაციონალურმა კონსორციუმმა NNREC-მა და კომპანია Unaited Defense Industries-მა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცის სამინისტროსთან 26,4 მილიონ დოლარიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯგუფმა საზღვაო ქვეითების კორპუსისთვის ავტომატური საბრძოლო მანქანა-რობოტი (tactical unmanned ground vehicles (TUGV) უნდა დააპროექტოს. აშშ-ის სახელმწიფო პროგრამის თანახმად, 2015 წლისათვის საბრძოლო ტექნიკის მესამედი ნაწილი ამ მანქანა-რობოტებისაგან უნდა შედგებოდეს. NNREC-ის მეცნიერები 2002 წლიდან ატარებენ სამუშაოებს. ახლახან წარმატებით დაასრულეს პროტოტიპების შექმნის პროექტი, გამოსცადეს შემუშავებული ტექნოლოგია და შექმნილი სისტემის შესაძლებლობების საცდელი ჩვენება ჩაატარეს, რომელსაც Gladiator TUGV უწოდეს. Gladiator-ი ნახევრად ავტომატური დისტანციურად მართავდი მანქანაა და საომარი მოქმედებების დროს მსხვერპლის შემცირების მიზნითაა შემუშავებული. პირველ ხანებში 200 ცალს გამოუშვებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ჯარს ვაშენებთ?



## საკადრო ცვლილებები ყოველთვის რეფორმებს არ ნიშნავს

**აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი, საქართველოს ახალი სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი და გენშტაბის აწ უკვე ყოფილი უფროსი ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე**

თებერვალში საკადრო ცვლილებების რიცხვით გენშტაბი თავდაცვის სამინისტროს დაეწია, ანუ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამი თავდაცვის მინისტრი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამი უფროსი შეიცვალა.

სულ რაღაც ერთ წელში ასეთი საპასუხისმგებლო თანამდებობის პირების ასეთი ხშირი ცვლილება ვერანაირად ვერ აისახება დადებითად ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობის გაზრდაზე, თუნდაც იმიტომ, რომ თითოეულ ახალ თავდაცვის მინისტრსა და გენშტაბის უფროსს თავისი გუნდი მოჰყავდა. ამიტომაც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დაუმთავრებელი საკადრო ცვლილებები თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის სხვადასხვა დონეებზე. ყოველ ახალ დანიშნულს კი არანაკლებ ორი-სამი თვე მაინც სჭირდება, რომ ცოტათი მაინც გაერკვეს ახალი სამუშაოს ავან-ჩავანში და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ადრე თავდაცვის სამინისტროსა თუ გენშტაბში უმსახურია. თუკი ახალი კადრი პოლიციიდან ან სულაც ქუჩიდან მოჰყავთ, მაშინ საქმე ბევრად უფრო სერიოზულადაა. თუნდაც იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროსა და, მით უმეტეს, გენერალური შტაბის სპეციფიკა ძალიან განსხვავებული და ამასთან, რთულია.

9 თებერვალს ახალმა თავდაცვის მინისტრმა სულ რამდენიმეწუთიან თათბირზე კატეგორიული ტონით მოითხოვა გენშტაბის ხელმძღვანელობისგან და ჯარების სხვადასხვა სახეობის სარდლებისგან პატაკების დაწერა თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ერთი კვირის შემდეგ, 18 თებერვალს ევროპიდან დაბრუნებულმა თავდაცვის მინისტრმა თანამდებობიდან გაათავისუფლა გენშტაბის ის მაღალჩინოსნები, რომლებიც ეტყობა, მის ნდობას არ იმსახურებდნენ. პირველ რიგში კი, გენშტაბის უფროსი, ბრიგადის გენერალი ვახტანგ კაპანაძე. იმის გამო, რომ სამოქალაქო თავდაცვის მინისტრს არა აქვს უფლება, თავად მოხსნას გენშტაბის უფროსი, მან ამის თაობაზე თხოვნით მიმართა პრეზიდენტს, შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს და თანხმობაც მიიღო.

ის, რომ ბრიგადის გენერალ კაპანაძეს თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი არ სწყალობდა, თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ იგი გენშტაბის უფროსს ერთი თვის განმავლობაში არ იღებდა და გენშტაბთან პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილის მეშვეობით ურთიერთობდა. ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, გენშტაბის ახალ უფროსად პრეზიდენტმა პოლკოვნიკი ნიკოლეიშვილი დანიშნა.

თანამდებობები დაატოვებინეს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალს, ბრიგადის გენერალს ამირან სალუქვაძეს, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალს, მეორე რანგის კაპიტანს ზაზა ერქვანიას და გენშტაბის ლოგისტიკის მართვის ცენტრის სარდალს, პოლკოვნიკს მამუკა ლომსაძეს.

ეს გადაწყვეტილება ძალზე ბევრ კითხვას ბადებს, კერძოდ კი, ძალიან უცნაურია, რომ თანამდებობიდან ხსნიან პროფესიონალ და ამასთანავე ახალგაზრდა კადრის ოფიცრებს – ზემოხსენებული სარდლების წლოვანება 35-40 წელს აღწევდა, აქედან 18-21 წელი ჯერ საბჭოთა და შემდგომში კი ქართულ არმიაში სამსახურს შეალიეს.

სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლად დაინიშნა პოლკოვნიკი ბესო მაისურაძე, მანამდე იგი საშვეულმფრენო ესკადრილიის მეთაური გახლდათ. სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი გახდა პირველი რანგის კაპიტანი ლევან ბაქრაძე, ხოლო ლოგისტიკის მართვის ცენტრისა – პოლიციის მაიორი ივანე ბერაძე. თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა მალხაზ მაისურაძე, რომელმაც მანამდე თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტზეც წაიმუშავა ორიოდე კვირა, მაგრამ თავად მისმა პროტეჟემ თავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა მოხსნა, სავარაუდოდ, იმ სკანდალის შემდეგ, რაც ყოფილი თავდაცვის მინიტრის გიორგი ბარამიძის გუნდის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებებს მოჰყვა.

ახალი წლის შემდეგ მთავარი სამხედრო უწყების გარშემო მუდმივად სკანდალები გორდება – ჯერ იყო, იანვრის პირველსავე დღეებში ისე „წაეკიდნენ“ ახალი და ძველი თავდაცვის მინისტრები, რომ მათი დაშოშმინება თავად პრეზიდენტს მოუწია. მორიგი სკანდალი თავდაცვის სამინისტროს ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულმა რეფორმამ და საპატრულო პოლიციამ კი გაამართლა, მაგრამ ანალოგიური, „საპატრულო ჯარის“ შექმნა ვერ უნდა იყოს კარგი იდეა. რეზერვისტების ნაკლებეფექტური ბატალიონების მომზადებაში იმდენი ფული იხარჯება, რომ საკმაოდ მოზრდილ, პროფესიონალებით დაკომპლექტებულ სამხედრო შენაერთს საუკეთესოდ გავწვრთნიდით და აღვჭურვავდით...**

ხელმძღვანელობის იმ გადაწყვეტილებას მოჰყვა, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად გააუქმეს კადეტთა კორპუსი და სამასამდე სამშობლოს მომავალი დამცველი ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა.

ცალკე პრობლემად იქცა იმ რამდენიმე ასეული ოფიცრისა და ზემდეგის გაურკვეველი ბედი, რომლებიც შინაგანი ჯარების თავდაცვის სამინისტროში შერწყმის შემდეგ აღარც ახალ თანამდებობაზე დანიშნეს და არც კადრების განკარგულებაში აიყვანეს.

უკვე გამოჩნდა საშიში სიმპტომები, რომ მთავარი სამხედრო უწყება ნელ-ნელა შეუვალ ციხესიმაგრედ შეიძლება იქცეს მასმედიისთვის. არადა, საზოგადოებისგან და, მით უმეტეს, პრესისგან იზოლირება თავდაცვის სამინისტროს კარგს არაფერს უქადის, რადგან შეიძლება ჩატყდეს იმ სუსტი ხიდი, რითაც პრეზიდენტი სააკაშვილი არმიისა და საზოგადოების დაკავშირებას ცდილობს.

ძნელი სათქმელია, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს რეზერვისტთა მომზადების პროგრამა. მართალია, უკვე მეცამეტე ბატალიონია გამოშვებული, მაგრამ დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რამდენად ეფექტურად იმოქმედებენ ისინი მომავალში. შეიძლება პიარკამპანიებისთვის ხელისუფლებას აწყობდეს, რეზერვისტთა რაც შეიძლება მეტი ბატალიონი მომზადდეს, მაგრამ სტატიის ავტორის აზრით, მთავარი მაინც ხარისხია და არა რაოდენობა. ძალზე საინტერესოა, რამდენი რეზერვისტი მივა დანიშნულების ადგილზე, როდესაც ამ ბატალიონების პირად შემადგენლობას განგაშით გამოიძახებენ.

ამასთან, იმ პროგრამით, რითაც დღეს რეზერვისტები მზადდებიან, ძნელად თუ გამოდგებიან უშუალოდ საბრძოლო სიტუაციებში, თუმცა ისიც ძალიან კარგი იქნება, რომ ქვეყანას სტიქიური უბედურებების დროს, ომის პერიოდში კი ზურგში სტრატეგიული ობიექტების დასაცავად ან ტყვეთა ბადრაგისთვის გამოადგენ.

მაგრამ არმიას სჭირდება სხვა სახის, კერძოდ, სხვადასხვა სპეციალობით მომზადებული რეზერვისტები, რომლებიც მზად იქნებიან კრიტიკულ მომენტში შეცვალონ მწყობრიდან გამოსული ტანკებისა თუ ჯავშანმანქანების ეკიპაჟები, გათვლები ჰაუბიცებისთვის და ა.შ. დღესდღეობით, მომზადებული რეზერვისტების ასე სპეციალობით გამოყენება ძალიან გართულებულია.

ზემოხსენებული პრობლემების პარალელურად გრძელდება მნიშვნელოვანი რაოდენობის საბრძოლო ტექნიკის, საჭურველისა და ტყვია-წამლის საზღვარგარეთ შესყიდვა და საქართველოში შემოტანა. მაგრამ აქამდე ჩამოთვლილი და სხვა პრობლემების გამო ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობა დღეისთვის, სამწუხაროდ, კვლავ დაბალ დონეზე რჩება, რასაც გარკვეულწილად იმანაც შეუწყო ხელი, რომ შინაგანი ჯარების დაშლის შემდეგ 5 ათასზე მეტი ჯარისკაცი თავდაცვის სამინიტროს ხელმძღვანელობამ უბრალოდ სახლში გაუშვა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს 3-7 თვე თუ ჰქონდა ნამსახურები, არადა, მათი გაწვრთნისთვის არც ისე მცირე თანხა დაიხარჯა.

ჯარში დღეს მხოლოდ 2004 წლის საშემოდგომო გაწვევის ჯარისკაცები და სერჟანტები მსახურობენ. მათი დემობილიზაცია ა.წ. შემოდგომაზე უნდა განხორციელდეს, მაგრამ მათი ერთდროულად დემობილიზაცია კატასტროფას გამოიწვევს, რადგან არა მარტო საბრძოლო მომზადების პროცესი ჩაიშლება, საბრძოლო მასალების საწყობების დაცვასაც ვერ შევძლებთ. ამიტომაც, სანამ მათ სახლში გაუშვებენ შემოდგომაზე, ჯერ საჭირო რაოდენობით ახალწვეულები უნდა მიიღონ და მათ არანაკლებ ერთი თვე მაინც უნდა ასწავლონ იარაღის მოხმარების ელემენტარული წესები. ეს კი ნიშნავს, რომ არანაკლებ ერთი თვე ორმაგი რაოდენობის ჯარისკაცის გამოკვება მოუწევს ქვეყანას, რაც ზედმეტ ხარჯად დააწვება არა მარტო სამხედრო ბიუჯეტს.

„არსენალის“ მუდმივი მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენი წამყვანი სტატიები ნომრიდან ნომერში უფრო და უფრო კრიტიკული ხდება, რასაც, როგორც თავად ხედავთ, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს.

***ირაკლი ალადაშვილი***

**წლის დასაწყისიდან ოქრუაშვილმა ბევრი არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა. შეიძლება ეს სამომავლო მიზნებით გამართლებული იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ქმედებების მიმდევრობაში ლოგიკა ნაკლებად იგრძნობა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსი დივერსანტების სპეციარაღის ქართველი მწარმოებელი

## პატარა საქართველოს შვილები ხშირად ემსახურებოდნენ დიდი იმპერიების სამხედრო ძლიერების სრულყოფას...

თუკი ცნობილი ავიაკონსტრუქტორი ქართველი (ქართველიშვილი) ამერიკელებს საბჭოთა კავშირის დასაბომბად ზებგერით F-105 „ტანდერჩიფ"-ებს (ტაქტიკური ბირთვული იარაღის მატარებელი პირველი ამერიკული თვითმფრინავი) უმზადებდა, მეორე ქართველი, გორში დაბადებული, ყველასთვის გასაიდუმლოებული ალექსანდრე ნადირაძე თავისი წითელვარსკვლავიანი „პიონერებით" (საშუალო სიშორის მოქმედების ბირთვული მობილური სარაკეტო სისტემა РСД-10 ანუ NATO-ს კლასიფიკაციით – SS-20), ახლო აღმოსავლეთზე რომ არაფერი ვთქვათ, შიშის ზარს სცემდა მთელ დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ჩინეთს.

ქართველი სამხედრო კონსტრუქტორების ამ ღირსეულ პლეადას ამშვენებს კიდევ ერთი, საიდუმლო რეჟიმის გამო ბოლო დრომდე ფართო მასებისთვის ნაკლებად ცნობილი ქობულეთელი მეცნიერი, ალექსანდრე ვალერიანის ძე ხინიკაძე.

მას წელს, 17 მაისს, 64 წელი შეუსრულდებოდა. სამწუხაროდ, 2000 წლის



წყალქვეშა ავტომატი АПС და მისი 5.66 მმ კალიბრის ვაზნები

12 მარტს ძალზე საეჭვო გარემოებაში გარდაიცვალა კაცი, რომელსაც 1992 წლიდან რუსეთის ფედერაციის ზუსტი მანქანათმშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორის პოსტი ეკავა. იგი ექიმებისა და სახელმწიფოსაგან უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. ალექსანდრე ხინიკაძე 8 დღე იწვა ქ. კლიმოვსკის საავადმყოფოში. ამ ხნის მანძილზე გაუმწვავდა დაავადება (კუჭიდან სისხლდენა) და დაიღუპა.

ალექსანდრე ხინიკაძემ ფაქტობრივად, გაკოტრებას გადაარჩინა თავისი ინსტიტუტი, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სანქციებმაც შეავიწროვა.

ყოველივე ამას გარკვეული საფუძვლები ჰქონდა, რადგან ბოლო ათწლეულში ხინიკაძის ხელმძღვანელობით ინსტიტუტმა საბჭოთა და შემდგომ რუსული წარმოების ბევრი ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნა შეიმუშავა , სწორედ აქ სრულყვეს კალაშნიკოვის ავტომატი და სხვ.

„კვირის პალიტრაში" არაერთხელ დაგვიწერია თანამედროვე, რუსული სპეციალური დანიშნულების იარაღზე – წყალქვეშა ავტომატ АПС-სა და პისტოლეტზე СПП-1, უხმაურო სნაიპერულ შაშხანაზე ВСС და ასევე უჩუმარ უმაყუჩო პისტოლეტზე ПСС, მძლავრ პისტოლეტზე „Гюрза" და მცირეგაბარიტიან ავტომატზე „Вихрь", თანამედროვე ტყვიამფრქვევზე „Печенег" და მათთვის განკუთვნილ სპეციალურ ვაზნებზე СП-4, СП-5, СП-6.




წყალქვეშა პისტოლეტი СПП-1 4,5 მმ კალიბრის სპეციალურ ტყვიებს ისვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი, ბოლო სიმართლე — ყველა ეს საიარაღო კომპლექსი, რომელიც ძირითადად რუსეთის სპეცსამსახურების (ФСБ, СВР, ГРУ) შეიარაღებაშია და აქტიურად გამოიყენება ჩეჩნეთში, სწორედ ჩვენი თანამემამულის, ალექსანდრე ხინიკაძის უშუალო თაოსნობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა და დაიხვეწა.

90-იანი წლების დასაწყისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ერთ-ერთი თანამდებობის პირი დასავლეთ ევროპაში გაიგზავნა უშიშროების სამსახურისთვის სპეციალური იარაღის ჩამოსატანად. იარაღის საგამოფენო სტენდთან მას მოულოდნელად ქართული ჩალაპარაკება გაუგონია. როდესაც ერთმანეთს გამოეცნაურნენ, გაირკვა, რომ ეს წარმოსადეგი კაცი ქართველი იყო, ქობულეთიდან.

ეტყობა, ამ შეხვედრამაც დააჩქარა ალექსანდრე ხინიკაძის სამშობლოში სტუმრობა. 1994 წლის იანვარში იგი ოფიციალურად შეხვდა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს (შევარდნაძეს ქართველმა კონსტრუქტორმა მშვენიერი ორლულიანი სანადირო თოფი აჩუქა) და ასლან აბაშიძეს. დაისახა ერთობლივი გეგმები, რომლებიც გარდა წმინდა სამოქალაქო დანიშნულებისა, საქართველოში თავდაცვითი სახეობის პროდუქციის წარმოების აწყობასაც ეხება. თუმცა, როგორც ხშირად ხდება, ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. შეიძლება აქ გარკვეული უარყოფითი როლი თავად ინსტიტუტის მძიმე ფინანსურმა მდგომარეობამ და ამერიკელების სანქციებმაც ითამაშა (ვაშინგტონი თავის ფირმებს — უკრძალავს სანქციადადებულ რუსულ საწარმოებთან თანამშრომლობას), მაგრამ არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ამას ოფიციალური თბილის-ბათუმის მრავალწლიანმა კატა-თაგვობანას თამაშმაც დაატყო კვალი.

სპეციალისტების აზრით კი, ხინიკაძის ინსტიტუტი არა მარტო საუკეთესო ხარისხის იარაღს, არამედ ვაზნებსაც აპროექტებდა და უშვებდა. არადა, ჩვენს სიტუაციაში საჭიროა, საქართველომ თავად აწარმოოს სხვადასხვა კალიბრის ვაზნა, რათა გამუდმებით ამ სახარჯი მასალის შესყიდვაზე არ იყოს დამოკიდებული.

სამწუხაროდ, ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ ვერ შეძლო, გამოეყენებინა თავისი ღვიძლი შვილის მრავალწლიანი გამოცდილება, ცოდნა და რეალური შესაძლებლობანი, რომლებიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას უნდა მოხმარებოდა.

ალექსანდრე ხინიკაძის ინსტიტუტში შექმნილმა იარაღმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა. სხვადასხვა ქვეყნის ექსპერტებში განსაკუთრებულ გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევს ის წყალქვეშა პისტოლეტი და ავტომატი, რომლებითაც ალექსანდრე ხინიკაძის ხელქვეითებმა საბჭოთა წყალქვეშა დივერსანტები შეაიარაღეს.

საზღვაო პორტების, ხომალდებისა თუ წყალზედა ნავთობსაბურღავების მომრავლების პარალელურად უფრო აქტუალური ხდება მათი დაცვა წყალქვეშა დივერსანტებისგან.

მიუხედავად ეკონომიკური გაჭირვებისა, დღევანდელ საქართველოს მაინც მოეპოვება რამდენიმე სტრატეგიული მნიშვნელობის საზღვაო ობიექტი შავი ზღვის სანაპიროზე. უპირველესად ეს არის ბათუმისა და ფოთის პორტები, სუფსის ნავთობტერმინალი, ფოთის სამხედრო პორტი და სხვა (სხვაში — აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე საზღვაო ობიექტი იგულისხმება, რომლებიც, იმედია, ადრე თუ გვიან, ერთიანი საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებას მოემსახურებიან).

ტერორისტებს შეუძლიათ ღამით პორტის აკვატორიაში გადმოსხდნენ, წყალქვეშ მიცურდნენ პორტში მდგარ გემებამდე და მათ კორპუსს მაგნიტური ნაღმები მიაკრან. არანაკლებ საშიშია სუფსის ნავთობტერმინალის იმ წყალქვეშა საქაჩი მილის დაზიანება, რომელიც ღია ზღვაში 3 კმ-ის სიღრმეში გადის.

„წყალქვეშა ტერორიზმის“ პრობლემები, რაც შეიძლება საქართველოს ახლა დაემუქროს, დიდი ხანია აწუხებს განვითარებულ ქვეყნებს. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს სახელი გაითქვეს მუსოლინის იტალიელმა წყალქვეშა დივერსანტებმა, რომლებმაც მოკავშირეების არაერთი სამხედრო და სატვირთო ხომალდი ჩაძირეს. არანაკლებ პროფესიონალი წყალქვეშა მცურავები ჰყავდათ ინგლისელებს. მათი ცნობილი სპეციალისტი უგზო-უკვლოდ მაშინ დაიკარგა, როდესაც წყალქვეშ იმ საბჭოთა გემს ათვალიერებდა, რომლითაც დიდ ბრიტანეთს ნიკიტა ხრუშჩოვი ესტუმრა. როგორც ამბობენ, გემის კაპიტანმა იმ დროს აამუშავა წყალქვეშა ხრახნები, როდესაც ინგლისელი მცურავი მათ დეტალურად სწავლობდაო. ამ უკანასკნელისგან, ბუნებრივია, ნაფლეთებიღა დარჩებოდა, ხოლო ბრძანება,



**ალექსანდრე ხინიკაძე (მარჯვნივ) მიხაილ კალაშნიკოვთან ერთად**

ძრავების ჩართვის შესახებ, გემის კაპიტანს საბჭოთა კონტრმზვერავებმა მისცეს, რომლებიც ხრუშჩოვის უსაფრთხოებას იცავდნენ.

რა თქმა უნდა, წყალქვეშა დივერსანტის გაუვნებელყოფა ყოველთვის გემის ხრახნების ამოქმედებით შეუძლებელია. საჭიროა წყალქვეშა ბრძოლის იარაღი. თავდაპირველად წყალქვეშ საბრძოლველად დანას და ჰარპუნს იყენებდნენ, მაგრამ თუკი დანას არა უშავს რომელიმე მტაცებელი თევზის მოსაგერიებლად, წყალქვეშ ანტიდივერსიული ბრძოლისთვის იგი ნაკლებად გამოდგება. ჰარპუნის სწრაფ სროლაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, — სანამ მას მეორედ დატენი, ბრძოლას წააგებ.

წყალქვეშა მებრძოლებს ეფექტური და სწრაფმსროლი იარაღი სჭირდებოდათ. ჩვეულებრივი ცეცხლსასროლი იარაღი წყალქვეშ არ გამოდგებოდა, რადგან წყლის სიმკვრივე ჰაერისას 800-ჯერ აღემატება. ამის გამო ჩვეულებრივი პისტოლეტით ან ავტომატით წყალქვეშ სროლისას მკვეთრად იზრდება დენთის აირის წნევა ლულასა და იარაღის სხვა დეტალებზე, რასაც შეიძლება კონსტრუქციის დაშლა მოჰყვეს (განსაკუთრებით ავტომატური ჯერის გაშვებისას). გარდა ამისა, ჩვეულებრივი მოკლე ტყვია წყალქვეშ სულ რამდენიმე მეტრს თუ გადის — იგი თავისი ფორმის გამო დიდ წინააღმდეგობას აწყდება წყალში და კარგავს მიმართულებას.

მეტ-ნაკლებად გამოსადეგი წყალქვეშა იარაღი 1969 წელს ამერიკელმა ირვინ ბარმა შექმნა. მისი ექვსლულიანი არაავტომატური რევოლვერი ნემსისებურ ტყვიას ისროდა. ნემსს ლულიდან ერთგვარი დგუში აგდებდა, გასროლის შემდეგ კეტავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

**მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.**

Ветер встречный – პირქარი
Ветер попутный – ზურგის ქარი
Взвести курок – შეაყენე ჩახმახი
Взвод1 – ჩახმახის ფეხი
Взвод2 – ოცეული
Взлётно-посадочный – ასაფრენ-დასაჯდომი
Взрыв затяжной – დაყოვნებული აფეთქება
Взриватель акустический – აკუსტიკური ამფეთქი
Взрывник – პირქარამფეთქებელი
Взрывпакет – ფეთქებადი პაკეტი
Взрывчатка – ასაფეთქებელი ნივთიერება
Взыскание – სასჯელი
Взять в плен – დატყვევება
Взять на мушку – ნიშანში ამოღება
Вид – სახეობა, სახე
Винт – ხრახნი, ჭანჭიკი
Винтовочный – შაშხანისა
Винтокрылый – ფრთახრახნილი
Винтомоторный – ხრახნილძრავიანი
Вираж – ვირაჟი, კამარა
Виток1 – ხვეულა
Виток2 – ერთი შემოვლა
Вкладныш – სადები
Влажность – ტენიანობა
Вместимость – ტევადობა
Внезапность – მოულოდნელობა
Внеочередной – რიგგარეშე
Внесрочный – ვადაგარეშე
Водолаз – მყვინთავი
Военопленный – სამხედრო ტყვე
Вождение – გაძღოლა
Возгараемость – ანთებადობა
Воинство – მხედრობა
Волна взрывная – აფეთქების ტალღა

და ლულის ბოლოს და დენთის აირებს წყალში არ უშვებდა. ანუ მსროლელის დემასკირება – აირის ბუშტულების გამოყოფა წყალში – არ ხდებოდა. თუმცა მისი ეფექტური გამოყენება ჰაერზე გაძნელებული იყო. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, ეს წყალქვეშა რევოლვერი ბელგიელი „კომანდოსის“ შეიარაღებაშია.

გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა ხანებში მეორე ამერიკელმა კონსტრუქტორმა ჩენლი ლამბერტმა შექმნა „წყალქვეშა რეაქტიული იარაღი“. 12 უძრავ ლულაში რეაქტიული ტყვია-ნემსები იყო მოთავსებული. მისი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ გასროლისას მყვინთავი უკუდარტყმას არ გრძნობდა, თუმცა რეაქტიული ტყვია-ნემსი წყალში მოძრაობისას ჰაერის ბუშტულებს უხვად გამოყოფდა და კარგად მიანიშნებდა მსროლელის პოზიციას.

1971 წელს გერმანელებმა შექმნეს წყალქვეშა პისტოლეტი BVW-2. ეს ნახევრად ავტომატური იარაღი ჰიდროდინამიკური სტაბილიზაციის მქონე ოთხ რეაქტიულ ტყვიას ისროდა, რომლებიც რამდენიმე ლულაში იყო განთავსებული.

„ჰეკლერ და კოჰის“ ცნობილი საიარაღო ფირმის მიერ წარმოებული წყალქვეშა სროლის P-11 ტიპის პისტოლეტები რამდენიმე ქვეყნის საზღვაო დივერსიული დანაყოფების შეიარაღებაშია მიღებული. ესპანური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Star Z-84 გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიქმნა და წყალქვეშ ჩვეულებრივ „პარაბელუმის“ 9 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის, თუმცა სპეციალისტების თქმით, სროლის მანძილი წყალქვეშ 5 მ-ს არ აღემატება.

წყალქვეშა ბრძოლის იარაღის შექმნაში საბჭოთა სპეცსამსახურებმა ტოლი არავის დაუდეს. ეს გასაგებიცაა – საბჭოთა ГРУ-ს სპეციალური სადივერსიო დანაყოფები საკმაოდ გააჩნდა როგორც წყნარი ოკეანის, ისე ჩრდილოეთისა თუ შავი ზღვის ფლოტებში. მათ შესაიარაღებლად სწორედ ალექსანდრე ხინიკაძის ინსტიტუტში შეიქმნა წყალქვეშა სროლის პისტოლეტი СПП-1 და ავტომატი АПС.

პისტოლეტი СПП-1 წყალქვეშა დივერსანტების პირადი იარაღია. იგი 4,5 მმ კალიბრის სპეციალურ, წაგრძელებულ ტყვიებს ისვრის. 5 მ სიღრმეში გასროლისას ეს ტყვია მომაკვდინებელ ძალას 17 მ-ის მანძილზე ინარჩუნებს, ხოლო 20 მ-ის სიღრმეში კი მხოლოდ ათ მეტრზე. ისე, სიმართლე რომ ითქვას, უფრო შორ მანძილზე წყალქვეშ მსროლელი მაინც ვერაფერს დაინახავს. პისტოლეტს ოთხი ლულა აქვს. მისი წონა 1 კგ-ს არ აღემატება, სიგრძე კი 25 სმ-მდეა. თავად ტყვიის სიგრძე კი 11 სმ-ზე მეტია.

წყალქვეშა ავტომატი АПС 5,66 მმ კალიბრის 12 სმ სიგრძის ტყვიებს ისვრის. მის მჭიდში 26 ვაზნა ეტევა. ავტომატის წონა 2,5 კგ-მდეა. სიგრძე კი 26 სმ. მისი ტყვია მომაკვდინებელ ძალას წყალქვეშ 30 მ-ის მანძილზე ინარჩუნებს. სროლის კორექტირებისთვის ტრასირებადი ტყვიებიც გამოიყენება. თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ წყალქვეშ СПП-1-ისა და АПС-ის სროლის ეფექტური მანძილი 10 მ-ს არ აღემატება, ხოლო ჰაერში – 15 მ-ს.

მაგრამ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, წყალქვეშა იარაღი ხმელეთზე, ღია სივრცეში სროლისას არაეფექტური ხდება. თუკი ჩვეულებრივი ტყვია ნაკლებად გამოდგება წყალქვეშ სასროლად, სპეციალური, წაგრძელებული, ნემსის ფორმის წყალქვეშა ტყვია ჰაერში სროლისას სწრაფად კარგავს ფრენის სტაბილიზაციას. არადა, წყლიდან მოულოდნელად ამოყვინთულ დივერსანტს შეიძლება პორტისა თუ გემის დამცველი შეიარაღებული მებრძოლების გაუვნებელყოფა დასჭირდეს. ამიტომაც მას სჭირდება ისეთი იარაღი, რომელიც ერთნაირად ეფექტური იქნება როგორც წყალქვეშ, ისე ჰაერში სროლისას.

ცოტა ხნის წინ ტულაში კონსტრუქტორებმა რუსული მოკლელულიანი АКС-74У-ს ბაზაზე შექმნეს ამფიბია-ავტომატი. იგი ორი ტიპის ტყვიებს ისვრის. წყალქვეშ მას 5,66 მმ კალიბრის ვაზნებიანი მჭიდი უყენდება (წყალქვეშა АПС ავტომატისგან), ამოყვინთვისას კი მჭიდს „კალაშნიკოვის“ ავტომატის ჩვეულებრივი მჭიდით ცვლის, რომელშიც 5,45 მმ კალიბრის 30 ვაზნა დევს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შედის სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელთა განკარგულებაში სამხედრო მეზღვაურების, სანაპირო დაცვისა და საზღვაო ქვეითთა გარდა, შტატით მებრძოლი მცურავებიც ითვლებიან. მათი სათანადო დონეზე მომზადებასა და სპეცტექნიკით აღჭურვაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ.

თავდაპირველად ამ საქმეში იტალიელები უნდა დაგვხმარებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ეს ვერ განხორციელდა. მოგვიანებით ოთხი მებრძოლი მყვინთავი თურქებმა მოგვიმზადეს, მაგრამ მათ აკლიათ სათანადო აღჭურვილობა და პირველ რიგში, წყალქვეშა საბრძოლო იარაღი.

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. ვეცდებით, შემოგთავაზოთ ერთი თემატიკით გაერთიანებული შეკითხვები.

კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. რა პრინციპით განისაზღვრება თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს კატეგორიები?**

— თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო და დანამატები განისაზღვრება თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

**გთავაზობთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთათვის დადგენილ თანამდებობრივსა და წოდებრივ სარგოებსა და დანამატებს:**

| | შესაბამისი თანამდებობის წოდებრივი ზღვარი (სამხედრო წოდება) | კოდი | თანამდებობრივი სარგო | | | წოდებრივი სარგო | დამანამატი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | | ა | ბ |
| 1 | არმიის გენერალი | G-5 | 420 | | | 100 | 1050 | 420 |
| 2 | გენერალ-ლეიტენანტი, ადმირალი | G-4 | 390 | 370 | 331 | 90 | 970 | 390 |
| 3 | გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი | G-3 | 380 | 361 | 323 | 80 | 920 | 370 |
| 4 | გენერალ-მაიორი, ვიცე-ადმირალი | G-2 | 370 | 351 | 314 | 80 | 870 | 350 |
| 5 | ბრიგადის გენერალი, კონტრადმირალი | G-1 | 350 | 332 | 297 | 70 | 820 | 320 |
| 6 | პოლკოვნიკი, I რანგის კაპიტანი | O-9 | 300 | 285 | 255 | 60 | 700 | 260 |
| 7 | პოლკოვნიკი, I რანგის კაპიტანი | O-8 | 280 | 266 | 238 | 60 | 610 | 215 |
| 8 | ვიცე-პოლკოვნიკი, II რანგის კაპიტანი | O-7 | 250 | 237 | 212 | 50 | 590 | 205 |
| 9 | ვიცე-პოლკოვნიკი, II რანგის კაპიტანი | O-6 | 230 | 218 | 195 | 50 | 540 | 180 |
| 10 | მაიორი, III რანგის კაპიტანი | O-5 | 210 | 199 | 178 | 40 | 415 | 125 |
| 11 | კაპიტანი, კაპიტან-ლეიტენანტი | O-4 | 180 | 171 | 153 | 30 | 410 | 115 |
| 12 | უფროსი ლეიტენანტი | O-3 | 170 | 161 | 144 | 25 | 405 | 113 |
| 13 | ლეიტენანტი | O-2 | 160 | 152 | 136 | 20 | 400 | 110 |
| 14 | უმცროსი ლეიტენანტი | O-1 | 150 | 142 | 135 | 15 | 395 | 108 |
| 15 | სერჟანტ-ლეიტენანტი, მიჩმან-ლეიტენანტი | S-9 | 135 | 135 | 135 | 10 | 390 | 105 |
| 16 | მთავარი სერჟანტი, მთავარი მიჩმანი | S-8 | 130 | 130 | 130 | 9 | 385 | 103 |
| 17 | ბრიგადის სერჟანტი | S-7 | 127 | 127 | 127 | 8 | 380 | 100 |
| 18 | ბატალიონის სერჟანტი (შტაბის სერჟანტი), ხომალდის მიჩმანი (შტაბის მიჩმანი) | S-6 | 125 | 125 | 125 | 7 | 370 | 95 |
| 19 | მასტერ სერჟანტი, მასტერ მიჩმანი | S-5 | 123 | 123 | 123 | 6 | 360 | 90 |
| 20 | უფროსი სერჟანტი, უფროსი მიჩმანი | S-4 | 121 | 121 | 121 | 5 | 350 | 85 |
| 21 | სერჟანტი, მიჩმანი | S-3 | 119 | 119 | 119 | 4 | 340 | 80 |
| 22 | უმცროსი სერჟანტი, უმცროსი მიჩმანი | S-2 | 117 | 117 | 117 | 3 | 335 | 78 |
| 23 | კაპრალი (სპეციალისტი), საზღვაო კაპრალი (სპეციალისტი) | S-1 | 115 | 115 | 115 | 2 | 330 | 75 |

**2. რა ხნის განმავლობაში შეიძლება იმყოფებოდეს სამხედრო მოსამსახურე კადრების განკარგულებაში და უნარჩუნდება თუ არა სამხედრო მოსამსახურეს კადრების განკარგულებაში ყოფნის მთელ პერიოდში ხელფასი?**

— კადრების განკარგულებაში გადაყვანა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს, ამ პერიოდში სამხედრო მოსამსახურეს უნარჩუნდება ფულადი სარგოები ბოლო დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, წელთა ნამსახურების პროცენტული დანამატისა და სასურსათო ულუფის სანაცვლოდ დაწესებული ფულადი კომპენსაცია არა უმეტეს ორი თვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური მკვლელობების უკან სპეცსამსახურები დგანან

*საქართველოს პრემიერმინისტრის გარდაცვალება უკვე მომხდარი, სამწუხარო ფაქტია. ბედისწერის შემობრუნება არავის ძალუძს. განვლილმა პერიოდმა ოდნავ ჩააცხრო ემოციები. დადინჯებულზე ლოგიკური მსჯელობაც უკვე შედარებით იოლია. რა კლასიფიკაცია მიეცემა ამ ფაქტს — ტრაგიკული შემთხვევა თუ წინასწარ განზრახული მკვლელობა, ამას გამოძიება დაადგენს. ჩვენთვის კი საინტერესოა, თეორიულად რამდენადაა შესაძლებელი ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის ან პოლიტიკური პარტიის ლიდერის ლიკვიდაცია სპეცსამსახურების „მონდომებით“ და არის თუ არა ისტორიაში მსგავსი შემთხვევები.*

პოლიტიკური მკვლელობების „მდიდარი“ გამოცდილებაა დაგროვილი მსოფლიოს ყველა სერიოზულ სპეცსამსახურში. 1950-იანი წლების ბოლოს დადებული ვითომდა ჯენტლმენური შეთანხმება „აღმოსავლეთისა“ („კგბ“ და „გრუ“) და „დასავლეთის“ (ცსს, გფბ, მი5, მი6) სპეცსამსახურებს შორის „თავდაუსხმელობის“ (ანუ ერთმანეთის თანამშრომლების ლიკვიდაციისგან თავშეკავების) შესახებ მხოლოდ თავის მოტყუება და თვალთმაქცობა იყო.

სპეცსამსახურები პოლიტიკურ მკვლელობებსა და დაუნდობელ ურთიერთანგარიშსწორებას კვლავ აგრძელებდნენ.

სპეციალური აქციები — ასე ნიღბავდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები პოლიტიკური ოპონენტების, მოღალატეების ან თუნდაც უკვე „ძალზე“ ბევრის მცოდნე საკუთარი თანამშრომლების ლიკვიდაციას. ეს პროცესი მათთვის ისეთივე ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოვლენა იყო, როგორც მზის ამოსვლაა დილით. არ ჰქონდა მნიშვნელობა ომი იყო, თუ მშვიდობა (ან როდის ყოფილა საბჭოთა კავშირში მშვიდობა, ის ხომ შინ და გარეთ ყოველთვის მტრებს ეძებდა, პოულობდა და ანადგურებდა), სპეცოპერაციები მაინც სრულდებოდა. სიმართლე რომ ითქვას, საბჭოთა სპეცსამსახურები ისე „დაოსტატდნენ“ ადამიანების ლიკვიდაციის საქმეში, რომ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა თითქმის ყოველთვის „თვითმკვლელობას“, „გაგუდვას“ ან „გულის შეტევით გარდაცვალებას“ აფიქსირებდა.

დღეს საუბარი გვექნება საბჭოთა სპეცსამსახურების ერთ-ერთ ყველაზე გასაიდუმლოებულ და ფარულ საქმიანობაზე — პოლიტიკურ მკვლელობებზე სპეცმედიკამენტების, ქიმიური შენაერთებისა და შხამების გამოყენებით. ლიკვიდაციის ამ მეთოდების, ხერხებისა და სპეციარალის დამუშავებასა და უშუალო შესრულებას „კგბ“-ს ყველაზე საიდუმლო ოპერატიული დანაყოფი — ლაბორატორია „X“ ახორციელებდა. ასე მოიხსენიებდნენ ოფიციალურ დოკუმენტებში ლუბიანკის ციხის მიდამოებში მდებარე უფერულ, პატარა შენობას. აკადემიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ლაბორატორია წარმატებით უთავსებდა სიკვდილმისჯილ პატიმრებზე ახალი ტოკსიკური ნივთიერებებისა და შხამების გამოცდას. ამ „ჰუმანური“ მიზნებისათვის ლაბორატორიას სპეცკამერებიც კი ჰქონდა. „კგბ“-ს ამ დანაყოფში შესვლის უფლება, იქ მომუშავეთა გარდა, მხოლოდ უშიშროების მინისტრსა და მის პირველ მოადგილეს (რომლის უშუალო საკურატორო სფეროშიც ლაბორატორია შედიოდა) ჰქონდათ.

ყველაფერი ძალზე ჩვეულებრივად დაიწყო — 1921 წელს „სოვნარკომის“ თავმჯდომარის, ვლადიმერ ლენინის მითითებით ბიოქიმიის ინსტიტუტში შეიქმნა ტოქსიკოლოგიური ლაბორატორია „X“. შეიძლება ითქვას, რომ აქედან იწყება „სპეცსაშუალებებით“ საიდუმლო მკვლელობების სერიალი. ლაბორატორიის პირველი ხელმძღვანელი პროფ. კაზაკოვი, როგორც „უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ჯაშუში“ და ბუხარინის თანამოაზრე, 1938 წელს დახვრიტეს. მანამდე ერთი წლით ადრე კი, მოსკოვის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც უკვე ახალი „შეფის“, სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკის, პროფესორ მაირანოვსკის ხელმძღვანელობით „ავთვისებიან სიმსივნეზე სხვადასხვა შხამებისა და ტოქსიკური აირების ზემოქმედების“ თემატიკაზე მუშაობდა (ბუნებრივია, თან „ჩეკისტების“ სპეციფიკურ შეკვეთებსაც ასრულებდა), „ნკვდ“-ს გადაეცა და ფორმალურად „ოტო“-ს დაექვემდებარა (ახალგაზრდა ქართველი „ჩეკისტების“ საყურადღებოდ: „ოტო“, ამ შემთხვევაში, კაცის სახელი არ არის და ოპერატიულ ტექნიკურ განყოფილებას ნიშნავს. იქ „ჟუჩოკებსა“ და სხვა ათას „მამაძაღლობას“ ამზადებენ, ფარულად ამონტაჟებენ და შემდეგ ოპერატორი გოგონები დღედაღამ უსმენენ „სექსს პატარა ოთახში“ ან სრულიად უფასოდ უყურებენ). 1937-1951 წლებში ლაბორატორია „X“-ს პროფ. მაირანოვსკი ხელმძღვანელობდა. განგებამ მასაც წინამორბედივით ტრაგიკული ბედი არგუნა, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ ლაბორატორიის შექმნის დღიდან მისმა თანამშრომლებმა მათ მიერვე დამზადებული ტოქსიკური ნივთიერებებით მრავალი ადამიანი მოკლეს. მსხვერპლთა შესახებ ზუსტ ინფორმაციას ალბათ ვერასდროს გავიგებთ, მხოლოდ ყოფილი „ჩეკისტების“ მოგონებები (უპირველესად გენერალ-ლეიტენანტ პაველ სუდოპლატოვის — 14 წლის ასაკიდან „ჩკ“-ს თანამშრომელის, პოლიტიკური მკვლელობების ჯერ შემსრულებლის, შემდეგ კი ხელმძღვანელის, რომელიც „ბევრის ცოდნის“ გამო 15 წლით ციხეში გამოამწყვდიეს) და მემუარები გვაძლევს მწირ, მაგრამ ობიექტურ ინფორმაციას.

სამხედრო ინჟინერი, წარმოშობით პოლონელი ებრაელი აბრამ სამეტი, რომელიც 1939 წლიდან საბჭოთა კავშირში დაფუძნდა, წყალქვეშა ნავების აკუსტიკური მოწყობილობების შექმნაზე ბერიას ქვეშევრდომების მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობდა. ომის შემდეგ სამეტმა ისტორიულ სამშობლოში — პალესტინაში დაბრუნება მოინდომა. ამის დაშვება კი საბჭოთა ბელადს არაფრით სურდა და როცა ყველა არგუმენტი ამოწურა, მაგრამ სამეტი თავისას არ იშლიდა, სტალინმა მისი ლიკვიდაციის ბრძანება გასცა. ულიანოვსკის სამხედრო ქარხანაში მომუშავე სამეტთან უშიშროების აგენტი — ქარხნის პოლიკლინიკის ექიმი „ჩანერგეს“, რომელიც მალე დაუმეგობრდა ინჟინერს. სულ მალე ულიანოვსკში თავად მაირანოვსკი ჩავიდა და „ექიმ-აგენტთან“ ერთად ქარხნის პერსონალის გეგმური პროფილაქტიკური შემოწმების დროს ანტიინფექციური ინიექციები გააკეთა. სუდოპლატოვის ინფორმაციით, სამეტს კურარეს შხამი გაუკეთეს. რამდენიმე დღის შემდეგ სამეტი მოულოდნელად გარდაიცვალა, ოფიციალური დიაგნოზი — „ინფარქტი“. 1946 წლის ზაფხულში უკრაინის ცკ-ს პირველი მდივნის ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით, სტალინმა უკრაინის ნაციონალური მოძრაობის ლიდერის, შუმსკის ლიკვიდაციის სანქცია გასცა. უკრაინის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შუმსკი პატიმრობიდან ავადმყოფობის გამო გაათავისუფლეს და სარატოვში გადაასახლეს. მაგრამ იქაც არ ისვენებ-

და და სტალინს ულტიმატუმი წაუყენა – „თუ უკრაინაში დაბრუნების და ცხოვრების უფლებას არ მომცემთ, თავს მოვიკლავო“. ბელადი თურმე ძალიან „შეწუხდა“ და უშიშროების მინისტრ აბაკუმოვს დაავალა ავადმყოფ კაცს ჩანაფიქრის განხორციელებაში „დახმარებოდნენ“. სარატოვში პროფ. მაირანოვსკი გაემგზავრა. სპეცაქციას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ მინისტრის მოადგილე ოგოლცოვი და პოლიტბიუროს წევრი კაგანოვიჩი. ლაბორატორია „X“-ში დამზადებულმა შხამმა, როგორც ყოველთვის, თავისი საქმე გააკეთა და სამი დღის შემდეგ შუმსკი „გულის უკმარისობის“ დიაგნოზით გარდაიცვალა.

ლაბორატორია „X“-ის მორიგი მსხვერპლი კომინტერნისა და „ჩეკას“ ძველი აგენტი, აშშ-ის კომპარტიის ფარული წევრი ისააკ ოჰინსი იყო. ის 1938 წელს დააპატიმრეს „ორმაგი აგენტობის“ ბრალდებით (ეჭვი ჰქონდათ, რომ აშშ-ის „გფბ“-ზე მუშაობდა) და ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სპეცსამსახურებისათვის უკვე „უსარგებლო, მაგრამ ბევრის მცოდნე“ ყოფილი აგენტი იყო. აბაკუმოვის წინადადებით, სტალინისა და მოლოტოვის თანხმობით, ოჰინსის ლიკვიდაცია გადაწყდა. თანაც ისე, რომ მაქსიმალურად ბუნებრივ სიკვდილს მსგავსებოდა. 1947 წელს მაირანოვსკიმ, ვითომდა მორიგი სამედიცინო გამოკვლევის დროს, სასიკვდილო ინიექცია გაუკეთა ყოფილ აგენტს. მისი კრემაცია და დაკრძალვა ქალაქ პენზის ებრაელთა სასაფლაოზე სუდოპლატოვმა და ეიტინგონმა შეასრულეს.

ამ ლაბორატორიაში დამზადებული შხამების და ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენებით ლიკვიდაციის გადაწყვეტილება ყოველთვის „ინსტანციის“ (ე.ი. ცკ-ს) და მთავრობის მიერ იყო სანქცირებული. განსაკუთრებით აქტიურობდა ხრუშჩოვი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პერიოდში უკრაინის კომპარტიას ხელმძღვანელობდა. მისი დაჟინებული მოთხოვნით, რომელსაც შემდეგ სტალინიც დაეთანხმა, 1947 წელს უშიშროების სამინისტროს უკრაინის არქიეპისკოპოსის რომჟას ლიკვიდაცია დაევალა. საქმეში ჯერ უკრაინელი „ლიკვიდატორები“ ჩაერთვნენ ადგილობრივი უშიშროების მინისტრის სავჩენკოს ხელმძღვანელობით, მაგრამ სპეციალურად მოწყობილ ავტოკატასტროფაში (ესეც „ტრაგიკული შემთხვევა“!) რომჟა მხოლოდ მსუბუქად დაშავდა და უჟგოროდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაპანიკებულმა ხრუშჩოვმა დახმარებისათვის სტალინს მიმართა, რომლის პირადი მითითებით უჟგოროდში, ადამიანთა ლიკვიდაციის პროფესიონალები – გენერალი სუდოპლატოვი და პროფ. მაირანოვსკი გაემგზავრნენ. ისინი პირადად ხრუშჩოვმა მიიღო, ინსტრუქტაჟი თავადვე ჩაუტარა(?!) და ოპერაციის სასწრაფო შესრულება მოსთხოვა. მეორე დღეს მაირანოვსკიმ კურარეს შხამიანი ამპულა გადასცა აგენტ შემსრულებელს. ორი დღის შემდეგ საავადმყოფოს პალატაში მყოფ არქიეპისკოპოსს დილის შემოვლაზე ახალგაზრდა მომხიბლავი მედდა მიუახლოვდა, მდგომარეობა გამოჰკითხა და „ჩვეულებრივი“ ინიექცია გაუკეთა. მეორე დღეს არქიეპისკოპოსი რომჟა „გულის უკმარისობით“ გარდაიცვალა.

1947 წელს ლაბორატორია „X“, რატომღაც ძალზე დატვირთული იყო. ამ წლის ზაფხულში „X“-ის „სპეცსაკანში“ უნგრეთიდან „სმერშ“-ის მიერ მოტაცებული შვედი დიპლომატი რაულ ვალენბერგი მიიყვანეს და ვითომდა მკურნალობისთვის გათვალისწინებული სასიკვდილო ინიექცია გაუკეთეს. „ლუბიანკის“ ციხის მედპერსონალი, რომელიც ოპერაციის უმაღლესი კონსპირაციულობის გამო, ბუნებრივია, არ იყო ინფორმირებული ამ სპეცაქციის შესახებ, სიკვდილის ნამდვილ მიზეზს ვერ მიხვდა(!!!) და ვალენბერგის გულის შეტევით გარდაცვალება დააფიქსირა. აქ გასაკვირი არაფერია, რადგანაც ლაბორატორია „X“-ის მთავარი ამოცანა სწორედ ის იყო, რომ სიკვდილის შემდგომ პათანატომიურ გაკვეთას ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი დაეფიქსირებინა. ძალზე იშვიათი იყო შემთხვევა, რომ მოწამვლის ფაქტი აღმოეჩინათ.



გენერალი სუდოპლატოვი ნამდვილი სიკვდილის მანქანა იყო

პროფ. მაირანოვსკი კვლავ პირნათლად ასრულებდა პარტიისა და მთავრობის დავალებებს. მისმა თანამშრომლებმა მინსკში 1948 წლის იანვარში სასიკვდილო ინიექცია გაუკეთეს ცნობილ ებრაელ რეჟისორს სოლომონ მიხოელსს და თეატრალურ კრიტიკოსს (თან შეთავსებით უშიშროების აგენტს!) გოლუბოვს, რომელმაც მიხოელსი ბელორუსიის უშიშროების მინისტრის ლავრენტი ცანავას აგარაკზე შეიტყუა. უკვე გარდაცვლილებს, უბედური შემთხვევის ინსცენირებისათვის, სატვირთო ავტომობილი გადაატარეს. რამოდენიმე დღე მთელი საბჭოთა კავშირი გლოვობდა „ტრაგიკულად“ დაღუპულ მიხოელსს.

სტალინისა და ბერიას გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელს ხრუშჩოვმა, თავად „ყელამდე“ სისხლში გასვრილმა, საბჭოთა სპეცსამსახურების სტრუქტურებში არსებული სპეცაქციების (ანუ, საბჭოთა კავშირის ან პირადად მისი ხელმძღვანელებისათვის არასასურველი პირების ლიკვიდაციის) დანაყოფები ვითომდა გააუქმა. სინამდვილეში კი ეს ფუნქციები უშიშროების სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს მე-13 განყოფილებას გადაეცა. 1951 წელს ლაბორატორია „X“-ის ხელმძღვანელი მაირანოვსკი სხვა ებრაელ „ჩეკისტებთან“ (ეიტინგონი, რაიხმანი, მათუსოვი, ანდრეი სვერდლოვი და სხვ.) ერთად დააპატიმრეს. მას ბრალად ტოქსიკური ნივთიერებებისა და შხამების უკანონო შენახვა(?!) წაუყენეს, რომლითაც, როგორც „საბჭოთა უშიშროების სისტემაში სიონისტური შეთქმულების მონაწილეებს“, ვითომდა სტალინი და სხვა ხელმძღვანელები უნდა მოეწამლათ. სასტიკი

**მართალია, ნიკიტა ხრუშჩოვი ფიდელ კასტროს მეგობარი იყო, მაგრამ კუბელი მაინც საოცრად ფრთხილობდა...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

წამების შედეგად მაირანოვსკიმ ყველაფერი „დეტალურად აღიარა“ და 1953 წლის თებერვალში მას 10 წელი მიუსაჯეს. ცოდვიანი პროფესორის ტანჯვა-წამება ამით არ დასრულებულა. სახელმწიფო გადატრიალებისა და ბერიას ლიკვიდაციის შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა დიდი რეპრესიები დაიწყო. მისი უშუალო მითითებით მაირანოვსკი აიძულეს ჩვენებები მიეცა შემდგომში დახვრეტილი უშიშროების ყოფილი მინისტრების, აბაკუმოვისა და მერკულოვის (რომელმაც, სხვათა შორის, 1913 წელს თბილისის გიმნაზია დაამთავრა), ასევე პოლიტბიუროს წევრების (უპირველესად, მოლოტოვის) წინააღმდეგ. მისჯილი საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ, მაირანოვსკი გაათავისუფლეს, თუმცა სულ მალე, 1964 წელს ის ფრიად საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. სამედიცინო დიაგნოზი — „გულის უკმარისობა“ ბევრ კითხვას ბადებს, რადგანაც პროფესორმა ძალზე ბევრი იცოდა საბჭოთა ლიდერების დანაშაულებრივ ქმედებებზე. 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მკვლელობების, დივერსიებისა და ტერაქტების ჩატარებას უკვე „კგბ“-ს „ს“ სამმართველოს (არალეგალური დაზვერვა) მე-8 განყოფილება აწარმოებდა. ხოლო ლაბორატორია „X“-ს სახელი შეუცვალეს და ის უკვე რესპექტაბელურ — „ახალი და სპეციალური ტექნოლოგიების ინსტიტუტის №12 ლაბორატორიის“ შირმას ამოფარებული აგრძელებდა თავის შავბნელ საქმიანობას. ამ პერიოდიდან საყოველთაოდაა ცნობილი ორი ბულგარელი დისიდენტის მარკოვისა და კოსტოვის ტოქსიკური ნივთიერებებით ლიკვიდაციის ფაქტები. მთავარი ამოცანა იყო თავიდან აეცილებინათ საერთაშორისო სკანდალი და სიკვდილი მაქსიმალურად ბუნებრივი ყოფილიყო. ლაბორატორია „X“-ის „ჯადოქრებმა“ ქოლგის თავზე ქინძისთავის ზომის საჩხვლეტი დაამონტაჟეს. ქოლგით ჩხვლეტის შემდეგ შხამშემცველი „მინიკაფსულა“ სხეულში აღწევდა და ორ-სამ დღეში მსხვერპლი „გულის შეტევითა და ინფარქტით“ იღუპებოდა. ამ მეთოდით 1978 წელს მარკოვი ლონდონში, ხოლო კოსტოვი პარიზში მოკლეს (ამაზე ჩვენ ვწერდით „არსენალის“ შარშანდელ ნომრებში). საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საბჭოთა სპეცსამსახურები ფართოდ იყენებდნენ ლიკვიდაციის ტოქსიკურ მეთოდებს და თანდათანობით ხვეწდნენ „ტექნიკას“. ერთ-ერთი ბოლო „მიღწევები“ აირშხამები და სპეციალური საცხება, რომლებიც ტანსაცმლიდან და კანიდან აღწევენ ორგანიზმში და მსხვერპლი რამდენიმე დღეში ინფარქტით იღუპება. გენერალ სუდოპლატოვის მოგონებებიდან ირკვევა, რომ 1988 წელს მას ესტუმრა „კგბ“-ს გენერალ-მაიორი შადრინი, რომელსაც აინტერესებდა 30-50-იან წლებში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ლიკვიდაციის მეთოდები და ხერხები. განსაკუთრებით კი ბრძანების უშუალოდ შემსრულებლებამდე დაყვანის „ტექნოლოგია“. სუდოპლატოვის სიტყვებით, მან უარით გაისტუმრა შადრინი. „ვეტერანი ლიკვიდატორის“ ვარაუდით, ეს ვიზიტი გორბაჩოვის მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ბორის ელცინის ნეიტრალიზების გეგმის დამუშავებას ემსახურებოდა.

არასასურველი პოლიტიკური ოპონენტების ლიკვიდაციის ოპერაციებში საბჭოთა სპეცსამსახურებს არც ამერიკელი კოლეგები ჩამორჩებოდნენ. მათ განსაკუთრებით კუბის ლიდერი ფიდელ კასტრო არ ეხატებოდათ გულზე და მრავალი ათეული წელი უშედეგოდ ცდილობდნენ მის ლიკვიდაციას ან თუნდაც დროებით მწყობრიდან გამოყვანას.

ჰოლივუდის ერთ-ერთ ცნობილ კომედიაში პატარა წრუწუნამ ისე გააწამა მამის მემკვიდრეობით გახარებული ორი ძმა, რომ დიდი წვალებით დაჭერილი თაგუნა ყუთში ჩასვეს, შეფუთეს და ფოსტით კუბის ლიდერს — ფიდელ კასტროს გაუგზავნეს. თან ალბათ გაიფიქრეს — „შენც ისე დაგაქციოს, როგორც ჩვენ გაგვამწარაო“. შეიძლება ეს იყო ამერიკელთა ყველაზე ალალი ხუმრობა, რადგანაც 1959 წლიდან მოყოლებული, აშშ-ის სპეცსამსახურებს არაერთი უფრო „მწარე ხუმრობა“ დაუგეგმავთ კუბის წვეროსანი დიქტატორის ლიკვიდაციის ან მისი კომპრომეტაციის მიზნით. თავიდან აშშ-ში ფიდელს ნაკლებად სერიოზულ საფრთხედ განიხილავდნენ და მხოლოდ მის მსუბუქ კომპრომეტირებას ცდილობდნენ. ამ მიზნით 1960 წლის მარტში ცსს-ში შეიქმნა სპეცჯგუფი, რომელსაც ფიდელის, როგორც ახალგაზრდა და მთელ მსოფლიოში უკვე ძალზე ქარიზმატული (გარეგნობითა და ორატორობის ნიჭით) ლიდერის სახალხო პოპულარობის გაქარწყლების ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია დაევალა. ამერიკელი მზვერავების ფანტაზიას მართლაც, რომ საზღვარი არ ჰქონდა, მათ ცსს-ის ტექნიკურ სამსახურთან ერთად წარმოადგინეს ფიდელის „მსუბუქად დაჩაგვრის“ სამი გეგმა: პირველი ითვალისწინებდა სპეციალური ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენებას ფიდელის რადიოთი გამოსვლის წინ. კერძოდ, რადიოსადგურის სტუდია, საიდანაც კუბის ლიდერს ხალხისთვის უნდა მიემართა, დამუშავდებოდა ფსიქოტროპული აეროზოლებით და თანდათან „ჩაკაიფებულ“ ფიდელს თავისი მრავალსაათიანი გამოსვლის ბოლოს „ენა ჩაუვარდებოდა“ ან ისეთ სისულელეებს მოროშავდა, რომ მეორე დღეს გამარჯობასაც არავინ ეტყოდა. ეს გეგმა დაიწუნეს, რადგანაც ქიმიკოსები არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ეს პრეპარატები ფიდელს პირიქით, ლაპარაკის მადას არ გაუხსნიდა. მეორე გეგმის მიხედვით, ფიდელ კასტროს შეურაცხად მდგომარეობამდე მისაყვანად მისი საყვარელი ჰავანური სიგარები ფსიქოტროპული საშუალებებით უნდა დაემუშავებინათ. „მოხალისეებზე“ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ამ იდეის რეალურობა დაამტკიცა. გაამზადეს და ლამაზად შეფუთეს მოწამლული სიგარებით სავსე ყუთი, მოიფიქრეს მისი ფიდელისთვის საჩუქრად გადაცემის ლეგენდაც, მაგრამ ბოლო მომენტში, იმის შიშით, რომ ფიდელს შესაძლოა ეს სიგარები თვითონ კი არ გაებოლებინა, არამედ სხვა ქვეყნის პრეზიდენტისთვის საჩუქრად გაეგზავნა, ამ გეგმის რეალიზაციაზეც უარი თქვეს. მესამე გეგმა ალბათ ყველაზე ფანტასტიკური იყო და მიზნად ფიდელის „სავიზიტო ბარათის“ — წვერის განადგურებას ისახავდა. ცსს-მ შეიტყო, რომ კუბის ლიდერი ერთ-ერთ ქვეყანაში ვიზიტად მიემგზავრებოდა. საჭირო იყო მის ტანსაცმელში ან ფეხსაცმელში შეუმჩნევლად სპეციალური ქიმიური ფხვნილი ჩაეყარათ, რომ მეორე დილას მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელს ოფიციალურ მოლაპარაკებებზე ფიდელ კასტრო კი არა, „ფანტომასი“ შერჩენოდა ხელში. ცსს-ის ხელმძღვანელობა დიდ საერთაშორისო სკანდალს მოერიდა და ეს გეგმაც დაბლოკა. ამერიკის დაზვერვის „მახვილგონივრული“ ჩანაფიქრები ისტორიისთვის საიდუმლოდ დარჩებოდა, რომ არა აშშ-ის სენატის საგამომძიებლო კომისია (ე.წ. „ჩერჩის კომიტეტი“), რომელიც 1975-76 წლებში იძიებდა ამერიკის სპეცსამსახურების მიერ დაშვებულ კანონდარღვევებსა და რომელმაც უშუალო მონაწილეების ჩვენებების საფუძველზე ფარდა ახადა მრავალ ანალოგიურ ფაქტს.

„საშინაო და საგარეო“ ოპონენტების ლიკვიდაციის ამ ხერხებს დღესაც „წარმატებით“ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები. რაც უფრო მაღალი კლასისაა სპეცსამსახური, მით უფრო ძნელია (ხანდახან კი საერთოდ შეუძლებელიც!) მათი კვალის მიგნება. ამ დროს მხოლოდ „გამორიცხვის მეთოდით“ ან „ვის აძლევდა ხელს“ ვარაუდებით შეიძლება სიმართლესთან მიახლოება. ვიქტორ იუშჩენკოს მოწამვლისა და ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალების ფაქტები (თუ ეს მკვლელობა იყო), სწორედ იმ კატეგორიის შემთხვევებს განეკუთვნება, როცა სპეცსამსახურების „ყურები“ შორიდან ჩანს, მაგრამ კონკრეტულად ხელს ვერავის დაადებ.

დღეისათვის საქართველოში მოქმედი მრავალი სპეცსამსახურიდან მხოლოდ ორს ძალუძდა ზემოთ აღნიშნული სპეცაქციის ამ დონეზე ორგანიზება და „კუდების“ ღრმად დამალვა. რომლებს? ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდია.

ბესიკ ალადაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ბაბეტა მიდის ჯარში“ კახურად

## „ანუ თქვენი მოგებული ომის ... !“

14 თებერვალს ოსიაურში განლაგებულმა რეზერვისტთა მე-13 ქვეითმა ბატალიონმა 26-დღიანი შეკრება სოფელ კრისხევის პოლიგონზე საჩვენებელი გამოსვლით დაამთავრა. საბრძოლო ლეგენდის თანახმად, ბატალიონს უნდა განეხორციელებინა ჯვარედინი საცეცხლე შეტევა ყუმბარმტყორცნებით, ზეგანზე მტრის დევნა, მისი ალყაში მოქცევა და განადგურება. საჩვენებელ წვრთნას რამდენიმე ქვეყნის სამხედრო ატაშე და უამრავი უცხოელი თუ ჩვენებური ჟურნალისტი ადევნებდა თვალს. ჩემს კოლეგებს მოუთმენლობა ეტყობოდათ. მე-13 ბატალიონისადმი მასმედიის მოჭარბებული ინტერესი, ბატალიონში ჩარიცხულ რეზერვისტ ქალთა ოცეულით იყო განპირობებული. მართლაც ძნელი იყო 350 ერთნაირ სამხედრო ფორმასა და ერთნაირად შეიარაღებულ ჯარისკაცში გოგონების გამორჩევა. საქმე მაშინ გაიოლდა, როცა რეზერვისტებს საჩუქრად დროშები გადასცეს. მწყობრში მდგარი გოგონები, სანამ დროშას ემთხვეოდნენ, ქუდს იხდიდნენ. აი, მაშინ კი გამოცოცხლდნენ ოპერატორები და კამერით ხელში „პოზიციებზე“ გამაგრდნენ. თუმცა, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ყველაზე საინტერესო ამჯერადაც კადრს მიღმა დარჩა...

### „...ამის დედაც, ჯეკ!“, ანუ პირველი შეჯახება რეალობასთან

თელავის რაიონიდან ჩამოსულ რეზერვისტებს, 16 გოგონა ჩამოჰყვა. მხიარული მგზავრობის დროს ხელიდან ხელში გადადიოდა გაზეთი, სადაც მათზე ეწერა, რომ „...ეს ორმეტრიანი გოგონები ისე გამოიყურებოდნენ, ნებისმიერი ქვეყნის პოდიუმს დაამშვენებდნენ. არადა, მათ მოდელობას ჯარისკაცობა არჩიეს“. ბანაკში ჩასვლისთანავე მოეწყო პირველი მწყობრი და გამოცხადდა, რომ თითოეული რეზერვისტი უნდა წარმდგარიყო კომისიის წინ და აუცილებელი სამედიცინო შემოწმება გაევლო. შემდეგ უფრო დაწვრილებით განგვიმარტეს, რომ ექიმთა კარავში (სადაც $13^0$-$14^0$ ყინვა იყო) ტანსაცმელი უნდა გაგვეხადა და ხელები კეფაზე შემოგვეწყო. „ეეე, ჯარისკაცი ვარ თუ კიკუ!“ – გაისმა პირველი საპროტესტო შეძახილი. „ვინც არ დაემორჩილება ბრძანებას, იმავე ავტობუსით დაბრუნდება უკან, რომლითაც ჩამოვიდა!“ – იმ წუთებში კაპიტანი ცხადაძე ისეთი მკაცრი, ბოროტი და აუტანელი გვეჩვენა, ყველას სახლში დაბრუნება გვინდოდა, მაგრამ ვინ იტყოდა ამას პირველი? – ერთმანეთს ვუცდიდით, საერთო



## „ოქრობიჭის“ სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა!

დაბნეულობის ფონზე გადაწყვეტილება უკანა რიგში მდგარმა ერთმა პატარა გოგონამ მიიღო. „მე არ ვარ კიკუ, მე ვარ ჯარისკაცი და გავიხდი ისე, როგორც ეს სხვა ჯარისკაცებმა გააკეთეს“. ყველამ მას შევხედეთ, „ჩვენ გავაკეთებთ ამას, ამის დედაც, ჯეკ!“ – ღრმად ამოისუნთქა და კარავში შევიდა – ეს ისეთი სცენა იყო, სიცილის შეკავება მართლაც შეუძლებელი იყო. მთელი 26 დღის განმავლობაში, მაშინ, როცა ძალიან გვიჭირდა, საკმარისი იყო გვეთქვა „ამის დედაც, ჯეკ!“ და ეს უწყინარი, კინემატოგრაფიული იუმორი ჩვენზე თითქოს მაგიურად მოქმედებდა, ვიცინოდით, უკანასკნელ ძალას ვიკრებდით, წინ მივდიოდით და გვჯეროდა, რომ ყველანაირ პრობლემას მოვერეოდით.

### პირველი განგაში

თელაველ გოგონებს მოგვიანებით 3 დედოფლისწყაროელი და 7 ჯარისკაცი გოგონაც მიემატა. ქალები 3 კარავში გაგვანაწილეს და სამივე კარვიდან მონაცვლეობით ისმოდა წივილ-კივილის ხმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ-ერთი მათგანს თაგვი ფეხებში მოედო და შეშინებული ლოგინზე შეხტა. ზამთარში საველე პირობებში ცხოვრების გამოცდილება თითქმის არც ერთ გოგონას არ ჰქონდა. კარვები მიწასა და ქვიშაზე იყო გაშლილი. შეშა ნედლი იყო და ცეცხლის ანთება ჭირდა. გვშიოდა, მაგრამ ვერ ვჭამდით, წიწიბურას კვამლის სუნი ჰქონდა. მეზობელი კარვიდანაც შემოგვესმა მამაკაცების წუწუნი. ჩვენ ვერ ვჭამთ და ეს დედისერთა გოგოები შეჭამენ? ეს რა ქნეს, აქ სად წამოვიდნენ, „რა უნდოდათ წვენებშიო“. ერთმანეთს გადავხედეთ და მივხვდით, რაც უნდა გვექნა. გარეთ გასულებს მშიერმა მეზობლებმა გვკითხეს: ასე სწრაფად შეჭამეთ? აბა, როგორ მოგეწონათ ჯარისკაცული ულუფაო? – ეს ჯარია, ძმაო და თუ დროზე არ შეჭამ, მშიერი დარჩები, ვპასუხობდით და თან მურიან კარდალებს ვხეხავდით. მეორე დღესვე დაგვირიგეს ტანსაცმელი, 3-4 ზომით დიდი ბათინკების ბრაგა-ბრუგით დავდიოდით და ერთმანეთისთვის კომპლიმენტებს არ ვიშურებდით. ჩვენი თავის სარკეში შეთვალიერების საშუალება მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოგვეცა, როცა ხაშურის აბანოში მამაკაცთა სალონში დიდი სარკე აღმოვაჩინეთ. ჩასვლიდან მეხუთე დღეს მეთაურებმა ცრუ განგაში მოგვიწყეს. ღამის 3 საათზე გაისმა კარვის კალთაზე ბრაგა-ბრუგი: „განგაშია, ადგა ჯარი!“ და ატყდა ერთი აურზაური. ორიდან ერთი იყო: ან კოკოითი დაგვესხა თავს ან „ოქრობიჭი“, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, ნებისმიერ შემთხვევაში ჯარი 3 წუთში უნდა მოწყობილიყო...“ 3-ის ნაცვლად 10 წუთი დაგვჭირდა. 8-კილომეტრიან დისტანციაზე სირბილიც ყველამ ვერ შეძლო და კაპიტანმა ცხადაძემ,



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დროთა განმავლობაში არც ისე ბოროტი და აუტანელი აღმოჩნდა, ყველას „დიდი ნული" დაგვიწერა. ამის შემდეგ მართლაც მთელი დატვირთვით შევეცადეთ გვევარჯიშა და ბოლომდე აგვეთვისებინა ის, რასაც ინსტრუქტორები გვასწავლიდნენ. დილის 7-ის ნახევარზე მთელი ბატალიონი ფეხზე იდგა და მძიმე ბათინკების ქვეშ ქვიშა ისე ხრაშუნობდა, რომ სიმღერის ხმას ახშობდა. დარიგდა იარაღი, დაიწყო საცეცხლე-ტაქტიკური მომზადება, დაზვერვა, საბრძოლო ასეული, კავშირგაბმულობა, სანიტარული ნაწილი, შტაბი — ყველა ცალ-ცალკე ასრულებდა თავის მოვალეობას და მაინც ყველა ერთ ორგანიზმად იყო შეკრული. გოგონებს სნაიპერის თვალი აღმოაჩნდათ, ორმა მათგანმა ყუმბარმტყორცნი ისე აითვისა, რომ საჩვენებელი გამოსვლის დროსაც მისცეს თავისი შესაძლებლობების გამომჟღავნების უფლება. დღის ბოლოს ძალიან დაღლილები ვიყავით, წიწიბურა და ბორში კი ისეთი გემრიელი გვეჩვენებოდა, მზარეულებს მადლობას ვუხდიდით. ჩვენი „ბოროტი კაპიტანი" საღამოს კარვებს დაივლიდა, ლუმელს თავისი ხელით აგვიგუზგუზებდა და თუ რომელიმე ჩვენგანს უკვე ეძინა, ძალიან ხმადაბლა საუბრობდა, მოკლედ, ჩვენს დიდ ოჯახში სამხედრო იდილია სუფევდა.

## რას გვიშვება ეს სააკაშვილი?

ბედნიერი დღე გაგვითენდა. გვითხრეს, რომ აბანოში მივყავდით და ტალახიანი ბათინკები საგანგებოდ უნდა დაგვერეცხა. კაპიტანს ვთხოვეთ, ფოტოაპარატის ლენტები და ელემენტები გვინდა და იქნებ ხაშურის ბაზრობაზეც გაგვატაროთ-თქო. მივდივართ, წინ კაპიტანი მიგვიძღვის, დროდადრო უკან იხედება და წიწილებივით გვთვლის. ბაზრობაზე კორიდორის მსგავსი რაღაც კეთდება, ყველა ისე გვათვალიერებს, თითქოს უცხოპლანეტელები ვიყოთ, ზოგი გვლოცავს, ზოგი გვაგინებს. მარჯვნივ ჯიხურიდან ბიჭი ცერა თითის აწევით გვანიშნებს, კარგები ხართო, მარცხნიდან მეორე ბიჭი საფეთქელთან იტრიალებს თითს, ვერა ხართო. მოკლედ, ჯობს, არც მარცხნივ გაიხედო და არც მარჯვნივ. ჩავუარე ქალს, რომელსაც პომადები და სუნამოები ჰქონდა წინ გაშლილი და ელემენტების გამყიდველ კაცს მივაშურე. ამ დროს მესმის ქალის გაბრაზებული ხმა, რომელიც მუხლებს ითეთქავდა. აი, ხალხო შეხედეთ, ჯარისკაცის ფორმაში გადაცმული გოგოა, ჩემს პომადებს ისე ჩაუარა, ზედ არ შეხედა და წვერის საპარსებთან გაჩერდა. რას გვიშვება მართლა ეს სააკაშვილი?! გამყიდველი კაციც დაბნეული გვათვალიერებს და ვერ ხვდება, ვისთან აქვს საქმე. ერთ-ერთ გოგონას, ყუმბარმტყორცნელ ლალი ზამუკაშვილს მკერდზე ჩამოკიდებული პატარა ვიდეოკამერა ჰქონდა. ეს რომ შენიშნა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და თითი დაგვიქნია. „ააა, მიგიხვდით ეშმაკობას, „ფარული კამერიდან" ხართო". ვიღაცამ პირდაპირ ჩემ ცხვირწინ გამოაცხო მამალი ჭორი: ესენი პატიმრები არიან, მთავრობას გაურიგდნენ, სნაიპერებად ვიმუშავებთ, ოღონდ „სვაბოდაზე" გაგვიშვითო. მთელი ბაზრობიდან მხოლოდ ერთი მოხუცი კაცის თვალები დამამახსოვრდა. ფანდურებს ყიდდა. ჩვენს დანახვაზე ფეხზე ადგა და გვერდზე მომჯდარი შვილიშვილიც ააყენა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე: თქვენ გაიხარეთ, შვილებო, აბა, თქვენ იცით, იქნებ სიკვდილამდე გამთლიანებული საქართველო მაჩვენოთო.

## რა ღირს შეშა?

ოსიაურში ახლად ჩასულებს რეზერვისტი მამაკაცები ხშირად გვთხოვდნენ, მათთან ერთად სურათი გადაგვეღო. თავს ვიფასებდით, „ოდეს ტურფა გაიაფდესო"... ერთმანეთს ვეჭორავებოდით: რა ვიცით, რა ხალხია, როცა მისი ახლობლები ჩვენზე ჰკითხავენ, რას ეტყვიანო... ეტყობა, „თავის დაფასება" მეტი მოგვივიდა, მათაც მოსწყინდათ ხვეწნა-მუდარა და ბოლოს თავი დაგვანებეს. ერთ მშვენიერ დღესაც შეშის გარეშე დავრჩით. ჩვენი ბრალი იყო. ისე გავერთეთ კაცური საქმეებითა და იარაღის „დაშლა-აწყობით", საოჯახო საქმე სულ დავივიწყეთ. „ნარიადში" ვარ, გოგონებს რამენაირად ცეცხლი უნდა ავუნთო და დავიწყე ბრძოლა ცეცხლის მოსაპოვებლად. გარეთ თოვს, ციდან ტრიალ-ტრიალით მოდის ფანტელები. ვკანკალებ, ვურტყამ ფეხებს ერთმანეთს, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს. ყველა მეზობელი გაბუტული მყავს. აი, მოდის რეზერვისტი, კეთილი თვალები აქვს...

— ეი, ძმაო, შეშა გააქვს? ჩემთან ერთად სურათის გადაღება არ გინდა?

— კი.

— მერე ამ ამბავს ორი იღლია შეშა რომ უნდა, არ იცი?

— ერთი იყოს, რა.

— ეე, შენ ჩემთან სურათის გადაღება არ გდომებია...

15 წუთში კარავში ცეცხლი გუზგუზებდა და ბედნიერი ვუცქერდი, როდის გაილვიძებდნენ ჩემი „ჯარისკაცები."

## დედა, რა იყო ეს? ანუ მინისტრის სტუმრობა

ამ დღეს, უფრო სწორად, ამ ღამეს შინაგანად ყველა ველოდით, ვიცოდით, ჩვეულებას არ უღალატებდა და ძილს დაგვიფრთხობდა. დაფრთხობაც არის და დაფრთხობაც! სწორედ მაშინ მოვიდა, როცა ყველაზე დაღლილები ვიყავით, როცა ნახევარი ბატალიონი უხეში ბათინკებისგან გადატყავებული ქუსლების გამო კოჭლობდა. „ადგა ჯარი, განგაშია!" ფეხები უკვე ბათინკებში გვაქვს, — „რომელია, კოკოითი?" „არა, უარესი, ოქრობიჭი". 4 წუთში მთელი ბატალიონი მოწყობილია. დაიწყო გრძელ დისტანციაზე სირბილი, ღამე არაფერი ჩანს, ჯარს გზას მინისტრის „ჯიპის" ფარები უნათებს. ირაკლი ოქრუაშვილი დროდადრო მანქანიდან გადმოდის და რეზერვისტებს სირბილით მიჰყვება გვერდით. „სწრაფად, სწრაფად, ბატებივით ნელა მიდიხართ", „ფეხი აწყვეთ, ძროხებივით ნუ მიდიხართ", — ისმის მანქანიდან. ოღრო-



ეკა მიტიჩაშვილმა (მარცხნიდან მესამე) რეზერვისტებში საქმრო ამოარჩია. სოფო ფოთოლაშვილმა (მარცხნივ) თავდაცვის მინისტრი „ახლოდან გაიცნო", მე კი, — ნანა ქიბიშაურმა (მარცხნიდან მეორე) ეს ჩანაწერები თქვენამდე მოვიტანე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ეს ფოტო უბრალო არ გეგონოთ, არც მეტი, არც ნაკლები — ორი ილლია შეშა ღირს**

ჩოლრო გზაზე ფეხის აწყობა ჭირს. მოგვიანებით რეზერვისტი სოფო ფოთოლაშვილი ასე გაიხსენებს თავის ცხოვრებაში ყველაზე მძიმე წუთებს: „...ვგრძნობდი, რომ აღარ შემეძლო, ცივი ჰაერისგან სუნთქვა მიჭირდა. ერთი ნაბიჯიც და დავეცემი, ერთი ნაბიჯიც და... ამ დროს გვერდით ვიღაც ამომიდგა. — რა არის, დაიღალე? „მა რაა, ბიჭო“, — ძლივს ამოვღერღე. მგონია, ჩვენიანია და შემომეშველება, თურმე მინისტრი მომყვება გვერდით. — დაიღალეთ, არა? თქვენი მოგებული ომის... — ისმის მანქანიდან. პირველად მაშინ გავიგე, რას ნიშნავს „მეორე დიხანიის“ გახსნა. „ამის დედაც, ჯეკ!“ — ვთქვი და რაც გავლილი მქონდა, ერთი იმდენი კიდევ ვირბინე. ბოლომდე მივედი, ბოლომდე და ამით ვამაყობ“.

350 კაცში ერთი აღმოჩნდა არაფხიზელ მდგომარეობაში და ბედი არ გინდა? სწორედ მას გამოელაპარაკნენ. იმ ჩვენი ცოდვით სავსემაც იქ გაგზავნა ჩვენი სამხედრო მეთაურობა, სადაც ბენდუქიძემ გაჩეჩილაძე და მივიღეთ კიდეც, რაც დავიმსახურეთ. „აშავებს ერთი, ისჯება ყველა“, — ასეთია თურმე ჯარის პრინციპი. იმ გოგონებს, ვინც ხელებზე აზიდვა ვერ შეძლო, მინისტრმა 200 ბუქნი მიუსაჯა, დანარჩენებს კი რეზერვისტობის ვადა გაგვიხანგრძლივა. მეორე დღეს მთელი კახეთი რეკავდა. რატომ შეგვარცხვინეთ, რა არ მოეწონა მინისტრსო. კამერების წინ მობუქნავე გოგონებში კი ყველამ თავისი ახლობელი შეიცნო. გვარ-სახელს არ ვუკონკრეტებდით, რა მნიშვნელობა ჰქონდა, მათ ადგილს ნებისმიერი ჩვენგანი რომ ყოფილიყო, ისევე დაემორჩილებოდა მინისტრის ბრძანებას, როგორც ისინი. მხოლოდ ერთს ვიტყვი, გურჯაანელი გოგონები იყვნენ, სწორედ ისინი, ვინც სტუმრად მოსულ პარლამენტარ ქალბატონებს უმასპინძლეს და მათი წასვლის შემდეგ აღფრთოვანებულები ამბობდნენ, — რა ლამაზები და მოვლილები იყვნენ, არა? რა პატივისცემით და მოწიწებით ექცეოდათ მათ მიშა ქარელი, არა?

## ბოლო სიურპრიზი

გადაწყდა, რეზერვისტთა მე-13 ბატალიონის შემადგენლობა 14 თებერვალს დატოვებდა ბანაკს. არავის ახსოვდა, რომ ეს დღე სიყვარულის დღე იყო. არავის, ორის გარდა — 19 წლის ეკა მიტიჩაშვილისთვის მის ინსტრუქტორს დავით ნადირაშვილს დაუდგამს თვალი და მაშინ, როცა მთელი ბატალიონი სასწავლო-საბრძოლო ლეგენდის სრულყოფაზე მუშაობდა, ჩვენი სასიძო სულ სხვა რამეს გეგმავდა თურმე. თელავის რაიონის გამგებლის პირადი მდივანი 14 თებერვალს ახალ ოჯახში შეხვდა და საზეიმო დახურვაზე ჩამობრძანებულ გამგებელს ეს ფაქტი სიურპრიზის სახით ნელ-ნელა შეაპარეს. თუმცა, როგორც მისი კომენტარიდან გაირკვა, ამის გამო არ აპირებს რომელიმე გოგონას, ვინც მომავალში რეზერვისტობის სურვილს გამოთქვამს, შეზღუდვები დაუწესოს: „ეკას ამბავი ჩემთვის მართლაც სიურპრიზი იყო. ნამდვილად არ ვნანობ, რომ პირადი მდივანი ჯარში გავუშვი. შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ოჯახი და ამაში ცუდს არაფერს ვხედავ“.

— **მაგრამ ამ ფაქტში რაღაც მაინც იყო თქვენთვის მიუღებელი, როგორც ვიცი, ბატალიონის მეთაური ამის გამო დაისაჯა კიდეც.**

— ის სულ სხვა მიზეზის გამო დაისაჯა. ჩემი ინფორმაციით, მაშინ, როდესაც მინისტრი ჩაბრძანდა ბანაკში, ბატალიონის მეთაური არც თავისი ჯარის და არც თავისი მინისტრის გვერდით არ იდგა. იყო დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემებიც და ხშირად ინსტრუქტორებს უწევდათ იმ საკითხების მოგვარება, რაც ბატალიონის მეთაურის გადასაწყვეტი იყო.

— **როგორც ამბობენ, რეზერვისტთა ახალი ბანაკი კახეთში გაიხსნება.**

— მხოლოდ თელავის რაიონში 150-მდე რეზერვისტია. სხვათა შორის, პირველი მაგალითის შემდეგ, ძალიან ბევრ ქალს გაუჩნდა სურვილი, გახდეს რეზერვისტი. ბევრს გული დავწყვიტეთ, როცა ოსიაურში წასვლაზე უარი ვუთხარით. ახალი ბანაკი თუ გაიხსნება, მათ საშუალება მიეცემათ, როგორც შეუძლიათ, ისე ემსახურონ თავის ხალხსა და ქვეყანას.

ბოლო ინტერვიუ ბატალიონის მეთაურის ინსტრუქტორთან, კაპიტან პაატა ცხადაძესთან ჩავწერეთ:

„ჩემი უშუალო მისიაა, ვიმუშაო ბატალიონის მეთაურებთან. ჩავუტარო მას საჭირო ინსტრუქტაჟი, ვასწავლო ექსტრემალურ ვითარებაში როგორ განალაგოს ქვედანაყოფები და ა.შ. დღემდე ამ ბაზაზე 6 ბატალიონი მოვამზადეთ. ეროვნული გვარდიის რეზერვისტთა მომზადების სისტემა „ნატოს“ პროგრამით ხორციელდება. ამ პროგრამის შესაბამისად, მთლიანად 17 ბატალიონის მომზადებაა გათვალისწინებული. ყოველი მიღებისას ხალხს უკან ვაბრუნებთ. რეზერვისტობის სურვილი გაცილებით მეტ ადამიანს აქვს, ვიდრე ეს შტატით არის გათვალისწინებული. სიმართლე გითხრათ, ეს მსიამოვნებს კიდეც, იმიტომ, რომ თვალნათლივ ჩანს, დღითი დღე როგორ ღვივდება ქართველებში მინავლული მებრძოლი სული. იმისთვის, რომ ბატალიონი სრულყოფილად მოვამზადოთ, ბაზაზე ყველა პირობაა შექმნილი. 14 ინსტრუქტორიდან, რომლებიც პირად შემადგენლობასთან მუშაობენ, ყველას სამხედრო აკადემია აქვს დამთავრებული. ამავე დროს, აქვს ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილებაც. თითოეული მათგანი აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს ომის მონაწილეა. კონკრეტულად მე-13 ბატალიონზე შემიძლია ვთქვა, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში ისინი შეძლებენ თავი გაართვან დაკისრებულ ვალდებულებას, როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში.

— **როგორი იყო პირველად თქვენი რეაქცია, როცა გაიგეთ, რომ ქალ რეზერვისტებთან მოგიწევდათ მუშაობა?**

— როცა სარდალმა ეს ინფორმაცია მოგვაწოდა, ინსტრუქტორები ვერ იჯერებდნენ, რომ მართლა მოიძებნებოდა 26 ქალი, ვინც სამხედრო ცხოვრებით დაინტერესდებოდა. როცა გაჩერდა ავტობუსი და იქიდან გოგონებმა დაგვიქნიეს ხელი, დაიძნენ... „ვაიმე, მართლა ქალები არიან“, — აი, ასეთი იყო პირველი რეაქცია. ვფიქრობდით, ბევრ პრობლემას შეგვიქმნიდნენ და ჩვენს კაცურ საქმეში დისონანსს შეიტანდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. მათ მართლაც ვაჟკაცურად აიტანეს მკაცრი სამხედრო რეჟიმი და თამამად შემიძლია ვთქვა — შეიძლება ქალის ჯარში გაშვება, თუკი მათ ეს ნამდვილად სურთ!

**ნანა ქიბიშაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძაღლით ნადირობას სულ სხვა ხიბლი აქვს

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენში ნადირობის კულტურა მოშლის პირას მივიდა. თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ძველი სანადირო ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნავენ. ზოგიერთისთვის ნადირობის ხიბლი სანადირო ძაღლებშია. „სანადირო მეძაღლეობისა და ძაღლით ნადირობის მოყვარულთა საზოგადოება“ თავისი არსებობის ორი წლის განმავლობაში თანდათანობით იზიდავს ნადირობის მოყვარულებს და ამ დარგის აღორძინება-განვითარებაში გარკვეული მიღწევებიც გააჩნია. ამ და მონადირეთა სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, ბატონი დავით ცხვედიანი:

— ჩვენი ორგანიზაცია მონადირეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლის საქმიანობის მიზანი ნადირობის კულტურის ამაღლება და ეროვნული სამონადირეო სპორტისა და ტრადიციების აღორძინებაა. გვსურს, ძაღლით ნადირობის კულტურული და ზნეობრივი პრინციპების პოპულარიზაცია მოხდეს. ჩვენი საზოგადოება შეიქმნა თბილისის „მონკავშირის“ მიერ უპატრონოდ მიტოვებული და ბოლოს გაუქმებული კინოლოგიური სექციის ბაზაზე. ის ერთადერთი კინოლოგიური ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც სანადირო მეძაღლეობის განვითარებას რეალურად ემსახურება — ატარებს გამოფენებს, საველე გამოცდებსა და შეჯიბრებებს, აგრძელებს იმ მდიდარ კინოლოგიურ ტრადიციებს, რომელსაც საფუძველი გასული საუკუნის ოციან წლებში ჩაეყარა. ქართული სანადირო მეძაღლეობის განვითარება არ შეჩერებულა გასული საუკუნის ოცდაათიან და ომის უმძიმეს წლებშიც კი. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოგიყვანთ: 1939 წელს საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ხუთი პოინტერით იყო წარმოდგენილი, მოსკოვის ოლქში გამართულ ორ საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა, როგორც პირადში, ისე გუნდურში. მგეშავებს შორის კი პირველი პრიზი ქართული სამონადირეო კინოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ბატონმა ლევან ციციშვილმა დაიმსახურა.

— **დღეს რა პრობლემები აქვს სანადირო კინოლოგიას?**

— ერთ-ერთი პრობლემა აღურიცხავი და „უჯიშო“ ძაღლების მოზღვავება და მათი მხრიდან კონკურენციაა. ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ მონადირეთა დიდი ნაწილის მოზიდვა და იმის დამტკიცება, რომ ნადირობის მთელი სილამაზე ჯიშიანი ძაღლით ნადირობაშია. ამისთვის რას არ ვაკეთებთ, სხვა კლუბებთან შედარებით მიზერული თანხის საფასურად ვემსახურებით, რაიონებიდან ჩამოსულ ძაღლის მფლობელ მონადირეებს კი საერთოდ უფასოდ და მაინც, ჩვენი წევრების რაოდენობა ცოტაა. ჩვენთვის ყველაზე მტკივნეულია ყველა ის საკითხი, რაც საერთოდ დგას არა მარტო საზოგადოების წევრების, არამედ ნებისმიერი კანონმორჩილი მონადირის წინაშე: სანადირო იარაღის გაფორმებისა და რეგისტრაციის მოუწესრიგებელი სისტემა, ლიცენზიის აღების გართულებული პროცედურა, დაუხვეწავი სანადირო კანონმდებლობა, რომლის მიხედვით დაშვებულია მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე და აკრძალულია არა მარტო კურდღელზე, არამედ მტაცებლებზე: მგელზე, ტურაზე, მელაზე, ენოტზე ნადირობა. მათზე ნადირობის დაუსაბუთებელი მოტივებით აკრძალვით კი ჩვენთვის ისტორიული, ტრადიციული მდევრებით ნადირობა, ფაქტობრივად, ბრაკონიერობად იქცა. არადა, ვინც მეტ-ნაკლებად ერკვევა მდევრებით ნადირობის საქმეში, კარგად იცის, რომ ასეთი ნადირობისას აქცენტი ძაღლის ოსტატობაზე, ხმის სიძლიერესა და ფიგურალობაზე, ანუ მისი მუშაობის ისეთ ელემენტებზეა გამახვილებული, რომლებიც ნადირობის ესთეტიკურ და ემოციურ მხარეს წარმოაჩენენ და ყურადღება არ ექცევა მოპოვებული ნანადირევის რაოდენობას, ზომა-წონას თუ კულინარიულ თავისებურებებს. მუხრანის, წეროვანის, სართიჭალის მინდვრებში, თბილისის შემოგარენშიც კი მწყერზე ნადირობას ვაიმონადირეები მაისში იწყებენ. კახეთში კი ბოლო წლებში მოდური გახდა მწყრის ფარის შუქზე დაჭერა. ეს საქმე ამ ხალხისთვის მომგებიანია: არც მეძებრის დაგეშვა და მოვლა-პატრონობაა საჭირო, არც ტყვია-წამალი, „ნანადირევიც“ უფრო მიმზიდველად გამოიყურება და ამიტომაც სავსეა ასეთი ნანადირევით გზატკეცილის გასწვრივ გახსნილი სასაუზმეები და რესტორნები.

ზოგიერთს ჰგონია, რომ ყველაზე კარგი მონადირეა ის, ვინც სხვაზე უკეთესად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისვრის, ვინც ყველაზე მეტ ნადირ-ფრინველს მოკლავს, ან კიდევ ძვირად ღირებული თოფით ნადირობს და საუკეთესო აღჭურვილობა გააჩნია. მართალია, ნადირობა ნანადირევის გარეშე უემოციო და უინტერესოა, თოფსაც, ტანსაცმელსაც და სხვა ატრიბუტსაც მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემთვის ეს არ არის მთავარი. კარგი მონადირე ისაა, ვინც, პირველ რიგში, იცავს კანონს, კარგად იცის უსაფრთხოების წესები, უშეცდომოდ არჩევს სავარგულს, პატივს სცემს ნანადირევს და ნადირობს მხოლოდ სუფთა სისხლის სანადირო ძაღლით.

— **რაზე ნადირობას ანიჭებთ უპირატესობას?**

– სპორტული თვალსაზრისით ყველაზე აზარტულად მდევრებით კურდღელზე ნადირობა მიმაჩნია. ასევე ძალიან მიყვარს ტყის ქათამსა და მწყერზე ნადირობა.

— **რომელი ჯიშის ძაღლი მიგაჩნიათ საუკეთესოდ და თქვენ რა გყავთ?**

– ყველა ჯიშის სანადირო ძაღლი უნიკალური და თავისებურია. გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ შემთხვევაში, თვითონ მონადირის გემოვნებას და სანადირო პირობებს აქვს.. მე კი კურცჰაალი მყავს, რომელზეც სამდურავი ნამდვილად არაფერი მაქვს.

— **სანადირო სეზონი იხურება. რას აკეთებთ იმ დროს, როცა ნადირობა აკრძალულია?**

– ისევ ვნადირობ, მხოლოდ მოგონებებში. ჩემთვის დიდი სიამოვნების მომტანია ძველი მოგონებების გახსენება და მეგობრებისთვის ცოტა შელამაზებულად მოყოლა. ნადირობა ხომ ყოველგვარ ეშხს დაკარგავდა და მეც თავს დავანებებდი, ვინმეს ნადირობის თავგადასავლების მოყოლა რომ აეკრძალა. ემოციური თვალსაზრისით, წინა სანადირო მოსამზადებელი პერიოდი – ძაღლების ფორმაში ჩაყენება, ვაზნების გაწყობა და ყველა საჭირო ნივთის წესრიგში მოყვანა და ახლის შეძენაზე ზრუნვა, არაფრით ჩამოუვარდება უშუალოდ ნადირობას. ასე რომ, მონადირეებს მოსაწყენად არასოდეს გვცალია.

— **რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას?**

– როგორც ყოველთვის, მწყრის მოფრენისთანავე დავიწყებთ საველე გამოცდებს. წელს გადაწყვეტილი გვაქვს, სამი საველე შეჯიბრის ჩატარება. ივნისის პირველ შაბათ-კვირას კი მოვაწყობთ რესპუბლიკურ გამოფენას, რისთვისაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მზად ვართ, მაგრამ თუ ვინმე მატერიალურ მხარდაჭერას გაგვიწევს, ამით ცხადია, მეტის გაკეთებას შევძლებთ.

**ლევან ებრალიძე**

# რჩევა-დარიგებანი მონადირეებს



ნადირობისას სასმელსა და სიგარეტზე თავი შეიკავე, ის სიარულს უშლის, თანაც ბოლის სუნი ნადირს აფრთხობს. ერიდე მწარესა და მლაშეს, იკვებე კალორიული საკვებით.

ღამის სათევ ქოხში ან ეხში მოხვედრისას ნაცეცხლარი გადაქექე, შეამოწმე და ცეცხლი მერე დაანთე. ბოროტი მონადირეები ზოგჯერ იქ ვაზნებს ფლავენ, რომ უბედურება მოხდეს.

ველზე ღამის გასათევად წყლისა და შეშის ახლოს მოეწყვეთ. ცეცხლს ხესა და კუნძს ძირში ნუ მიუნთებთ. ის თუ ხმელია, ძნელი ჩასაქრობია, ხანგრძლივად იწვის და ხანძარს გააჩენს.

ველზე კარავი მოფარებით და შემაღლებულ ადგილას ისე დადგი, რომ წვიმის დროს ღვარი შიგ არ შემოვარდეს.

წვიმაში ელჭექისას ერიდე განმარტოებით მდგარ ხეებს, ნურც ბოძებისა და ანძების ქვეშ დადგები. როგორც ყოველთვის, ამ დროსაც თავშესაფრად საიმედოა დაბურული ტყე და გამოქვაბული. თოფი და ფოტოაპარატი წინასწარ უნდა მოიხსნა და ცელოფანში შეხვეული შეინახო.

ასეთ დროს მწვერვალების დაბლა ღელეებში ნუ გაჩერდებით, რადგან ელვისგან დანგრეული კლდე საშიშ საგორავს წარმოქმნის.

მეხდანაცემ ადამიანს ხელოვნური სუნთქვა უნდა ჩაუტაროთ. ტრავმირებულს მოტეხილობაზე არტაშანს ადებენ. დაჟეჟილს, დაჭიმულსა და ნაღრძობს ჯერ ცივ საფენს, ხოლო შემდეგ თბილ კომპრესებს უკეთებენ. ჭრილობიდან სისხლდენის შესაჩერებლად გადაუჭირეთ თოკი ან ქამარი, რომელსაც ყოველ 40 წუთში შეხსნით და რამდენიმე წუთში თავიდან გადაუჭერთ. მცირე ჭრილობა იოდით ან არყით დაამუშავეთ.

მთის ავადმყოფობით შეპყრობილი დაბლა ჩამოყვანით გამოკეთდება. ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე ტყესა და ჭაობებში ყოფნა და ღამის გათენება კოღოებისა და ქინქლების გამო შეუძლებელია, ამიტომ თან უნდა იქონიოთ დამცავი პასტა.

დაჭრილ წაქცეულ ჩლიქოსანთან წინიდან მიდით, რომ წიხლით არ დაგაზიანოთ. დათვსა და ტახთან კი უკანა მხრიდან, თანაც დააკვირდით, – თუ ყურები აკრული აქვს, ჯაგარი აშლილი, ის თქვენ გელოდებათ და შეიძლება საშიშიც იყოს. ნურც მგელს ენდობით. მან თავის მომკვდარუნება და შემდეგ თავდასხმა იცის.

მოკლულ ჩლიქოსანს მაშინვე სათესლეები მოაცილეთ, ის ხორცს სპეციფიკურ სუნს აძლევს. მოაჭერით თავი, რომ სისხლისგან კარგად დაიწრიტოს. გატყავების შემდეგ გამოშიგნეთ და ნაჭრებად აკუწული ხორცი ბუზებისგან დაცულ ბნელ, გრილ ნიავიან ადგილას მარლაჩამოფარებული ჩამოკიდეთ ან ბოლში მოაქციეთ. პოლიეთილენის პარკით ნანადირევს ნუ შეინახავ, ნურც ბარგის ქვეშ მოაქცევ, ჩახურდება და გაფუჭდება.

ყველაზე კარგად და ხანგრძლივად ინახება თოვლის ზვავებისა და გამდინარე წყლის ქვეშ ფაშვით ჩადებული ხორცი.

ბასტურმად ძვალგამოცლილ ხორცს ამარილებენ, პილპილს და ხახვს აყრიან და ქილებში ჩადებულს ზედ ჭინჭარს, ნიორს, აბზინდასა და სხვა ანტისეპტიკურ მცენარეთა ფოთლებს ადებენ. უფრო ხანგრძლივად ინახება მარილწყლიდან ამოღებული თხლად დაჭრილი და მზეზე „ყაღად“ გამომშრალი ხორცი.

სიცხის დროს მოკლულ ფრინველს გაპუტვამდე უკანა ტანიდან მოკაუჭებული ჩხირით ვაცლით ნაწლავებს. ასე ერთი დღე-ღამე ძლებს.

ტყავის გახდა სამნაირი წესით ხდება: საჩუჩელედ – უკანა კიდურებიდან; საგუდედ – თავიდან და სანოხედ – მუცელზე გაჭრით. გახდილ ტყავს ქონსა და ხორცს ვაცლით. ბეწვეულს გადმობრუნებით სამართზე ვჭიმავთ და ჩრდილში ვაშრობთ. მზეზე გაშრობა დაუშვებელია. არც ძლიერ დაჭიმვა შეიძლება, ბეწვს ათხელებს, ხარისხს უკარგავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**რა უნდა ახასიათებდეს კარგ, იაფ მოხერხებულ მუშა იაროს?**

**რა თქმა უნდა, საიმედოობა, უსაფრთხოება, ბალანსი, სილამაზე. ყველა ეს თვისება ერთ არსებადაა შერწყმული „ანტონიო ძოლის" ბოკლფინტებში, შტუცერებსა და კარაბინებში.**



# უნიკალური კომპანიის იარაღი

დღევანდელით სახით კომპანია 1945 წელს დააარსა იარაღის ორმოცი წლის ოსტატმა ანტონიო ძოლიმ, თუმცა ამ გვარის მეიარაღეთა დინასტია, ჯერ კიდევ აღორძინების ხანიდან XV საუკუნიდანაა ცნობილი. ძოლის მეიარაღე ოჯახის ახალი ისტორია კი 1867 წლიდან იწყება, როცა თავისი განუმეორებელი ოსტატობით სახელი გაითქვა თოფის საკეტების მკეთებელმა ოვანი ძოლიმ. საკუთარი ხელობა მან შვილს — ჯუზეპეს გადასცა. მის შვილს ანტონიოს კი წილად ხვდა, ომის შემდგომი იტალიის ყველაზე გამოჩენილი მეიარაღე გამხდარიყო.

1960-იანი წლებისთვის ანტონიო ძოლიმ და შვილებმა, პირველებმა აპენინებზე სამ-ლულიანი თოფებისა და ბოკბიუკ ფლინტების ისეთი სერიული წარმოება დაიწყეს, რომელმაც მონოპოლია ჩამოართვა ამ ტიპის კომბინირებული თოფების მწარმოებელ, ავსტრიულ და გერმანულ ფირმებს.

1956 წელს ძოლიმ, პირველმა მსოფლიოში დაიწყო ძველებური დამბაჩების კეთება, რომლებიც ლულიდან იტენებოდნენ.

ასე ჩაეყარა საფუძველი, იარაღის წარმოებაში ახალ დარგს — ისტორიული იარაღის ასლების დამზადებას, რომელსაც ახლაც კოლოსალური შემოსავალი მოაქვს.

დღეისთვის ფირმის საქმეებს, დამფუძნებლის შვილიშვილი, პაოლო ძოლი აწარმოებს ერთ-ერთ მის საწარმოში, რომელშიც სამოცამდე მუშა-მოსამსახურე მუშაობს, საამქროები ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებითაა აღჭურვილი. მართალია, იარაღის დეტალებს დაზგური წესით ამუშავებენ, სამაგიეროდ, მათი აწყობა მხოლოდ ხელით ხდება. ერთი ასეთი საწარმო წელიწადში ათიდან თორმეტ ათასამდე გლუვლულიან, ხრახნლულიან და კომბინირებულ თოფს უშვებს.



ანტონიო ძოლი — უნიკალური კომპანიაა. ესაა კონტინენტზე ერთადერთი ფირმა, რომელშიც მინიატიურულადაა გამეორებული მთელი ევროპის საიარაღო წარმოება. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, რამდენიმე ასეული, კუსტარულ თუ ნახევრად კუსტარულ, აგრეთვე თანამედროვე ტიპის ფირმებს წარმოადგენს.

მოკლედ რომ ვთქვათ, იტალიელები ყველა ძირითად იარაღს თავად აწარმოებენ. ერთლულიან გადასახსნელს, ტუმბოსებრს,

**1956 წელს ძოლიმ, პირველმა მსოფლიოში დაიწყო ძველებური დამბაჩების კეთება, რომლებიც ლულიდან იტენებოდნენ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევრად ავტომატს, სიგრძივ სრიალა ჩამკეტიან კარაბინს, სამლულიანებს, სპორტულ ბოკფლინტებს და ბოლოს, სანადირო თოფებს ლულების ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგებით. ამასთან ერთად, ფირმა ლულების ნებისმიერ კომბინაციას გთავაზობთ: გლუვი-გლუვი, გლუვი-ხრახნიანი, ხრახნიანი-ხრახნიანი. ფირმამ შეუძლებლის გაკეთება შეძლო. მან იარაღის დეტალების მაქსიმალური უნიფიცირება მოახდინა. მათი დამუშავებისას იყენებს შესრულებისნაირფერ ვარიანტს და სამშვენისს. ამასთან ერთად, პროდუქციას დიდ სერიებად უშვებს — მთავარი კი ის არის, რომ ძოლის პროდუქცია გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე სხვა, იარაღის მასობრივად მწარმოებელი ფირმებისა.

1960-იანი წლების ბოლოს „ანტონიო ძოლიმ“ ევროპაში ერთ-ერთმა პირველმა დანერგა წარმოებაში ციფრული დაპროგრამების დაზგები, რომლებიც დღეს ტექნოლოგიური პროცესის ყველა ეტაპზე გამოიყენება და დეტალების უმაღლესი ხარისხის გარანტიას იძლევა. კომპიუტერის გამოყენებით იარაღის კონსტრუირების ახალი პრინციპი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შეამციროს ახალი მოდიფიკაციის იარაღზე გაწეული შრომა, დრო და დანახარჯები.

მონადირეებისა და სპორტსმენების მხრიდან დიდი მოთხოვნაა ვერტიკალურლულიან თოფებზე, ბოკფლინტებსა და შტუცერებზე. „ანტონიო ძოლის“ „ვერტიკალები“ კონსტრუქციულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება, გარეგნულად კი საერთოდ არ ჰგავს ერთმანეთს. ეს ნაირფეროვნება მიიღწევა კონდახის ფორმისა და მასალის ცვლით და დეკორის რთული მოტივების გამოყენებით.

სანადირო თოფებს რამდენიმე ვარიანტად უშვებენ (განსხვავებული სიგრძის ლულები, ერთი ან ორი სასხლეტით, ეჟექტორებით ან ექსტრაქტორებით, მუდმივი და შესაცვლელი ლულებით).

იარაღის მოვარაყების რამდენიმე გრადაცია არსებობს. ყოველი ახალი გრადაცია გამოირჩევა კონდახის განსხვავებული ფორმითა და დეკორით, მეტალის ნაწილები კი მაღალი დონის დამუშავების ხარისხით, ხოლო მექანიზმის კოლოფი დეკორატიული მოპირკეთების სირთულით. მექანიზაცია და ავტომატიზაცია არა მხოლოდ ცალკეულ დეტალებს შეეხო, დაზგებით სრულდება აგრეთვე გრავიურები. დოლურას შტამპის გარეთა მხარეს წინასწარ ათავსებენ ნახატს ან ჩუქურთმას, რომელიც იარაღის მექანიზმის კოლოფზე საგორავით დატკეპნის მეთოდით გადააქვთ. დეკორირების მექანიზებულმა მეთოდმა გამოათავისუფლა ხელით მომუშავე მხატვარ-გრავიორის მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, რამაც კიდევ უფრო შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, მაგრამ როცა საქმე „ლუქსის“ კატეგორიის იარაღს ეხება, თოფების გაფორმებაზე მაღალი კვალიფიკაციის ნამდვილი პროფესიონალი მხატვარ-გრავიორები ტრადიციული მეთოდებით მუშაობენ.



იარაღის მოვარაყების რამდენიმე გრადაცია არსებობს. ყოველი ახალი გრადაცია გამოირჩევა კონდახის განსხვავებული ფორმითა და დეკორით, მეტალის ნაწილები კი მაღალი დონის დამუშავების ხარისხით...

„ანტონიო ძოლის“ ყველა „ვერტიკალის“ დამშვებ-დამცემი მექანიზმი და საკეტის სისტემა, ერთი ტიპისაა და ბრაუნინგის ცნობილ ჩარჩოსებრ ჩამკეტს ეფუძნება. 1925 წელს მეიარაღეთა შორის ყველაზე ნაყოფიერმა გამომგონებელმა ჯონ მოზეს ბრაუნინგმა თავისი პირველი ბოკფლინტისათვის დაამზადა ახალი ტიპის საკეტი, რომელსაც შემდგომ ჩარჩოსებრი ეწოდა. იმ დროისთვის წარმოუდგენლად ორიგინალური ეს სისტემა, იმდენად საიმედო გამოდგა, რომ დღესაც საუკეთესოდ და შეუცვლელად ითვლება. ვერტიკალურლულიანი თოფებისთვის „ანტონიო ძოლის“ ფირმამაც თავისი „ვერტიკალების“ ყველა მოდელში ზუსტად ეს სისტემა გამოიყენა. ჩარჩოსებრი საკეტის განმასხვავებელი თავისებურება ის არის, რომ მთელი დამშვებ-დამცემი სისტემის მექანიზმი ჩარჩოშია მოქცეული. ანალოგიური სისტემითაა აღჭურვილი ჩვენთვის კარგად ცნობილი იჟევსკის საიარაღო ქარხნის გამოშვებული სანადირო თოფები ИЖ-59 „სპუტნიკი“, ИЖ-12, ИЖ-27 და სხვები.

ლულების კოლოფზე დაკიდების სისტემა კი პრინციპულად განსხვავდება ბრაუნინგის სისტემისგან. ბრაუნინგის ბოკფლინტებს, „ძმებ მარკელებისა“ და „იჟევსკის“ თოფებს ტრადიციული ლულისქვემოთა კავი აქვთ, რომელიც თოფის გადახსნის დროს ერთიან ღერძის ჭანჭიკზე შემობრუნდება.

„ანტონიო ძოლის“ ბოკფლინტებში კი გამოყენებულია ეგრეთ წოდებული კონსოლური დაკიდების სისტემა, რომელსაც „ბოს ვუდვარდის“ სისტემას უწოდებენ. მისი მუშაობის პრინციპი ლონდონურმა ფირმა „ბოს და კო“-მ 1909 წელს დაამუშავა, „ბოს ვუდვარდმა და შვილებმა“ იგი უბრალოდ გააუმჯობესეს.

სახსრისებური გადაბმის ორიგინალური სისტემა, ძირითადად, ინგლისურ და ბელგიურ ბოკფლინტებში გამოიყენება. 1970 წლიდან გამარტივებული ტიპის ეს სისტემა იტალიელ მეიარაღეთა შორისაც გავრცელდა.

სახსრისებური შეერთების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას იძლევა ბოკფლინტის მექანიზმის კოლოფი საშუალოდ 5 მილიმეტრით შემცირდეს, რაც თოფის მოხერხებულად გამოყენების კოეფიციენტს აუმჯობესებს. გარდა ამისა, ლულისქვემოთა კავების შეცვლამ იარაღის მასის შემცირება გამოიწვია.

შეიცვალა „ვერტიკალების“ არქიტექტონიკაც: შეიცვალა კოლოფის პროპორციები, რამაც იარაღს კომპოზიციურად გაწონასწორებული და მოხდენილი სახე მიანიჭა.

ერთადერთი უარყოფითი, რაც სახსრულ შეერთებას ახასიათებს, მისი ლულაზე ხე-



ფირმა ლულების ნებისმიერ კომბინაციას გთავაზობთ: გლუვი-გლუვი, გლუვი-ხრახნიანი, ხრახნიანი-ხრახნიანი...



ძოლის პროდუქცია გაცილებით იაფი ღირს, ვიდრე სხვა, იარაღის მასობრივად მწარმოებელი ფირმებისა.

ლით მორგების აუცილებლობაა. ხელით შესრულებული სამუშაო, კარგად მოგეხსენებათ, გაცილებით ძვირად ფასობს, რაც მზა პროდუქციის საბოლოო ფასზეც აისახება.

„ანტონიო ძოლის" სპორტულ ბოკფლინტებში უნიტარული დამსხლეტი მექანიზმის ინერციული სისტემაა გამოყენებული. მისი სასხლეტი მხოლოდ გარკვეული თანმიმდევრობით მუშაობს „ქვემოთ-ზემოთა" ლულებში. სამონადირო მოდელებში ერთსასხლეტიან მექანიზმს აქვს სელექტორი, რომელიც დამცველის ღილაკთანაა მიერთებული. ერთსასხლეტიან სიტემას არც ისე დიდი უპირატესობა გააჩნია. მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ ხელთათმანით სროლა შეიძლება. „ვერტიკალების" უმრავლესობა ეჟექტორებითაა გაწყობილი.

მექანიზმის კოლოფის ქვემოთ ზედაპირზე სახსრის დონეზე, ნახევარმთვარის ფორმის ჭრილი თოფის გადახსნის დროს მასში შედის მეტალის კიდური, რომელიც თოფის ლულების მაქსიმალური კუთხით გადახსნას უზრუნველყოფს და გასროლილი ვაზნების დაუბრკოლებელი ამოსროლის (იჟექციის) გარანტიას იძლევა.

ზოგიერთ ბოკფლინტს თავისებურება ახასიათებს. გარდა სამიზნებელი თამასისა, მათ აქვთ გვერდითა, შემაერთებელი თამასაც. მაგრამ ლულები მათი მეშვეობით არა მთელ სიგრძეზე, არამედ მხოლოდ 11 სანტიმეტრზეა შეერთებული. ასეთი მიდგომა კონსტრუქციულ სიმყარეს სძენს იარაღს, რამდენადმე ამსუბუქებს და, რაც მთავარია, არ აუშნოებს მას. „ანტონიო ძოლის" მოდელების უმრავლესობის მექანიზმის კოლოფები და ლულები ქრომ-მოლიბდენის ფოლადისგან მზადდება. მსუბუქი სანადირო თოფების კოლოფებს, სპეციალური შენადნობით „ერგალ-55"-ით აკეთებენ. მოკრძალებული, მაგრამ მკვეთრი გრავიურა, რომლებიც ამ თოფებს ახლავს, მაღალი გემოვნებითაა შესრულებული. მექანიზმის ყუთის ქვემო მხარეზე ამოტვიფრულია ფირმის მარკა – რომბში ჩასმული მშვილდი, სტილიზებული ისრით. მარცხენა მხარეს საწარმო-შემსრულებლის დასახელებაა – ანტონიო ძოლი, მარჯვენაზე კი მოდელის დასახელება. შემსრულებლის სრული სახელწოდება Antonio Zoli spa ამოტვიფრულია ლულის ზედაპირზე. საინფორმაციო და სახელმწიფო შემოწმების აღმნიშვნელი დამღები იარაღს ლულის ქვემოთა და გვერდითა ზედაპირზე აქვს.

1970-იანი წლების ბოლოს „ანტონიო ძოლიმ" მჭიდიანი კარაბინების გამოშვება დაიწყო, რომელსაც გასწვრივ მოსრიალე საკეტი ჰქონდა. ახალი იარაღის პოპულარობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

კარაბინი იმდენად სრულყოფილი იყო, რომ იარაღის მწარმოებელმა შვედურმა კომპანია „გუსკვარნამ" პროდუქციის დიდი ნაწილი მაშინვე შეისყიდა და საკუთარ ქვეყანაში გაგზავნა. ეს ფაქტი იმიტომაა აღსანიშნავი, რომ ახალი კარაბინის ტექნიკური კონსტრუქციის ბაზად გამოყენებული იყო ფირმა „გუსკვარნა 1900" საბრძოლო მოდელი. იტალიურმა ფირმამ კარაბინს თავისი ძველი შვედური დიზაინი შეუნარჩუნა, სამაგიეროდ, შეცვალა დეტალების წარმოების ტექნოლოგია, რითაც ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია. Antonio Zoli AZ კარაბინის 9 ვარიანტს უშვებს, 12 ტიპის ვაზნებისთვის: Standard, Lux Super Lux, Stutzen, Anniversary და სხვა. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან მასით (3,3-3,4 კგ), მჭიდის ტევადობით (4-5 ვაზნა), ლულისა და კონდახის სიგრძით (53-60 სმ). ასევე კონდახის ფორმითა და კაკლის ხის ხარისხით, მორთულობის დონითა და დეკორის შესრულების სირთულის მიხედვით.

ამას გარდა, იარაღი ჩვეულებრივის გარდა, ცაციებისთვის შებრუნებულ ვარიანტადაც კეთდება, რომელსაც საკეტის სახელური მარცხნივ აქვს. Battue-ს ვერსია მაღალი სამიზნე თამასით მზადდება – სახუნდარიდან სასროლად. „შტუცერის" ვერსიაში კი 60 სანტიმეტრის ლულა მთლიანად ხეშია ჩამჯდარი, ამ იარაღს მთაში ჯიხვებზე სანადიროდ იყენებენ. იტალიური კარაბინის აწყობის დროს, ჩამკეტი მექანიზმის ლულასთან ხელით მორგება უზრუნველყოფს დამსხლეტ-დამრტყმელი მექანიზმის უზადო ფუნქციონირებას, ეს თვისება კი, მხოლოდ ძვირფას იარაღს ახასიათებს.

იარაღის კარგი ბალანსირება საშუალებას იძლევა ელვის უსწრაფესად მოახდინოთ მიზანმიმართული გასროლა. კარგად მორგებული რბილი საკეტი და შედარებით მსუბუქი წონა (გააჩნია კალიბრს) მონადირის გადაღლას არ იწვევს და განმეორებითი სროლებიც სწრაფად და მსუბუქად ხდება.

მჭიდიანი კარაბინის უარყოფით მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს მისი ლულის სიგრძე – 53 სანტიმეტრი, რომელიც დამიზნებული სროლის მანძილს 200 მეტრამდე ამცირებს.

Antonio Zoli – ესაა ფირმა, რომელმაც მოახერხა ერთ ჭერქვეშ მოექცია მთელი ევროპის იარაღის წარმოება და ნახევარი საუკუნის განმავლობაში გამოუშვა ისეთი პროდუქცია, რომელიც ხელმისაწვდომია თითოეული მონადირის, სპორტსმენისა და ელიტური იარაღის ესთეტებისათვის.

ძოლიმ იარაღის დეტალების მაქსიმალური უნიფიცირება მოახდინა. მათი დამუშავებისას იყენებს შესრულების ნაირფერ ვარიანტს და სამშვენისს. ამასთან ერთად, პროდუქციას დიდ სერიებად უშვებს



თუ არასდროს განგიცდიათ თევზის დაჭერა, თევზაობა მარტივ და მოსაწყენ საქმედ მოგეჩვენებათ. თევზაობას (ბარბაროსული მეთოდების გარდა) განსაკუთრებული ცოდნა და ალღო სჭირდება. ამის დასადასტურებლად მხოლოდ ქვემოთ შემოთავაზებული სატყუარების მრავალფეროვნებაც კმარა. თუმცა თავდაპირველად მოკლედ იმის შესახებ, თუ როდის და რა ადგილებში უფრო მოდის თევზი.



# სატყუარა

## ანუ რა უყვარს თევზს

ანკესზე თევზი ადრე გაზაფხულსა და გვიან შემოდგომით უფრო მოდის, ვიდრე ზაფხულში. ზაფხულში ანკესს შედარებით უკეთესად ედება განთიადზე და საღამოს, ხოლო ცუდად — შუადღეზე. რაც უფრო ახლოსაა წელიწადის დრო ადრე გაზაფხულთან ან გვიან შემოდგომასთან, — თევზიც უკეთესად მოდის, ისევე, როგორც ნებისმიერ დროს მოღრუბლულ ამინდში. ქვირითის დაყრის წინ და განსაკუთრებით დაყრის შემდეგ თევზი უკეთესად კიდებს პირს ანკესს. წყლის მატება ან კლება შესამჩნევად აისახება თევზაობაზე, კერძოდ, რაც უფრო იმატებს წყალი, მით უფრო ცუდად მოდის თევზი და პირიქით. ქარი და საშუალო სიცივე კარგად მოქმედებს თევზის მოსვლაზე, განსაკუთრებით ფსკერის ანკესზე. სიცხე და წყნარი ამინდი — პირიქით. წყლის ამღვრევა ხელისშემშლელია, გამჭვირვალობა კი — სასარგებლო. რაც უფრო მეტი ორგანული მინარევები აქვს წყალს, თევზი ნაკლებადაა. მცირე გამონაკლისის გარდა, როცა ერთ აუზში გვხვდება დანარჩენი ტერიტორიისგან განსხვავებული სივრცე, ასეთ ადგილში თევზი უფრო კარგად მიდის. მაგალითად: ვიწრო მდინარეში — შედარებით ფართო წყალსაცავში და დიდ მდინარეში — ვიწრო შენაკადებში, ღრმა წყლებში — მეჩეჩზე, თავთხელ წყალში — ორმოებში, სწრაფმავალ მდინარეში — ყურეებში.

### ჭიჭყინა და ძარძაყი

პატარა თევზები და ლიფსიტები ფართოდ გამოიყენება მტაცებელი თევზების დასაჭერად. ჩვეულებრივ, წყალსაცავში სატყუარად იყენებენ იმ თევზების ლიფსიტებს, რომლებიც მასშია გავრცელებული. არის თევზის ზოგიერთი სახეობა, რომლითაც პრაქტიკულად ყველა მტაცებელ თევზზე ნებისმიერ წყალსაცავში თევზაობენ. ამ სახეობას ეკუთვნის მაგალითად ციმორი. წვრილ თევზს იჭერენ თხელ წყალში. ამისთვის იყენებენ სხვადასხვა კონსტრუქციას, ზოგჯერ ბადეს. ჭიჭყინას ნემსკავზე სხვადასხვაგვარად ამაგრებენ. თუ წყალი მდორედ მოედინება, ამაგრებენ ზურგზე ერთმაგ, ორმაგ ან სამმაგ ნემსკავს. თუ მსხვილ თევზზე თევზაობენ, დამატებით ძუაზე კიდევ ერთ ნემსკავს ამაგრებენ. თუ სწრაფ დინებაში თევზაობენ, მაშინ ნემსკავს პირზე გამოსდებენ ხოლმე. სპინინგით თევზაობისას ხანდახან სატყუარად იყენებენ მკვდარ თევზს ან თევზის ნაჭერს.

### თავკომბალა

თავკომბალა ბაყაყისა და სხვა უკუდო წყალხმელეთა არსებების ლიფსიტაა. აქვს გრძელი ოვალური სხეული თათების გარეშე და ვიწრო კუდი. თავკომბალებს იჭერენ გუბურებში, პატარა წყალსაცავებსა და დიდ ტბორებში. ამ სატყუარას იყენებენ იდის, ქაშაყის და ლოქოს საჭერად. გამოიყენება 7-10 ნომერი ნემსკავი.

### ბაყაყი

ბაყაყი ცნობილი წყალხმელეთაა, მისი ზოგი სახეობა 20 სმ აღწევს. ტბის, გუბურის ბაყაყი მწვანეა. ის ყველგანაა გავრცელებული და ხშირად იყენებენ ლოქოს საჭერად. ბაყაყს მსხვილ ნემსკავს გამოსდებენ ზურგზე ისე, რომ ხერხემალი არ დაუზიანდეს. პატარა ბაყაყები კარგი სატყუარაა ქაშაყისთვის, იდისთვის, ქარიყლაპიასთვის, იყენებენ №7-დან №10-მდე ნემსკავს.

### მოლუსკი

მტკნარი წყლის ორსაგდულიანი მოლუსკების ხორცი მრავალი სახეობის თევზის სატყუარად გამოიყენება, მაგრამ აქვს ერთი ნაკლიც — ცუდად მაგრდება ნემსკავზე. ამიტომ იყენებენ მის შედარებით მაგარ კუნთს. წყალსაცავის ფსკერიდან იღებენ ნიჟარას, დანით ხსნიან და ხორცს აჭრიან. პატარა ნაჭრებს ამაგრებენ ნემსკავზე, რომლის წვერს ღიად ტოვებენ. თევზაობენ ტივტივა ანკესით მდორე დინების წყალსაცავში. ძუა ტივტივასა და ანკესის ბოლოს შორის არ უნდა იყოს მოშვებული, როგორც კი თევზი მოეკიდება, საჭიროა მაშინვე ამოკვრა. არ უნდა უცადო, სანამ ტივტივა წყალზე დაწვება და ჩაიძირება. მოლუსკი უფრო მტკიცე იქნება, თუ მზეზე ან ჰაერზე გამოაშრობთ. თუმცა ასეთი თევზაობისას საჭიროა განსაკუთრებული გამოცდილება. ყურადღება უნდა მიექცეს ანკესის მოქნევისას თავისუფალი ძუის სიგრძეს, რათა სატყუარა ნემსკავს არ მოსწყდეს. მოლუსკებით იჭერენ ლოქოს, კობრს, კაპარჭინას, თავდიდას, გველთევზას და სხვა.

### კიბორჩხალა და მისი ხორცი

ჩვენს დროში კიბორჩხალა ძვირად ღირებულ სატყუარად იქცა, რადგან მისი რაოდენობა წყალსაცავებში გამუდმებით იკლებს და მოპოვება დღითი დღე უფრო ჭირს. მის განადგურებას ხელს უწყობს ქიმიური ნარჩენები, ნაგავსაყრელები მდინარის პირას და ადამიანის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გარემოსადმი. კიბორჩხალას ხორცი გამოიყენება ქარიყლაპიას, ლოქოს, ქორჭილას დასაჭერად. კიბორჩხალას დაჭერა შეიძლება სუფთა წყალსაცავების ნაპირებზე, სადაც მიწის გრუნტი კიბორჩხალას სოროს ამოთხრის საშუალებას აძლევს. ისინი განსაკუთრებით აქტიურები არიან ღამით — ამ დროს, ძირითადად, ფარნის გამოყენებით იჭერენ. კიბორჩხალების შენახვა შეიძლება უწყლოდაც, ოღონდ არა მზეზე და ორპირში. უმჯობესია, გავაჩეროთ წყალში ჩაშვებულ კალათში ან მუყაოს კოლოფში. ჩვეულებრივ თევზაობენ უმი კიბორჩხალებით, იშვიათად კი მოხარშულით, რომელიც უფრო მკვრივია და კარგად მაგრდება ნემსკავზე, თუმცა ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე ნატურალური. კიბორჩხალის ხორცი შეიცავს გოგირდს, ამიტომ შუშის ჭურჭელში უნდა შეინახოს. კიბორჩხალის ხორცს ან კისერს ამაგრებენ №7, №12-მდე ნემსკავზე.

ლევან ებრალიძე



## ლეგენდარული „კატიუშას“ შთამომავალი

# ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა

# БМ-21 „ГРАД“

„გრადი“ საყოველთაოდ ცნობილი „კატიუშას“ შვილობილია. ის საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 60-იან წლებში გამოჩნდა და თავი პირველად ჩინეთის საზღვართან მომხდარ კონფლიქტში გამოიჩინა. მაშინ დამანსკის კუნძულებისთვის ბრძოლაში სწორედ საბჭოთა „გრადებმა“ გადაწვეს ჩინელების საბრძოლო ქვედანაყოფები, რისთვისაც „გრადის“ რაკეტები ჩვეულებრივი ქობინების მაგივრად ცეცხლწამკიდი ასაფეთქებელი ნივთიერებებით იყო დატენილი. КГБ-მ კი საგანგებოდ გაავრცელა დეზინფორმაცია, თითქოს საბჭოთა არმიამ საბრძოლო ლაზერული დანადგარები გამოიყენა (დეზინფორმაცია, ალბათ, ამერიკელების დასაშინებლად თუ იყო გამიზნული).



„გრადების“ დივიზიონის ერთდროული ზალპი

БМ-21 „ГРАД“-ის დანადგარი „ურალის“ ტიპის სატვირთო ავტომობილზეა დამონტაჟებული და ჩატვირთული რაკეტებიანად სულ 13 ტონას აღწევს. მანქანაზე 40-ლულიანი გასაშვები მოწყობილობაა მოთავსებული, რომელშიც ამდენივე 122 მმ-იანი კალიბრის სამმეტრიანი რაკეტა იტვირთება.

ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარის მთავარი უპირატესობა ჩვეულებრივ საარტილერიო დანადგარებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ მას გასაოცარი სწრაფსროლა ახასიათებს და 40 რაკეტის გაშვება სულ 20 წამში შეუძლია. ე.ი. ყოველ წამში 2 გასროლა. ეს მაშინ, როცა 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30-ს მაქსიმუმ 10 წამში შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ერთი გასროლა. ამიტომაც „გრადს“ ძალუძს მოულოდნელად დააზიანოს მოწინააღმდეგე და არ მისცეს მას მოფიქრებისა და თავშესაფრის ძებნის საშუალება. სროლა შეიძლება როგორც მანქანის ბორტიდან, ისე 60 მ-მდე მოშორებით, გადასატანი პულტიდან.

ქართული არმიის შეიარაღებაში „გრადები“ პირველად 1992 წლის გაზაფხულზე გამოჩნდა. რუს სამხედროებს „გრადის“ სამი დანადგარი საქართველოდან სომხეთში გაჰქონდათ, როდესაც სამხედრო პოლიციამ მათი ექსპროპრიაცია მოახდინა. თავის დროზე ეს „გრადები,“ ცხინვალის მისადგომებთანაც კი იქნა ჩაყვანილი, მაგრამ არ გამოუყენებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხინვალში დიდი ნგრევა მოხდებოდა.

აფხაზეთის ომის დროს ქართული „გრადები“ ფართოდ გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის პოზიციების დასაბომბად. უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სხვადასხვა ჯურის პარტიზანები გადასატან „გრადებს“ აქტიურად იყენებენ



გაზ 66-ზე დამონტაჟებულ, სადესანტო ჯარების შეიარაღებაში მყოფ „გრადს“ 12 ლულა აქვს...

აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ომის დროს „გრადები“ ქართული მხარის ყველაზე შორსმსროლელ (21 კმ-მდე) საარტილერიო დანადგარებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი სროლის სიშორე მაინც არასაკმარისი იყო სეპარატისტების ბუნაგის — გუდაუთის დასაბომბად (გუმისთიდან გუდაუთამდე 30 კმ-ზე მეტია).

ამიტომაც სოხუმის უმოწყალოდ დაბომბვის საპასუხოდ 1993 წლის გაზაფხულზე ქართველმა სამხედროებმა ერთი საინტერესო ოპერაცია ჩაატარეს. მათ „გრადის“ ერთი დანადგარი ბარჟაზე მოათავსეს და ზღვიდან სცადეს გუდაუთის დაბომბვა. თუმცა იმის გამო, რომ „გრადი“ ბარჟაზე ყოველგვარი სტაბილიზების გარეშე იყო დაყენებული, მცირე ღელვამაც კი მიზნის არევა გამოიწვია — რაკეტები ქალაქს ასცდა და სადღაც მთებში აფეთქდა.

„გრადებს“ განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით სოხუმის დაცვაში. 1993 წლის იანვრისა და მარტის ცნობილი ბრძოლებისას გუმისთასთან სწორედ „გრადებმა“ ჩაშალეს მოწინააღმდეგის შემოტევა. ივლისში კი, როდესაც სეპარატისტებმა ტამიშთან საზღვაო დესანტი გადმოსხეს, ახალი კინდღიდან ისევ „გრადი“ უშენდა ცეცხლს მტერს.

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმებით, ქართულმა მხარემ „გრადები“ სხვა მძიმე ტექნიკასთან ერთად აფხაზეთიდან გამოიტანა. 16 სექტემბრის თავდასხმის დროს კი სოხუმი დაუცველი დარჩა. ქართული არტილერია რომ კვლავ მდგარიყო სოხუმის დაცვაში, ქალაქი არ დაეცემოდა. ბლოკადაში აღმოჩენილმა ქალაქის დამცველებმა კონსტრუქციული ნიჭი გამოამჟღავნეს და ერთ-ორ დღეში „გრადის“ რაკეტების ოცამდე გასაშვები მილი „მაზ“-ის ტიპის ავტომობილებზე დაამონტაჟეს. მოგვიანებით, აგუძერასთან ბარჟამ დამატებით ორი „გრადი“ გადმოტვირთა, მაგრამ ეს ძალები უკვე აღარ იყო საკმარისი, რადგან „გრადები“ ეფექტური მხოლოდ მაშინ იყო, როდესაც მოწინააღმდეგე გუმისთაზე გადმოდიოდა. ქალაქის ბრძოლებში კი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები ბევრს ვერაფერს შეძლებდნენ. ქართული დამხმარე ძალები მდინარე კოდორთან ბლოკადის გარღვევას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. შეტევაზე გადმოსულმა მოწინააღმდეგემ ხელში ჩაიგდო როგორც მინიმუმ, ერთი აფეთქებული ქართული „გრადი“.

უცხოელი სამხედრო ექსპერტების მონაცემებით, დღეისთვის ქართული არმიის შეიარაღებაშია დაახლოებით 16 ერთეული (თუ ამას მივუმატებთ ჩეხეთში ნაყიდ RM-70-საც, მაშინ „გრადების“ რიცხვი გაიზრდება) БМ-21 „ГРАД“-ი. შედარებისთვის: აზერბაიჯანს გააჩნია 53 ასეთი სისტემა, ხოლო სომხეთს — არანაკლებ 47 „გრადი“, პლუს, მთიან ყარაბაღში განლაგებული სომხური სამხედრო შენაერთების 44 ერთეული ასეთივე სისტემა. რაც შეეხება აფხაზებს, მათ რამდენიმე „გრადი“ უნდა ჰქონდეთ.

სხვათა შორის, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი პარტიზანული მოძრაობებიც იყენებდნენ „გრადებს“. რა თქმა უნდა, ისინი „გრადის“ მთელ სისტემას შეუმჩნევლად ვერ ატარებდნენ. ამიტომაც ისრაელის წინააღმდეგ მებრძოლმა „ჰეზბოლაჰის“ წარმომადგენლებმა „გრადი“ დაშალეს, აიღეს მხოლოდ ერთი გასაშვები ლულა, რომელიც ერთ-ორ რაკეტასთან ერთად მალულად თავსდება საშუალო საბარგო ავტომანქანაშიც. ისინი ისრაელის საზღვართან აყენებენ ამ გასაშვებ მილს, ისვრიან რაკეტას და მაშინვე ტოვებდნენ პოზიციას. ებრაელების თვითმფრინავები კი მხოლოდ ცარიელ ადგილებს ბომბავდნენ. ავღანელი მოჯაჰედები საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ იყენებდნენ „გრადის“ მაგვარ 82 მმ-იან ჩინურ ზალპურ ცეცხლის რეაქტიულ სისტემას, რომელიც ადვილად თავსდებოდა ГАЗ-66-ის სატვირთო ავტომობილის ძარაზე.

მოგვიანებით, „გრადს“ „ურაგანისა“ და „სმერჩის“ სახით ძმებიც შეეძინა, თუმცა ეს სხვა სტატიის თემაა.

*ირაკლი ალადაშვილი*

ქართულ საარტილერიო კატარღა „ახმეტას“ გემბანზე დამონტაჟებული „გრადის“ გასაშვები დანადგარი

**ჩვენი დოსიე:** ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 „ГРАД-ი 13,7 ტ-ს იწონის და ორმოცივე რაკეტის გაშვება 20 წამში შეუძლია. „გრადის“ 67 კგ-იანი რაკეტები მაქსიმალურ 21 კილომეტრზე მიფრინავენ. გასროლის შემდეგ „გრადის“ რაკეტებით ხელახლა შევსებას ეკიპაჟის ექვსი წევრი მინიმუმ 7 წუთს ანდომებს.



# БМ-21 "ГРАД"



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეფო ძაღლი თუ მინდვრის დედოფალი

# ინგლისური სეტერი



**გადმოცემის თანახმად, ინგლისური სეტერი, როგორც ჯიში, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სხვადასხვა ტიპის წითური და ლაქებიანი სეტერების შეჯვარებით გამოიყვანეს. ამ ჯიშის ძირითადი მოვალეობა ნადირობაა. მას მკვეთრად გამოხატული სამონადირო თვისებები აქვს. სეტერი, ძირითადად, გარეულ ფრინველებზე სანადიროდ დაჰყავთ.**

ინგლისური სეტერი საშუალო სიმაღლის ძაღლია, ხვადის სიმაღლე 56-64 სმ-ია, ძუსი – 53-62 სმ. 2 სმ-ის ცდომილებაც კი მათი შეფასებისას უარყოფითად მოქმედებს. ინგლისური სეტერი სწრაფი, მოძრავი და ტემპერამენტიანი ძაღლია, საკმაოდ გაწონასწორებული ფსიქიკით. სხვა სეტერებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ ყველაზე დამჯერია და ადვილად იწვრთნება. ინტელექტუალური აზროვნებით გამოირჩევა, უყვარს ურთიერთობა და არა სულელური ბრძანებების შესრულება. რაოდენ





ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი



ინგლისური სეტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



გასაკვირიც უნდა იყოს, მასთან საუბარიც შეგიძლიათ. ალერსიანია და კარგად ეწყობა ბავშვებს. უჯერებს მათ და ყოფილა შემთხვევები, როცა ბავშვს უკეთ გაუწვრთნია ძაღლი, ვიდრე მოზრდილ ადამიანს. ამას ადასტურებს ინგლისში მოწყობილი სეტერთა გამოფენა სახელწოდებით „ბავშვი და ძაღლი", სადაც მონაწილე ბავშვები, რომელთა ასაკი ათ წელს არ აღემატება, ყოველთვის დიდი წარმატებით გამოდიან. ინგლისური სეტერი ნებისმიერ მგზავრობისას გაგიწევთ კომპანიონობას. თავისი მშვიდი ხასიათის წყალობით, ბევრ ხალხშიც არაჩვეულებრივად იქცევა. მშვიდად უჭირავს თავი ხანგრძლივი, დამქანცველი მგზავრობისას, როგორც მანქანაში, ისე საზოგადოებრივ ტრანსპორტში. არც იმის საშიშროება არსებობს, რომ ვინმეს თავს დაესხას და უკბინოს. ერთადერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება ხალხმრავალ ადგილას დასვენებისას შეგექმნათ, ეს არის ჩვევა, რომელიც მას ახასიათებს — შეიძლება ვინმეს რაიმე ნივთი მოჰპაროს. ამ ჩვევის აღმოფხვრა შეიძლება ბოლომდე ვერ შეძლოთ, ამიტომ კარგი იქნება, ყოველთვის ყურადღების ქვეშ გყავდეთ. ეს ძაღლები თითქმის არასდროს ყეფენ. თუ კარს მიღმა ყეფის ხმა შემოგესმათ, არ შეშინდეთ, იგი უბრალოდ გესალმებათ. კარს გააღებთ თუ არა, შემოგეგებებათ სიმპათიური ძაღლი, მხიარული მოქიცინე კუდით, რომელიც სახლში შეგიძლებათ და შეიძლება სავარძელზე, თქვენს გვერდით დასკუპდეს კიდეც. ინგლისური სეტერი სასიამოვნო ემოციურ ატმოსფეროს ქმნის ოჯახში, პრობლემას არ უქმნის მასპინძლებს და სახლში მოსულ სტუმრებს.

ახლა კი გავეცნოთ ინგლისური სეტერის სტანდარტულ, საერთო გარეგნობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი საშუალო სიმაღლისაა. თავისუფალი, ენერგიული მოძრაობა შერწყმულია ელეგანტურობასთან. აგებულებით ძლიერი ძაღლია, აქვს მსუბუქი თავი, გრძელი, კარგად გამოკვეთილი კეფით. ცხვირპირი მკვეთრად გამოხატულია. ტუჩები თხელი აქვს. ზედა ტუჩი ოდნავ ეხება ქვედას. მათი კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ცხვირის დრუნჩი ფართო და ნამიანი აქვს, ღია ნესტოებით, რომელიც შავი ან ყავისფერია. ყურებს შორის თავის ქალა მრგვალია. აქვს მკვეთრად გამოხატულები ღაწვები, ყურები საშუალო სიგრძისაა, დაკიდებული, თხელი, რბილი, რომელიც ბოლოში დამრგვალებულია და მძიმედ ეშვება ღაწვებზე. არც ისე ღრმად ჩამჯდარი, მრგვალი თვალები აქვს, რაც უფრო მუქი ექნება, მით უკეთესი. გრძელი, კუნთოვანი კისერი აქვს, რომელიც ზემოდან ოდნავ ამობურცულია და თანდათან ფართოვდება. მუცელი ნორმალურად ზემოთ აწეული აქვს. წელი მოკლე, პირდაპირი და კუნთოვანი. თეძო გრძელი, ფართო და ოდნავ მომრგვალებულია. წინა კიდურები წინიდან პირდაპირია და პარალელური, დაკუნთული, ოდნავ მრუდე. იდაყვი მკაცრად არის უკან გაწეული. რაც შეეხება უკანა კიდურებს, — გრძელია და კუთხეები მკვეთრად არის გამოხატული. ტერფი მოკლე აქვს, თათები ოდნავ ოვალური — თითებს შორის სწორი ბალანია.

ინგლისური სეტერი რამდენიმე შეფერილობის გვხვდება: თეთრი, შავი, ყვითელი, ნარინჯისფერ-წითელი ან ყავისფერი ზოლით, ან ლაქებით. მოსწონთ, თუკი დიდი, ფერადი ლაქები ტანზე ნაკლებად ექნება. იშვიათად გვხვდება მთლიანად თეთრი, ლაქის გარეშე და ფოლადისფერი. რაც შეეხება ბალანს, იგი სქელია და არ ბრწყინავს. აქვს აბრეშუმივით რბილი და სწორი ბალანი. თეძოებთან შესაძლებელია იყოს ტალღისებური, თავზე და წინა ფეხებზე ბეწვი მოკლეა, მთელ ტანზე კი გრძელი.

ინგლისური სეტერის რუსეთში გამრავლების ერთ-ერთი ფუძემდებელი თურმე ტოლსტოი ყოფილა. მას შოტლანდიური სეტერი ჰყავდა. შეჯვარების შედეგად მოხდა საოცრება. ერთი ლეკვი ინგლისური სეტერი გამოდგა. ამის შემდეგ ტოლსტოიმ ხელი შეუწყო ამ ჯიშის გამრავლებას. ეს ისტორია ინგლისური სეტერის შესახებ კინოლოგთა კლუბის ექსპერტ-მსაჯმა მერაბ გოგოლაძემ გვიამბო. მან კიდევ უამრავი ისტორია გაიხსენა ამ ჯიშის შესახებ. მაშ ასე, როდის გამოჩნდნენ საქართველოში ინგლისური სეტერები. როგორი ხასიათისანი არიან ისინი, როგორ უნდა შევარჩიოთ მისი ლეკვი და რატომ უწოდა ნაპოლეონმა ინგლისურ სეტერს მინდვრის დედოფალი — ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ინგლისურ სეტერს მეორენაირად ლავერაკი ჰქვია, იმიტომ, რომ ინგლისში იყო პიროვნება, სამეფო გვარის შთამომავალი ლავერაკი, რომელმაც ამ ჯიშის გამრავლებას შეუწყო ხელი, სწორედ მის პატივსაცემად დაარქვეს ამ ჯიშს მეტსახელად ლავერაკი. ინგლისური სეტერი არის თეთრი შავი კოპლებით და თეთრი ყვითელი კოპლებით. ამ უკანასკნელთ ეძახიან ლიმონბენტონებს.

***— როგორი ძაღლია ინგლისური სეტერი?***

— ინგლისური სეტერი მონადირე ძაღლია. მისი ძირითადი დანიშნულება ნადირობაა. ეს ჯიში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაკუთვნოთ დეკორატიულ ძაღლებს, რადგან ვერ გადააჯიშეს, თუმცა მცდელობა იყო. არეულობის პერიოდში ინგლისური სეტერი მოყვა ვაკუუმში, საქართველოში აღარ შემოდიოდა და, ძირითადად, ერთი მეორეში აჯვარებდნენ. რა თქმა უნდა, ხარისხი ფუჭდებოდა. შემდეგ დაიწყო ამ ძაღლების შემოყვანა. დღესდღეობით საქართველოში ბევრია ამ ჯიშის ძაღლი და ხარისხიც კარგია.

***— საქართველოში როდის გამოჩნდნენ ეს ძაღლები?***

— საქართველოში მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. ამბობენ, მე-19 საუკუნეში ინგლისში გამოიყვანეს ეს ძაღლიო, მაგრამ ეს ჯიში წინა საუკუნეებშიც არსებობდა, უბრალოდ უფრო დაიხვეწა.

***— რატომ არის ეს ძაღლი საქართველოში პოპულარული?***

— ეს ძაღლები დიდი პოპულარობით სარგებლობენ დასავლეთში, სოხუმში, ქუთაისში, გურიაშიც. ინგლისური სეტერი არის მონადირე, სპორტული სამომსახურეო ძაღლი. არ ყოფილა შემთხვევა, პატრონის მიმართ აგრესია გამოემჟღავნებინოს. ჩვენთან რატომ არის პოპულარული, ვერ გეტყვით, ალბათ იმიტომ, რომ ქართველების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საქმიანობა ნადირობაა. უნიკალურად ნადირობს მწყერზე, იხვსა და გარეულ ქათამზეც. არ ვიცი, იცით თუ არა, რომ ინგლისურ სეტერს ნაპოლეონმა მინდვრის დედოფალი უწოდა. მართალია, პოინტერს ვერც ერთი ძაღლი ვერ სჯობს ყნოსვით, მაგრამ სილამაზით და ნადირობით ინგლისურ სეტერს ბადალი არ ჰყავს. ნადირობისას მათ ერთი კარგი თვისება აქვთ — წვებიან და ხოხვით მიდიან ნადავლისკენ.

***— როგორი ხასიათისანი არიან ინგლისური სეტერები?***

— ინგლისური სეტერი არ არის აგრესიული. ძალიან თბილი ძაღლია, როცა უხასიათოდ ხარ, მოვა, გეთამაშება, გეფერება, რომ ხასიათზე მოგიყვანოს. სხვათა შორის, ძალიან უყვარს ბავშვები. რომც გააბრაზონ, იმის მაგივრად, რომ დაიყეფოს და შეაშინოს, იმალება, რადგან იცის, რომ ბავშვის შეშინებით პატრონს აწყენინებს. პატრონის გულისთვის კი ყველაფერზეა წამსვლელი.

***— რამდენად ეგუებიან ბინაში ცხოვრებას?***

— ჩვეულებრვად ეგუებიან ბინის პირობებს. უბრალოდ, სასურველია, დეკორატიულ ძაღლივით არ აღზარდონ. სანადირო თვისება მათ სისხლში აქვთ და ყველა პირობაში ინარჩუნებენ. თუმცა საცოდაობაა ინგლისური სეტერი ბინაში დასვა და არ ანადირო. ვისაც ეს ძაღლი უყვარს, არასოდეს დასჯის ასე მკაცრად.

***— როგორ უნდა მოვუაროთ და ვკვებოთ ინგლისური სეტერი?***

— ინგლისური სეტერები ლეკვობიდანვე სუსტები და ძალიან ფაქიზები არიან. ძირითადად, სპეციალური საჭმელით უნდა ვკვებოთ და აუცილებელია, ვიტამინების დამატება. მისი მოვლა არ არის რთული. 6 თვეში ერთხელ დაბანაც საკმარისია. ჩვეულებრივად, წყლითა და შამპუნით უნდა დავბანოთ. ხშირი





დაბანა ბეწვს გაუფუჭებს, ბეწვი ხომ მას საოცარ სილამაზეს ანიჭებს. რაც გრძელი აქვს ბეწვი, მით უფრო ხარისხიანია. მათ ამ ბეწვის გამო სამეფო ძაღლებსაც კი ეძახიან. ვისაც ინგლისური სეტერი ხშირად დაჰყავს სანადიროდ, ბეწვს კრეჭს ხოლმე, რადგან ბირკები ეკრობა და ნადირობაში ხელს უშლის.

***— როგორ უნდა ავარჩიოთ ინგლისური სეტერის ლეკვი?***

— სხვათა შორის, ამ ჯიშის ლეკვის არჩევა ყველაზე ძნელია. რადგან შეიძლება ლეკვობაში ლამაზი იყოს, შემდეგ კი სულ სხვანაირი გახდეს. ლეკვის არჩევისას დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლებს. აუცილებლად უნდა გაიკითხოთ მათი მონაცემები. თუ მის მშობლებს კარგი საველე მონაცემები აქვთ და კარგი მონადირეები იყვნენ, მათი შვილი უკეთესი იქნება.

***— რას ურჩევთ მათ, ვისაც ინგლისური სეტერის შეძენა სურთ?***

— ინგლისური სეტერი არ არის პენსიონერების ძაღლი. ის არის ახალგაზრდების ძაღლი, რადგან ძალიან ცოცხალი, მოძრავი და აზარტულია. ასე რომ, ინგლისური სეტერი ენერგიულმა ადამიანებმა უნდა შეიძინონ.

ჩვენს რესპონდენტს ხუთი წლის განმავლობაში ჰყავდა ამ ჯიშის ძაღლი, რომელსაც ბოი ერქვა. ,,ბოი ოთხი წლის იყო, რომ შევიძინე და პატრონს უკვე გაწვრთნილი ჰყავდა. სხვათა შორის, ეს ძაღლები ძალიან იოლად შემოდიან კონტაქტში და ბოისაც არ გასჭირვებია ჩემი პატრონად აღიარება. 1991 წელს სილამაზის გამოფენაზე გავიყვანე და პირველი ადგილი აიღო. ბოი არაჩვეულებრივი მონადირე და კომპანიონი იყო. ძირითადად, წალკაში დავდიოდით სანადიროდ — მწერზე, იხვსა და გარეულ ქათამზე. ერთხელ მე და ბოი სანადიროდ წავედით. რაღაც ხასიათზე ვერ იყო, მაგრამ მაინც წაიყვანე. ძლივს ერთი იხვი მოვკალი და ტბაში ჩავარდა. ბოიმ არაფრის დიდებით არ შეიწუხა თავი და ფეხი არ გაადგა, რომ ტბიდან იხვი გამოეტანა. მთელი სამი საათი ვიდექი სიცივეში, გავიყინე. მერე, როგორც იქნა, ხასიათზე მოვიდა, იკადრა ტბაში შესვლა და გამოიტანა იხვი.

9 წლამდე იცოცხლა. ხშირად ავადმყოფობდა და შემიძლია ვთქვა, რომ 9 წლამდე ძალით ვაცოცხლე, თავზე ვევლებოდი და ვუვლიდი. ძალიან განვიცადე მისი სიკვდილი. მინდა ვთქვა, რომ ვისაც ინგლისური სეტერი ერთხელ ჰყოლია, მას სხვა ძაღლთან შეგუება უჭირს. დღეს ჩემი ოცნებაა, ხარისხიანი ინგლისური სეტერი შევიძინო.

***სალომე გოგოხია***
***მაკა ქობალია***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წმინდა ბრიტანული განათლება

დიდი ბრიტანეთის სასკოლო განათლება თავის ისტორიას მე-6 საუკუნიდან ითვლის და თუნდაც ამას სკეპტიკურად მივუდგეთ (აქაოდა, იოლი წარმოსადგენია, რა განათლებაც იქნებოდა გასულ ათასწლეულში!), იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ 1508 წელს დიდ ბრიტანეთში დაარსდა კერძო სკოლების პირველი ასოციაცია, შეუძლებელია, პატივისცემა არ გამოიწვიოს. ასოციაციაში რაღაც მისტიკური დაწესებულებები კი არ გაერთიანებულან, არამედ დღემდე არსებული კოლეჯები და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ისინი მომავალშიც უთუოდ იარსებებენ.

## ლეგენდარული სახელები

ინტერნეტი გადაჭრელებულია ინფორმაციებით იმის თაობაზე, თუ რამდენმა პრემიერ-მინისტრმა დაამთავრა იტონი (eton). განათლების სისტემას მიძღვნილი ექსპოზიციები გადავსებულია იმ სასწავლო დაწესებულებათა შენობების ფერად-ფერადი ფოტოებით, უფრო ციხესიმაგრეებს რომ მოგვაგონებს. პრესტიჟულ კოლეჯებზე სტანდარტული რეპლიკები ტრადიციულად იმით იწყება, თუ რომელ საუკუნეში და ვისი ბრძანებით დაარსდა. სხვათა შორის, ეს არცთუ მცირე როლს თამაშობს ბრიტანული განათლების ასტრონომიულ ღირებულებაში.

მაგალითად, WINCHESTER COLLEGE 1382 წელს დააარსა ვინჩესტერის ეპისკოპოსმა უილიამ ვაიქემმა რიჩარდ II-ის ბრძანებით. აქ პირველი მოსწავლეები 1394 წელს მიიღეს. ახლა სწავლის თითოეული წელი დაახლოებით 17 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

ETON COLLEGE-ი 1440 წელს ჰენრიხ VI-მ დააარსა ახალგაზრდების სასულიერო და სახელმწიფო სამსახურისათვის მოსამზადებლად. სწავლის ერთი წელი იტონში 16,5 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს.

HARROW-ი 1572 წელს გაიხსნა ელისაბედ I-ის ბრძანებით და მაშინვე მოიპოვა ავტორიტეტული სასწავლო დაწესებულების რეპუტაცია. ამ კოლეჯში ერთი სემესტრის საფასური 7 ათასი გირვანქა სტერლინგი ჯდება.

ამ თანხებში შედის არა მარტო სწავლა-განათლება, არამედ საცხოვრებლის, მომსახურების ღირებულება, სასწავლო სახელმძღვანელოებითა და საკანცელარიო ნივთებით მომარაგება.

ზოგიერთი კოლეჯი თავისი არსებობის მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა.



ინგლისის უძველესი სკოლა „ვინჩესტერ-კოლეჯი“



იტონი ერთ-ერთი ყველაზე ელიტური სასწავლებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკოლა „გორდონსტაუნი“ 1932 წელს დაარსდა. ელისაბედ II-ის სამივე ვაჟი სწორედ აქ სწავლობდა.



„ჰეროუში“ მარტო ვაჟები სწავლობენ. ეს კოლეჯი დაამთავრა უინსტონ ჩერჩილმაც

მაგალითად, იტონის ძველ ნაგებობათა უმრავლესობა თითქმის აღარ არსებობს. ღვთისმეტყველებამ ადგილი ეკონომიკასა და ფიზიკას დაუთმო, მაგრამ თვით ცნება „ტრადიცია“ ინგლისელთათვის ყოველთვის იყო როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი. ჩვენ ამას მათ მეტისმეტ პედანტიზმს მივაწერთ და გვაოცებს ინგლისელთა ტრადიციებისადმი ერთგულება, სხვათა შორის, სულ ტყუილად!

დიახ, ჩალის სწორფარფლებიანი ქუდები, შავი მანტიები და მუქი ჰალსტუხები, რომლებითაც შემოსილი არიან HARROW SCHOOL-ის მასწავლებლები და მოსწავლეები, სატარებლად მართლაც მოუხერხებელი და თანამედროვეობის თვალსაზრისით ექსცენტრიკულია. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ ვიღაც მეტად ერთგულობს თავისი წინაპრების გემოვნებას. უბრალოდ, როცა ინგლისელები ამბობენ „ტრადიციას“, უმეტესად „პრესტიჟს“ გულისხმობენ.

## თქვენი ჩოგანი, სერ!

პირდაპირ გაოცდები, როცა ინგლისური კოლეჯების სპორტულ ტრადიციებს გაეცნობი. მათ უფრო ფართო შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე სხვა ქვეყნების ფიზკულტურის ინსტიტუტებს – ათლეტიკა, კროსი, ტანვარჯიში, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, ბადმინტონი, სააფროსნო სპორტი, სპორტული სროლა, ცხენოსნობა, პოლო, ძიუდო და კარატე, ჩოგბურთი და სკვოში (რომელიც, სხვათა შორის, HARROW-ში გამოიგონეს) და, რა თქმა უნდა, გოლფი. სპორტის სახეობათა უმრავლესობით მთელი წლის განმავლობაში შეიძლება დაკავდნენ. მოსწავლეებისთვის ტარდება სპორტული ტურები ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, ზიმბაბვეში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, აშშ-ში, შვეიცარიაში, იორდანიაში, პორტუგალიასა და ესპანეთში (რატომღაც სწორედ ეს ქვეყნებია ყველაზე პოპულარული). ყველაზე ძვირად ღირებული სკოლების ტერიტორიებზე არის კლუბები, სადაც მოსწავლეები ავიასპორტს, ალპინიზმსა და დაივინგსაც სწავლობენ. ყველაფერი ეს დიდ დანახარჯებს მოითხოვს. საინტერესოა, რისთვის?

ყველაფერი ძალზე მარტივადაა – დიდი ბრიტანეთის პედაგოგ-მასწავლებლების აზრით, სპორტი და სპორტული თამაშობანი მოსწავლეებს გუნდურ მუშობას აჩვევს. აი, ასე ეყრება საფუძველი კორპორაციულ ეთიკას. ყველა შეჯიბრი მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ გარემოში ტარდება. მოსწავლეების უმრავლესობას ხომ მალე მოუწევს მაღალი დონის სხვადასხვა შეხვედრაზე სიარული და ამიტომაც საამისოდ მომზადებული უნდა იყვნენ. აი, რატომაა, რომ კორპორაციული ეთიკის ცნება ასე ძვირფასია ინგლისელებისთვის. აქ მიღებულია მნიშვნელოვანი პრობლემების ელიტური სკოლების დროინდელი მეგობარ-ამხანაგების მეშვეობით მოგვარება.

## გოგონები – მარცხნივ...

ინგლისურ სკოლაში ეგრეთ წოდებულ განცალკევებულ სწავლებას ამჯობინებენ. ელიტური სკოლები დაყოფილია გოგონებისა (GIRL'S SCHOOLS) და ვაჟების (boy,s schools) სკოლებად. გოგონების ყველაზე პოპულარული სკოლებია CHELTENHAM LADIE'S COLLEGE DA MALVERN GIRL'S COLLEGE. ასეთ სკოლებში არა მარტო განათლების მაღალი დონეა, არამედ აქ განსწავლული გოგონა ნამდვილი ლედი ხდება (ალბათ, ამიტომაც შეარჩია მადონამ თავისი ქალიშვილისთვის, ლურდესისთვის



გოგონათა ყველაზე ცნობილი სკოლა — „ჩელტენჰემ კოლეჯი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ჩელტენჰემის სკოლა). ლედის კი არა მარტო კარგი მანერები და აკადემიური განათლება, შემოქმედებითი ცოდნაც სჭირდება. ზუსტად ისევე, როგორც ბიჭებს სპორტი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ბიჭებს არ უვითარებენ სილამაზის სიყვარულს, ხოლო გოგონებს არასოდეს უხტუნავიათ სასპორტო მოედანზე. შესაძლებლობები ყველგან ერთნაირია, მაგრამ პრესტიჟი — პრესტიჟია.

## დასჯის სარგებლობაზე

ინგლისური სკოლების ასკეტიზმი და დისციპლინა მსოფლიოში სახელგანთქმულია. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ინგლისურ სკოლებში მოსწავლეებს ფიზიკურად სჯიდნენ (კერძო სკოლებში ეს მხოლოდ 1998 წელს აკრძალეს). მას შემდეგ მასწავლებლები იძულებული გახდნენ, „დახვეწილი სადისტებიდან“ გამჭრიახ ფსიქოლოგებად ქცეულიყვნენ. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლეთა ნაზი სულები გაკვეთილების შემდეგ სასმლის გადაკვრის ცდუნებისგან დაიცვან, ზოგიერთ კოლეჯში ვახშმად კარგ ღვინოს მიართმევენ. რა თქმა უნდა, ასეთი მეთოდები ბავშვს კარგ გემოვნებას განუვითარებს, მაგრამ ცუდი ჩვევები ამ ასაკში ჩნდება არა იმ სურვილით, რომ შეაფასონ ამა თუ იმ ღვინოს ხარისხი, არამედ თავისუფლებისკენ სწრაფვის გამო. ბოლოს და ბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ lsd-ზე მოდა გასული საუკუნის 60-იან წლებში უპირველესად ინგლისური კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ახალგაზრდობაში გავრცელდა. 1967-დან 1969 წლებში კემბრიჯში ძნელად იპოვიდით ისეთ სტუდენტს, რომელსაც ლსდ ან მარიხუანა არ ჰქონოდა გასინჯული. იმ დროს არც მასწავლებლებს სცხელოდათ ღვინისთვის. ჯერ ერთი, ისინი ნარკოტიკებს ებრძოდნენ, მეორეც, არცთუ იშვიათად თავად იყვნენ მისი მომხმარებლები. მაგალითად, ერთხელ საფუძვლიანად „მჟავაგაჯერებულმა“ კემბრიჯის ერთ-ერთი კოლეჯის მასწავლებელმა პიტერ ჯენერმა გადაწყვიტა, ლონდონის ანდერგრაუნდის მუსიკალური ფსიქოპროდიუსერი გამხდარიყო. ამან ის მოიტანა, რომ იმავე კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარმა ჯგუფმა „პინკ ფლოიდ“-მა თავისი სადებიუტო ალბომი ჩაწერა...

## პრინცი თეთრ ცხენზე

დიდი ბრიტანეთი, როგორც ცნობილია, მონარქიული სახელმწიფოა. და თუ ქვეყანაში არის პრინცი, ის საყოველთაო მიბაძვის ნიმუში უნდა იყოს. სინამდვილეში კი, როგორაა საქმე?

პრინცი ჰარი 1999 წელს ჩაირიცხა იტონში და პირველივე „გმირობა“ მისალებ კომისიასთან ჩაიდინა. მამის (პრინცი ჩარლზის) დარიგების საპასუხოდ, როგორ შეევსო ანკეტა და დაეწერა განცხადება, მან მომავალი ხელმწიფე-მამა ქუჩის საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით ერთ ადგილას გაგზავნა. ეს ხუმრობით, თორემ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ, კოლეჯის განაწესით არ შეიძლება იმ აბიტურიენტის მიღება, რომელმაც მშობლიური ენა ხეირიანად არ იცის. პრინცისთვის გამონაკლისი დაუშვეს და ეს იმ დროს, როცა ყველა ბროშურაში წაიკითხავთ თეზისს, რომლის მიხედვითაც ყველა აბიტურიენტის მიმართ მიუკერძოებელი უნდა იყვნენ და სრული თანასწორობა უნდა სუფევდეს — „თუნდაც შენ არაბი შეიხის ვაჟი ან უბრალო რიგითი ინგლისელის შვილი იყო, ნებისმიერი კონფლიქტი სამართლიანად გადაწყდება“. მეტიც, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პრინცი ნარკოტიკებსაც ხმარობდა, მისი ამხანაგი სკოლიდან გააგდეს. აი, ასეთი ინგლისური სამართალი აღსრულდა. პრინცი ჩარლზი შეაშფოთა შვილის საქციელმა და გადაწყვიტა, იტონის დასრულების შემდეგ არმიაში გაუშვას. პრინც ჩარლზს იმედი აქვს, რომ ჯარისკაცური მძიმე ცხოვრება ჰარის ნამდვილ მამაკაცად აქცევს.



სკოლა „მილდფილდი“ ბრიტანეთის ერთ-ერთი უძლიერესი სკოლაა. ის ლონდონის მახლობლად, საგრაფო სომერსეტში მდებარეობს

## ჰუ ის ჰუ?

რატომ ირჩევენ შეძლებული ოჯახები თავიანთი შვილებისთვის პრესტიჟულ სკოლებს? უბრალოდ, ისინი შვილების მომავალზე ზრუნავენ. საქმე ის არის, რომ საუკეთესო ინგლისურ უნივერსიტეტებში ჩაბარებისას უპირატესობა ეძლევა ელიტურ სასწავლო დაწესებულებებს. მაგალითად, მისაღებ კომისიას პრესტიჟული college-ის კურსდამთავრებული ურჩევნია, თუნდაც ის არც ისე სანიმუშო მოსწავლე იყოს, ვიდრე უსახელო სკოლის ატესტატის მქონე წარჩინებული მოსწავლე.

ბრიტანეთის კერძო სკოლებში ბავშვების 6% სწავლობს, მაგრამ სწორედ ისინი უზრუნველყოფენ ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტების კონტინგენტის დაახლოებით ნახევარს. ასე რომ, სხვა სკოლების კურსდამთავრებულთა 94%-ს ძალიან ცოტა შანსი აქვს. გამოდის, ვიღაცას ძალით ექაჩებიან უმაღლეს სასწავლებელში (ზოგიერთ კოლეჯში არსებობს „ტიუტორების“ — დამრიგებლების სისტემა, ზოგიერთ მოსწავლეს მიმაგრებული ჰყავს მასწავლებელი), ვიღაც კი კანკალით ელოდება უბრალო სკოლის დასრულებას და როცა მისაღებ კომისიას მიაკითხავს, ოთახზე წაიკითხავს წარწერას — „მიღება დამთავრებულია. ადგილები არ არის“.

ინგლისური განათლების სისტემა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიაჩნიათ. დიდ ბრიტანეთში სწავლა პრესტიჟულად ითვლება. ეს ჩვენებურმა შეძლებულმა ხალხმაც იცის და სიხარულით უშვებენ შვილებს ინგლისში სასწავლებლად. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ოქსფორდის კურსდამთავრებულს სახელმწიფო აპარატში მიღების წინ კადრების ხელმძღვანელი ეკითხებოდა, ინგლისური თუ იციო...

და მაინც, როცა საზღვარგარეთულ სასწავლო დაწესებულებებზე ვლაპარაკობთ, ძალზე არ უნდა გავაზვიადოთ მათი შესაძლებლობები. ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო ისტორია იცნობს ისეთ გენიოსებს, რომელთაც მხოლოდ უბრალო სკოლები ჰქონდათ დამთავრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან

*დასაწყისი იხ. „არსენალი“ № 3,4,5,6,7*

1991 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა. ქვეყნის სუვერენიტეტის მთავარი გარანტიის, შეიარაღებული ძალების შესაქმნელად, 1991 წლის 9 სექტემბერს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“. სამინისტროს შტატებში სამხედრო-საზღვაო სამმართველოს ჩამოყალიბება დაიგეგმა. ოქტომბერში სამმართველოს უფროსად გამოცდილი სამხედრო მეზღვაური, I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი დაინიშნა.

## რა დაგვრჩა რუსების გასვლის შემდეგ

1991 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, რაც მოგვიანებით სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, შეიარაღებული ძალების შექმნისათვის ხელის შემშლელი გარემო შექმნა. საყოველთაო განუკითხაობას რუსი სამხედროები კარგად იყენებდნენ და საქართველოდან საბჭოთა არმიის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა უკონტროლოდ გაედინებოდა.

184-ე ბრიგადის ძირითადი საბრძოლო ერთეულები 1990-91 წლებში ფოთიდან სევასტოპოლში სხვადასხვა მიზეზით გადავიდნენ. დარჩენილი ჩამოწერილ-გაძარცული ხომალდები და კატარღები რუსებისათვის ღირებულებას აღარ წარმოადგენდა.

181-ე დივიზიონიდან სევასტოპოლში გადაიყვანეს: 50-ე პროექტის 3 ხომალდი ჯართში ჩასაბარებლად, 1124-ე პროექტის 2 ხომალდი გეგმური რემონტისათვის, კავშირის კატარღა და ტორპედმჭერი. ფოთში 201-ე ქარხნის აკვატორიაში ჩაიძირა 50-ე პროექტის 1 ხომალდი, ხოლო პორტში სხვადასხვა ადგილას ნახევრად ჩაძირული დარჩა 204-ე პროექტის 3 ხომალდი.

182-ე დივიზიონიდან 5 საზღვაო მტრალავი სარემონტოდ სევასტოპოლში გადავიდა. 80 ტონა წყალწყვის 2 სარეიდო მტრალავი ფოთში რჩებოდა.

82-ე დივიზიონიდან ფოთი დატოვა სასწავლო ხომალდმა და სარაკეტო კატარღამ. სატორპედო და საარტილერიო კატარღები ნოვოროსიისკში გადასვლის ბრძანებას ელოდნენ.

39-ე დივიზიონის 9 სადესანტო კატარღა ისევ ყულევში იდგა.

უზრუნველყოფის გემებიდან 5 გაძარცული ზონარჩამწყობი ნაპირზე გაიტანეს. რუსებმა ახალგარემონტებული მყვინთავთა სასწავლო-საწვრთნელი გემი გემთსადგომთან ჩაძირეს, ხოლო განმმაგნიტებელი CP-44 და სატრანსპორტო BTH-99 ქერჩში გადაიყვანეს. ფოთში კერძო ფირმებს მიჰყიდეს 250, 500 და 150-ტონიანი ბარჟები. სხვა მცურავი საშუალებების გაყვანას რუსები წლის ბოლოსათვის გეგმავდნენ.

ბრიგადა, როგორც ასეთი, 1991 წლის დამლევისთვის აღარ არსებობდა – ის, ფაქტობრივად, დივიზიონს წარმოადგენდა.

შინაპრობლემებით დაკავებულ საქართველოს იმ დროს ფლოტისათვის არ ეცალა. უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებმა კი შავი ზღვის ფლოტის შესახებ 1992 წლის 28 იანვარს მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის პირველივე პუნქტში ჩაიწერა: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შორის შავი ზღვის ფლოტი ექვემდებარება გაყოფას იმ მიზნით, რომ მომავალში მის ბაზაზე შეიქმნება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი და უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები“. კიევის პოზიციას ისიც ამყარებდა, რომ ფლოტის მთავარი ბაზა – სევასტოპოლი უკრაინის ტერიტორიაზე დარჩა.

სირთულეების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №484/6 დადგენილებით, ახალშექმნილ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-საზღვაო ძალების სტრუქტურა ჩამოყალიბდა. მასში შევიდა – სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველო, რომლის შტაბი თბილისში მდებარეობდა და შერეული საზღვაო ბრიგადა დისლოკაციით ფოთში.

სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირებისათვის ფოთში ჩატარდა შავი ზღვის ფლოტის კუთვნილი ობიექტების პასპორტიზაცია, რომელმაც გაძარცული სასწავლო კლასებით, გატანილი და მწყობრიდან გამოყვანილი ტექნიკით საკმაოდ მძიმე სურათი წარმოაჩინა. გაპარტახებული აღმოჩნდა უმცროს სპეციალისტთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი, რადიოტექნიკური სამსახურის პოსტები, მექანიკური სახელოსნოები, საწყობები. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ჰიდროგრაფიული სამსახურის ფოთის მონაკვეთი და ჰოსპიტალი. მაგრამ, რაც მთავარია, არ იყო მცურავი საშუალებები.

საქართველოდან გაყვანილი ხომალდებისა და კატარღების უკან დასაბრუნებლად სევასტოპოლში ქართველი სამხედროების დელეგაცია გაემგზავრა. მოლაპარაკებების შედეგად, 1992 წლის



საკრეისერო კატარღა „გალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

28 მაისს, ხელი მოეწერა შეთანხმების პროექტს „რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის“. დოკუმენტის მე-2 მუხლში ნათქვამია: „ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან გარდამავალ პერიოდში ექვსი წლის მანძილზე, რომლის დროსაც დამთავრდება საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების მშენებლობა, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული შავი ზღვის ფლოტის ხომალდები და ნაწილები (184-ე ბრიგადა, 841-ე პოლკი, მე-10 სასწავლო ცენტრი) დისლოკაციის ძველ ადგილზე, შავი ზღვის ფლოტის დაქვემდებარებაში დარჩება.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო სტრუქტურების შექმნასთან ერთად განხორციელდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების საკუთრებასა და დაქვემდებარებაში საქართველოს ტერიტორიაზე ბაზირებული შავი ზღვის ფლოტის ხომალდების, ნაწილების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლო ცენტრების გადაცემა“.

დოკუმენტზე არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, პოლკოვნიკ თამაზ ცხაკაიასა და შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსის, ვიცე-ადმირალ გურინოვის ხელმოწერები. ქართული დელეგაციის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მასზე ხელმოწერა თავდაცვის მინისტრმა თენგიზ კიტოვანმა გააკეთა. დოკუმენტს რომ შესაბამისი ძალა ჰქონოდა, უპირველესად რუსეთის პოლიტიკური ნება იყო საჭირო, მაგრამ აფხაზეთში დაწყებულმა კონფლიქტმა მოსკოვთან ურთიერთობა შესამჩნევად გაართულა.



**სეპარატისტებს გაგრის მიმართულებით სამხედრო გადაზიდვების მოშლის მიზნით „კომეტის“ რეიდერად გამოყენება სურდათ. მისი მაქსიმალური სიჩქარე — 34 კვანძი — ახალგამომცხვარ მეკობრეებს ფონს იოლად გასვლის იმედს აძლევდა, მაგრამ ერთ-ერთი თავდასხმისას ქართული გემებიდან გახსნილმა ცეცხლმა „კომეტა“ საფუძვლიანად დააზიანა...**

1992 წლის 13-20 ნოემბერს საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებები სამხედრო ქონების გადმოცემაზე გაგრძელდა, მაგრამ შავი ზღვის ფლოტის სარდლობას ევაკუაციის ბოლომდე მიყვანის გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და ხომალდების ფოთში დატოვებას არ აპირებდა.

ოქტომბრის ბოლოს საქართველომ ევაკუაციისთვის ხელის შეშლა დააპირა — ბუქსირმა პონტონით პორტის გასასვლელის გადაკეტვა სცადა, მაგრამ რუსებმა რამდენჯერმე გაისროლეს, მერე კი სამხედრო ბუქსირებით პონტონი გაათრიეს.

7 ნოემბერს პორტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გასასვლელში ბუქსირებმა ძველი სეინერი დააყენეს, რათა აუცილებლობის შემთხვევაში მისი ჩაძირვით ევაკუაცია შეფერხებულიყო. თუმცა გასასვლელის ჩაკეტვა პორტში სავაჭრო გემების მიმოსვლასაც შეაჩერებდა. რამდენიმე დღეში ქარმა სეინერი ადგილიდან დაძრა. მას შემდეგ პორტის გადაკეტვის მცდელობა აღარ ყოფილა.

რუსები ევაკუაციისათვის დიდ სადესანტო ხომალდებს იყენებდნენ, ხოლო სამხედრო პორტს ჯავშანტექნიკით იცავდნენ.

1992 წლის 25 დეკემბერს ფოთი ხომალდების ბოლო ქარავანმა დატოვა.

საქართველოს დარჩა: 2 პატარა სადესანტო კატარღა (Д-237 და Д-293), ნაგავშემგროვებელი МУС-16, ენერგეტიკული გემი ЕНС-4, 250-ტონიანი ბარჟა, ჰიდროგრაფიული კატარღები БГК-1628 და БГК-176.

შეიარაღებული შინადაპირისპირება ფლოტის მშენებლობას დიდ სიძნელეებს უქმნიდა, მხოლოდ ენთუზიაზმი და მონდომება საქმეს არ შველოდა. შეიმჩნეოდა გამოცდილი ოფიცრების ნაკლებობა. 184-ე ბრიგადის ზოგიერთ ოფიცერსა და მიჩმანს საქართველოს ფლოტში სამსახურის გაგრძელება სურდა, მაგრამ დაძაბული სიტუაცია მათში შიშს იწვევდა. ზღვისა და სამხედრო ფლოტის მნიშვნელობის შეუფასებლობა სულ მალე მთელი სიმწვავით აფხაზეთის კონფლიქტში გამოჩნდა.

## ომი სამხედრო ხომალდების გარეშე

1992 წლის 14 აგვისტოს, თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით, ფოთში ამოქმედდა სამხედრო-საზღვაო ძალების საკოორდინაციო შტაბი I რანგის კაპიტნის, ალექსანდრე ჯავახიშვილის მეთაურობით.

სამხედრო-საზღვაო ძალების წინაშე დადგა შემდეგი ამოცანები:

— სამხედრო ნაწილების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალების

**გაგრაში მძიმე ჯავშანტექნიკის გადმოსატვირთად საჭირო გახდა მცურავი ამწე, რისთვისაც ბათუმიდან „ჩერნომორეც-9“ იქნა გადმოყვანილი. პირდაპირი დანიშნულების გარდა ამწეს გემბანით 300 ტონა ტვირთის გადატანა შეეძლო. პირველივე რეისში „ჩერნომორეც-9“-მ 6 ტანკი, 2 БМП და 2 „ურალის“ ტიპის სატვირთო მანქანა მიიღო. ტექნიკას 30 მებრძოლი აცილებდა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

საომარი მოქმედების რაიონში ტრანსპორტირება;

– დაჭრილებისა და ლტოლვილების ევაკუაცია;

– ფოთის დაცვა;

სამობილიზაციო გეგმის შესაბამისად, სანაოსნოს, თევზმჭერი სამმართველოსა და სხვა ორგანიზაციების გემებს მობილიზაცია შეეხო. ომის საჭიროებისათვის მობილიზებულ იქნა: 9 სამგზავრო და 6 სატვირთო გემი, 4 ბუქსირი, 3 ლიხტერი, 100-ტონიანი მცურავი ამწე და 12 სეინერი. ფოთში შიდა რეიდის დასაცავად ერთ-ერთ გემზე БМП დაიდგა და პორტის სამხრეთ ნაწილში მორიგეობა დაწესდა. ზღვიდან მოსალოდნელი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად გემის საშუალებით გარე რეიდის რადიოლოკაციური კონტროლი მიმდინარეობდა....

ქართველი მეზღვაურებისათვის კონფლიქტი ერთი დღით ადრე დაიწყო. 1992 წლის 13 აგვისტოს, 24 საათზე ფოთიდან გავიდა „კომეტა-50“, ბუქსირები – „კონსტანტინე რექვავა“ და „კაპიტანი გაწერელია“, სალოცმანო კატარღა „ბურევესტნიკი“. გემებზე დაახლოებით 150-მდე მებრძოლი იმყოფებოდა. რუსებისაგან წამოყვანილ 2 პატარა სადესანტო კატარღას თითო-თითო БМП მოჰქონდა. გაგრისაკენ მიმავალი გემები ბიჭვინთასთან რუსულმა სამხედრო ხომალდმა შეაჩერა. ქართველ სამხედროებთან მოლაპარაკების შემდეგ რუსებმა გემები გაატარეს. 14 აგვისტოს 13 საათზე ქართული დესანტი გაგრაში გადაისხა.

გაგრაში მძიმე ჯავშანტექნიკის გადმოსატვირთად საჭირო გახდა მცურავი ამწე, რისთვისაც ბათუმიდან „ჩერნომორეც-9“ იქნა გადმოყვანილი. პირდაპირი დანიშნულების გარდა ამწეს გემბანით 300 ტონა ტვირთის გადატანა შეეძლო. პირველივე რეისში „ჩერნომორეც-9“-მ 6 ტანკი, 2 БМП და 2 „ურალის“ ტიპის სატვირთო მანქანა მიიღო. ტექნიკას 30 მებრძოლი აცილებდა.

სეპარატისტთა კონტროლქვეშ დარჩენილი ტერიტორიებიდან ქართველების ევაკუაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იმ პირობებში ასეთი ოპერაციები ძალზე სარისკო იყო. 1992 წლის 18 აგვისტოს მშვიდობიანი მოსახლეობის გამოსაყვანად I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი „კომეტა-50“-ით ფოთიდან ბიჭვინთისაკენ გავიდა. სეპარატისტებს თავი შავი ზღვის ფლოტის ოფიცრად წარუდგინა და ამ გზით 173 კაცის გამოყვანა შეძლო.

ერთხანს ზღვით ქართველების გამოყვანა შეწყდა, მაგრამ 1992 წლის 3 სექტემბერს სოჭში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ პროცესი განახლდა. 1992 წლის 14 სექტემბერს ამ დავალების შესასრულებლად „კომეტა-50“ ნაშუადღევს ბიჭვინთის გემთსადგომს მიადგა. ხალხში შერეულმა ბოევიკებმა ისარგებლეს შექმნილი სიტუაციით და „კომეტის“ ხუთკაციანი ეკიპაჟი მძევლად აიყვანეს. სეპარატისტებს გაგრის მიმართულებით სამხედრო გადაზიდვების მოშლის მიზნით გემის რეიდერად გამოყენება სურდათ. თეთრი „კომეტა“ შავად შეიღება და მისი მაქსიმალური სიჩქარე – 34 კვანძი – ახალგამომცხვარ მეკობრეებს ფონს იოლად გასვლის იმედს აძლევდა.

„კომეტის“, როგორც რეიდერის, სიცოცხლე ხანმოკლე გამოდგა. 20-21 სექტემბერს, ერთ-ერთი თავდასხმისას ქართული გემებიდან გახსნილმა ცეცხლმა „კომეტა“ საფუძვლიანად დააზიანა, რის შედეგადაც ნაპირზე გაირიყა და ზღვაში აღარ გასულა.

საბრძოლო ხომალდებისა და კატარღების უქონლობა ფლოტის აქტიურობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. უკვე კონფლიქტის მსვლელობისას ბათუმის გემთმშენებელი ქარხნიდან შემოვიდა 3 „აისტი“ (წყალწყვა 4,7 ტონა) და 2 „სტრიჟი“ (წყალწყვა 3,2 ტონა). გარდა ამისა, საზღვაო ძალებს შეემატა წყალქვეშა ფრთებიანი „ნევკა“ (წყალწყვა 5,4 ტონა) და კრეისერული კატარღა „გალი“ (წყალწყვა 12,5 ტონა). ეს მცურავი საშუალებები ზაფხულში დამსვენებელთა სასეირნოდ იყო განკუთვნილი, მაგრამ ომმა კატარღებს დანიშნულება შეუცვალა. შეზღუდული წყალწყვა მხოლოდ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ტარების საშუალებას იძლეოდა.

არატისტები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში სეპალმოჩდნენ. ახალ ათონში, გუდაუთასა და ბიჭვინთაში აფხაზთა კონტროლქვეშ დარჩა სამგზავრო თბომავლები: „რიწა“ (წყალწყვა 148 ტონა), „კომსომოლეც აბხაზიი“ და „სუხუმი“ (წყალწყვა 99,7 ტონა), „რადუგა 5“ და „რადუგა 18“ (წყალწყვა 52,5 ტონა); სატვირთო გემები: მშრალტვირთმზიდი „ბზიფი“, მიწამხაპავი „მოქვა“, დაბინძურებული წყლების შემგროვებელი „გუმისთა“, ნავთობმზიდი ბარჟა T-17, ბუქსირი „დელფინი“; საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი გემი „მოდული“; ნოვოროსიისკის რაზმის მცურავი ამწე „ჩერნომორეც-1“; სეინერები: „კელასური“, „ლიხნი“, „უშბა“, СЧС-2025; სეპარატისტების განკარგულებაში იყო „ვოლგის“, „სტრიჟის“ და „ნევკას“ ტიპის 50-მდე კატარღა, რომლის ნაწილი რიწის ტბიდან სატვირთო მანქანებით არის ჩამოტანილი.

აფხაზური ფლოტის შექმნა თბომავალ „რიწის“ კაპიტანს, ლევ კატიმბას უკავშირდება. მისი ინიციატივით, სასეირნო კატარღები მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღით აღიჭურვა. პირველი დავალება 1992 წლის 30 აგვისტოს შესრულდა, როცა გაგრის მილიციის შენობა ზღვიდან დაიცხრილა.

„ნევკას“ ტიპის კატარღებზე შეიარაღების საკმაოდ ეფექტური სქემა მოიძებნა, რომლის პირველი მსხვერპლი რუსული სამგზავრო გემი გახდა. 1992 წლის 8 დეკემბერს რუსმა მესაზღვრეებმა სეპარატისტთა „ნევკა“ იმ დროს დააკავეს, როცა სოჭის პორტზე მიწერილი „კომეტა 45“-ის შეჩერებას ცდილობდა. კატარღაზე აღმოჩნდა კონტეინერი 20 НУРС-ის ტიპის რაკეტით, ხელით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, РПГ-7 ტიპის ყუმბარმტყორცნი 12 გასროლით, 7,62 მმ-იანი РП ტიპის ტყვიამფრქვევი, 4 АКМ-ის სისტემის ავტომატი, ვაზნები, ბინოკლი, რადიოსადგური. რუსი სამხედროების დასკვნით, სრული სქემით


სწორედ ასეთი სეინერებით „შეიარაღდნენ“ აფხაზი სეპარატისტები

არსენალის ბიბლიოთეკა

შეიარაღებულ კატარღას სამხედრო ხომალდთან ან კატარღასთან შებრძოლება და საფრენოსნო აპარატის ჩამოგდებაც შეეძლო. მანევრულობისა და პატარა ზომების გამო მისი პოვნა-განადგურება საკმაოდ ძნელი ამოცანა იქნებოდა.

სამგზავრო თბომავლებიც საბრძოლო მწყობრში ჩააყენეს. თბომავლებს პატარა წყალჯდომი ნაპირთან ახლოს მისვლის, ხოლო ცხვირზე დამაგრებული ტრაპი მგზავრების პირდაპირ სანაპიროდან აყვანის საშუალებას აძლევდა. ეს კი სადესანტო გემად მათი გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა.

## სეპარატისტთა „გრიფები" შეტევაზე გადმოდიან

სოხუმში 1993 წლის იანვრიდან სანაპირო ზოლის დასაცავად, სეპარატისტთა მცურავ საშუალებებსა და პოზიციებზე დარტყმებისათვის სანაპირო დაცვის დივიზიონი ჩამოყალიბდა. დივიზიონში შემავალი კატარღები ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევებით, ყუმბარმტყორცნებითა და ავტომატებით აღიჭურვა. დაიწყო კატარღების ტარების ტექნიკის, ზღვაზე იარაღის გამოყენებისა და საზღვაო ბრძოლის ტაქტიკის ათვისება. საბრძოლო ნათლობა 20 თებერვალს შედგა, როცა „სტრიჟ 1", „სტრიჟ 3" და „ვოლგა 6" მოწინააღმდეგის პოზიციების დასამუშავებლად გუმისთა-ახალი ათონის მიმართულებით გავიდა.

1993 წლის 12 თებერვალს ქართული ფლოტისათვის ისტორიული მოვლენა მოხდა. ქართველი მეზღვაურების მიერ შეკეთებულ 1176 პროექტის პატარა სადესანტო კატარღაზე საბორტო ნომრით 01 საქართველოს დროშა აღიმართა. ეკიპაჟს მეთაურობდა მიჩმანი რობერტ ფიფია. კატარღა სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი საბრძოლო დანიშნულების ერთეული გახდა.

მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა 1993 წლის აპრილში, რომლის მიზანი გუდაუთის ერთ-ერთ პანსიონატში განთავსებულ, ბოევიკთა ბანაკის განადგურება იყო. გეგმის მიხედვით, 28 აპრილს, 2 საათზე სოხუმიდან გამოვიდნენ ქართული სეინერები: „განთიადი" (ЗУ-23-2, ДШК-2, КПВТ-1, ПЗРК-1) და „კოდორი" (БМ-21 „გრადი", ЗУ-23-2, ПЗРК-1). სეინერებს ესკორტირებას უკეთებდნენ კატარღები: „აისტი" (ПКТ), „ჩიბისი" (ПКТ-2), „ვოლგა" (ПКТ-2) და „ვოლნა" (ПКТ-2, РПГ-7). ოპერაციაში მთავარი როლი „კოდორს" უნდა შეესრულებინა, მას „გრადის" ჭურვებით პანსიონატი უნდა დაეჩრია. 3 საათსა და 15 წუთზე „კოდორი" ნაპირს მიუახლოვდა და სამიზნის მიმართულებით 36 ჭურვი ისროლა.

სეპარატისტებმა დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინეს და სეინერებს სწრაფმავალი კატარღები დაადევნეს. მოწინააღმდეგე „განთიადიდან" ზღვაში ჩაყრილმა საწვავის ცარიელმა კასრებმა დააბნია, რომლებიც შორიდან ძალიან ჰგავდა ნაღმებს.

ქართველი მეზღვაურების აქტიურობა მატულობდა. 1993 წლის 7 ივლისს სოფელ ტამიშთან პირველი საზღვაო ბრძოლა გაიმართა. ცუდ მეტეოპირობებში სეინერმა „განთიადმა" (ეკიპაჟს მეთაურობდა კაპიტნის თანაშემწე შუქრი კოპალიანი) „გრადების" ზალპით სეპარატისტთა 2 კატარღა ჩაძირა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად 7 ივლისი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების დღედ გამოცხადდა.

1993 წლის მარტისათვის სეპარატისტებს უკვე ჰყავდათ რუსებისაგან მიღებული „გრიფები", რომლებიც მანამდე მესაზღვრეთა მე-6 საზღვაო ბრიგადაში ირიცხებოდა. კატარღების საბორტო ნომრები უნდა ყოფილიყო 124, 125 და 126. ბიჭვინთაში „გრიფები" აღიჭურვა უმართავი რაკეტული ჭურვების კონტეინერებითა და სწრაფმსროლელი ავტომატებით. კარგად შეიარაღებულ და სწრაფ „გრიფებს" მრავალფეროვანი ამოცანების შესრულება შეეძლოთ, რასაც ქართული ფლოტი მოკლებული იყო. სეპარატისტებს გაგრიდან ანაკლიამდე თავისუფალი მოქმედების საშუალება მიეცათ, ხოლო თავიანთ უპირატესობაში დარწმუნებულები სანაპირო ზოლის მიმდებარე წყლებს „აფხაზეთის ზღვას" ეძახდნენ.

ამ დროისათვის აფხაზური გემებისა და კატარღების ეკიპაჟებს მცურავი საშუალებების მაქსიმალური ეფექტიანობით გამოსაყენებლად საკმარისი გამოცდილება დაუგროვდათ.

1993 წლის 2 ივლისს სოფელ ტამიშთან ქართული ფორმირებების ზურგში 500-კაციანი საზღვაო დესანტი გადმოისხა, რამაც კონფლიქტზე არსებითი ზეგავლენა იქონია. ამასთან, თვითმავალი ბარჟის გემბანიდან 122 მმ-იანი ჰაუბიცითა და უმართავი რაკეტული ჭურვებით ბაბუშერას აეროპორტის საფრენი ბილიკები იბომბებოდა; სწრაფმავალი კატარღებიდან გაშვებული საზენიტო რაკეტებით საქართველოს სამოქალაქო ავიაციის 4 სამგზავრო თვითმფრინავი განადგურდა, ხოლო 24 სექტემბერს მოიერიშე Су-25-ი ჩამოაგდეს.

ზღვაზე მოპოვებული ინიციატივით სეპარატისტებმა წარმატებით განახორციელეს ბაბუშერას აეროპორტის ბლოკირება და სოხუმისათვის საჰაერო გზებით დახმარების გაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

სექტემბრის ბოლოს არაორგანიზებულობა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა. ფოთიდან სოხუმში სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები ვითარების ზედმიწევნით გარკვევის გარეშე იგზავნებოდა.

იმ დღეების ერთ-ერთი მონაწილე იხსენებდა: „24-25 სექტემბერს მცურავი ამწით სოხუმისაკენ მივცურავდი. ჩვენთან ერთად მოცურავდა ლიხტერი ჰაუბიცითა და ჭურვებით, სეინერი „განთიადი" კი – მებრძოლებით. ოჩამჩირის ტრავერსზე რუსულმა Су-25-ებმა გადაგვიფრინეს და ბომბები დაგვაყარეს. აფეთქებები ამწიდან დაახლოებით 100 მეტრში მოხდა. საბედნიეროდ, გადავრჩით. ნაპირის სიახლოვეს მივცურავდით და მიმდინარე ბრძოლების სიმძაფრეს ვხედავდით. უკან მობრუნება არ შეიძლებოდა, არადა ჩანდა, რომ ინიციატივა მოწინააღმდეგის ხელთ იყო. 26 სექტემბერს ნაპირს მივადექით, მაგრამ იმდენად ინტენსიურად ისროდნენ, გადმოტვირთვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გადმოტვირთვა მხოლოდ ღამით შევძელით. 27 სექტემბრის ღამით კიდევ 1000-ტონიანი ორი ლიხტერი დავცალეთ. ეს იარაღი და საბრძოლო მასალები, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეს დავუტოვეთ".

ბლოკირებულ სოხუმში მშვიდობიანი მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხალხის საევაკუაციოდ იყენებდნენ სასეირნო თბომავლებს, თევზმჭერ სეინერებს, კატარღებს, წყლის ველოსიპედებს, ნავებს. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო იყო ბევრად დიდი მცურავი საშუალებები, რომელებიც მხოლოდ შავი ზღვის ფლოტს ჰყავდა.

25 სექტემბერს სოხუმში შემოვიდნენ დიდი სადესანტო ხომალდები: БДК-69 და „კონსტანტინ ოლშანსკი", მტრალავი „სნაიპერი" და მაშველი „ეპრონი". ხალხის მიღება სეპარატისტთა საცეცხლე დარტყმების ქვეშ მიმდინარეობდა. საშიშროებას ქმნიდა შეუულმფრენთა შემოტევები, მაგრამ ამის აღსაკვეთად რუსები არაფერს აკეთებდნენ. პირველი რეისით მოსახლეობის დიდი ნაწილი ფოთში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენები – სოჭში. 26 სექტემბერს ხალხის მიღება კიდევ უფრო გართულდა. სეპარატისტთა „გრიფებმა", რუსულ სამხედრო ხომალდებს ფოთამდე სდიეს, ცეცხლი გაუხსნეს და დევნა მხოლოდ რუსების გაფრთხილების შემდეგ შეწყვიტეს.

ქართული სამხედრო ფლოტისათვის ურთულეს პერიოდში, მრავალი სიძნელის მიუხედავად, ქართველი მეზღვაურები თავიანთი მოვალეობის ერთგული დარჩნენ.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რა, სად, როდის, რამდენი, როგორ, რატომ უნდა დალიოთ

ცოცხალ ორგანიზმზე ალკოჰოლის ზემოქმედების კვლევის მიზნით, პირველი ექსპერიმენტები ფრანგმა ექიმმა, მუსიე ლებარდემ ძაღლებზე ჩაატარა.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის მეგობრისადმი დახვეწილი სადისტური მოპყრობით, ლებარდემ თვით დიდი პავლოვიც კი დაჩრდილა. იგი ერთი ძუკნისგან, ერთ ჯერზე დაყრილ ზრდასრულ ძაღლებს, წყალში გაზავებულ 50 გრამ სპირტს (50 გრ სპირტი + 50 გრ წყალი) ასმევდა. ძაღლების ერთ ჯგუფს ასმევდა ღვინის სპირტს, მეორეს – შაქრის ჭარხლისას, მესამეს კი – სიმინდისგან დამზადებულს. ულუფის მიღების შემდეგ ძაღლები ტკბილად იძინებდნენ. ღვინის სპირტით (ღვინო, კონიაკი) მთვრალი ძაღლები მშვენიერ ხასიათზე, საათ-ნახევრის შემდეგ იღვიძებდნენ. ძაღლები, რომლებსაც ლებარდე შაქრის ჭარხლის სპირტით უმასპინძლდებოდა, მძიმე გამოუღვიძებელ კომაში ვარდებოდნენ და ქანცგამოცლილები მხოლოდ მეორე დღეს იღვიძებდნენ. სიმინდის სპირტით (ზოგიერთი ვისკის შემადგენელი კომპონენტი) „ნაქეიფარ" ქოფაკებს კი სამი დღის საღათას ძილის შემდეგაც უჭირდათ დაბრეცილი ღრანჭების წამოწევა.

ყურადსაღებია, რომ ლებარდეს თავისი ძაღლები ხორბლისგან დამზადებული სპირტით (რუსული არყის საფუძველი) არ დაუთვრია. ალბათ ცნობილი რუსი მკვლევრის კარაგანოვისა თუ მოერიდა, რომელიც უბრალო დაკვირვების შემდეგ ასკვნიდა: „ხორბლის სპირტისგან დამზადებული, გაფილტრული „ვოდკის" მცირე დოზის დალევის შემდეგ ადამიანი მხიარული და კეთილგანწყობილი ხდება, ხოლო თუ კიდევ გადაყლურწავს, ჩლუნგდება და ძილისკენ მიდრეკილი ხდებაო. რუსი სალდათი ბრძოლის წინ მხოლოდ ჩარექ „ვოდკას" მიირთმევდა, დანარჩენს მერე აყოლებდაო (ისემც რა ვუთხარი)."

შოტლანდიური ვისკიც თავისებური „სამაგონია" – მყრალი და მომწარო. როგორც ყველა თვითნახად არაყში, რახის ზეთიც (რუსები სივუხას უწოდებენ) უფრო ბლომადაა მასში. ამიტომაცაა, რომ თავისებური არომატი და სუნი აქვს. რახის ზეთს კიდევ ერთი გამორჩეული თვისება აქვთ – აგრესიას იწვევს. დაუწმენდავ ჭვავის არაყში მისი რაოდენობა საკმაოზე მეტია, სწორედ ამის გამო მიირთმევდნენ შოტლანდიელები ბრძოლის წინ ვისკის.

როგორც ალკოჰოლის გამოჩენილი ექსპერიმენტატორი და ნამთვრალევის მკურნალობის რეცეპტების კოლექციონერი, დევიდ აუტერბრიჯი აღნიშნავს, უშიშრობის შეგრძნების მოპოვების ოთხი ხერხი არსებობს, მათ შორის კი, ყველაზე საიმედო ალკოჰოლის საკმაო დოზის მიღებააო. ამასთან ერთად, რახის ზეთს შეუძლია ისე გაუქროს ადამიანებს შიშის გრძნობა, რომ დიდი შეხლა-შემოხლა და რევოლუციაც კი მოახდენინოსო. ამას წინათ ნიგერიაში ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა აიკრძალა. საქმე ამგვარად ყოფილა: ერთ-ერთი სოფლის, სალკას შვიდი მკვიდრი ადგილობრივი წარმოების ლიქიორით გამოიბრუჟა, ეტყობა, სასმელი მთლად დაწმენდილი არ იყო, რის გამოც მასში რახის ზეთიც ბლომად იქნებოდა. ჰოდა, სასმელმა ისე დაუკარგა შიშის გრძნობა აბორიგენებს, რომ მეზობელ სოფელზე თავდასხმა და მაჰმადიან თვისტომთა დარბევა გადაწყვიტეს... ქუთაისელ ამსფონთა მსგავსად, გახსოვთ ალბათ, ჭიჭიკია და ბიჭიკია, რომ გამოთვრნენ და უსაქმურობისგან – წამო, კუკურიე გავლახოთო, ერთმა რომ უთხრა მეორეს, მეორემ მაშინ უპასუხა, თვითონ რო გაგვლახოსო? რას გვერჩის ის შობელძაღლიო, – უპასუხა ისევ პირველმა. ეტყობა, ნიგერიული ლიქიორი „ბურუკუდა" ვერც ჭაჭას უტოლდება ჯერჯერობით და ვერც ქუთაისელთა მსგავსი წინდახედულობით დაიკვეხნიან სოფელ სალკას მკვიდრნი. ერთი სიტყვით, შვიდი კაცის აგრესიას მუსულმანებმა ლოკალური „ჯიხადით" უპასუხეს და ადგილობრივ მკვიდრთა გასაშველებლად სოფელში სამთავრობო არმიის დესანტის ჩამოსხმა გახდა საჭირო. საბოლოოდ, ნიგერიელებს ისეთი ომი გაუჩაღებიათ, რომ დარბეულ და გადამწვარ სოფელ სალკაში მხოლოდ „ბურუკუდას" ჩამოსასხმელი ფაბრიკაღა გადარჩენილა.

„სამოგონის" უარყოფით ზეგავლენა-

## IN VINA VERITAS



## ღვინოშია ჭეშმარიტება

***ჩვენმა წინაპრებმა პირველებმა შექმნეს ღვინო, პირველები ჩასწვდნენ მის არსს, შეიმუშავეს მისი მოხმარების წესები, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში ტრადიციად ჩამოყალიბდა.***

უძველესი დროიდან ღვინო საქართველოში ჩვეულებრივ საკვებ პროდუქტად ითვლებოდა. მას ყოველდღიურად მიირთმევდნენ ისევე, როგორც პურს, ყველს და სხვა შეჭამანდს. ღვინოც ენერგიის ისეთივე წყარო იყო, როგორც სხვა საკვები. ღვინოს სვამდნენ კაცები, დედაკაცები, ახალგაზრდები. მოხუცები ღვინისგან ამზადებდნენ შეჭამანდს, რომლითაც ბავშვებს კვებავდნენ.

ქართველი სალაღობოდ და საქეიფოდ თეთრ ღვინოს სვამდა, წითელს სათრობად იშვიათად, ისიც ზამთარში და არაფრის დიდებით ზაფხულობით.

წითელი ღვინო სამკურნალოდ იხმარებოდა განსაკუთრებით სისხლნაკ-

►

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მეტყველებს მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის საქციელიც. ამ ბედოვლათმა 2004 წლის დეკემბერში, რუსეთის დედაქალაქის ცენტრში რამდენიმე ათეული არყისმოყვარული შეკრიბა და НТВ-ს ტელეკამერების წინ „ვოდკა“ რუსულ ფენომენად გამოაცხადა. მისი სიტყვებით: ხორბლის სპირტზე დაყენებული „სამოგონი“ კაცობრიობას რუსებმა მოუვლინეს და მისი დაწმენდის ტექნიკაც მათ, კერძოდ კი, მიხაილ ლომონოსოვმა შეიმუშავაო, რომელსაც ადრე კიდევ ერთი რუსული საოცრების „სამოვარის“ გამოგონებას მიაწერდნენ. ერთი სიტყვით, ლომონოსოვის (არყულმა) დამსახურებამ უცებ გააფერმკრთალა და დაჩრდილა მართლაც რომ დიდი რუსი მეცნიერების: ციოლკოვსკის, მენდელეევის, ვავილოვის, კურჩატოვისა და სხვების ფასდაუდებელი ღვაწლი და იგი რუს მეცნიერთა კოჰორტის სათავეში მოექცა. ლუჟკოვის „ჰიპოთეზას“ მალე ალბათ სხვა თეორეტიკოსებიც გამოუჩნდებიან, რომლებიც მის უცილობელ დამტკიცებას შეეცდებიან. რუსებს ხომ წესად აქვთ, წამოაყენებენ მათთვის ხელსაყრელ




რაღაც ზღაპრულ იდეას, მერე კი ცდილობენ მისი „იურიდიული ბაზა-საყრდენის“ შექმნას. რას იზამ... როგორც ასეთ ვითარებაში ამბობენ, — წერონ და იკითხონ, მაგრამ ცხადია, რომ ბატონ იური ლუჟკოვის აზრთა მდინარება ადვილად გამოსაცნობია, თუ ფრანგებმა კაცობრიობას შამპანურის და კონიაკის გემო გააცნეს, შოტლანდიელებმა — ვისკის, პორტუგალიელებმა — პორტვეინის, იტალიელებმა — მარტინის, გერმანელებმა — ლუდის, ქართველებმა კი ღვინით გაამდიდრეს კაცობრიობის მატერიალური და სულიერი საგანძური. აქაოდა, ჩვენ ვისზე ნაკლებნი ვართო, „ვოდკა“ ჩვენი გამოგონილი ეროვნული სასმელიაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს. თუ მართლა ასეა, ამ სასმელის მოხმარების ადათი და წესიც მათი შემუშავებული უნდა იყოს. მოვუსმინოთ, რას ამბობს ამის შესახებ ერთი რუსი ჟურნალისტი, როცა საქმე დალევას ეხება, — რუს კაცს არ უყვარს ექსპერიმენტების ჩატარება, მაგრამ ხშირად იბნევა, რადგან გამოცდილება უკარნახებს ფრთხილად მოიქცეს. ამიტომაცაა, რომ ყოველ გახსნილ ბოთლში ლამისაა ცხვირი ჩაყოს, იმის დასადგენად, რის დალევა მოუწევს, მოიწამლება თუ არა. მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა გარემოება აიძულებს, განურჩევლად ყლურწავს ყოველგვარ ამოუცნობ საზიზღრობას, რაც ბოთლში ასხია და სპირტის სუნს გამოსცემსო. ბარაქალა... ესაა „ვოდკის“ მოხმარების უმთავრესი და უმარტივესი წესი — უნდა დალიო. დალიო ბოლომდე, ამოხაპო, ამოაშრო, ფსკერი უნდა დაინახო. შედეგი? რუსი მეცნიერი კარაგანოვი, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, დალევის მესამე სტადიაზე არაფერს ამბობს, ჩვენ კი ვიტყვით, მესამე სტადიის დროს, ანუ რუსულად დალევის შედეგად ადამიანი ითიშება. სწორედ ისე, როგორც პრეზიდენტ ელცინს დაემართა, როცა იგი ამერიკიდან გზად, ირლანდიაში ჩაფრინდა და იმის გამო, რომ გალეწილი მთვრალი იყო, თვითმფრინავიდან გადმოსვლა ვერ შეძლო. ამაოდ ელოდნენ მას ოფიციალური პირები, საპატიო ყარაული... — წადით, თქვენიც და იმათიცო... უთქვამს ელცინს თანაშემწეებისთვის, რომლებიც მის გამოფხიზლებას ცდილობდნენ.

**თუ არ გინდათ, რომ ხელში სლოკინატეხილი, პომადაგათხაპნილი, კოლგოტშემოხეული და აბდაუბდად მოლაპარაკე ამოუცნობი არსება შეგრჩეთ, არ მისცეთ ქალს უფლება, ზედმეტი დალიოს...**

დალევა რუსეთში ცოდვად არ ითვლება, განსაკუთრებით, თუ მოტივი ანუ მიზეზი არსებობს. არმიაში ახალწვეულებს ტრაფარეტულ კითხვაზე უწევთ პასუხის გაცემა — სვამს თუ არა. პასუხიც ტრაფარეტულია — მხოლოდ დღესასწაულებზე, ანუ „პრაზდნიკებზე“. აქ კი მაიაკოვსკის ფორმულა მოქმედებს, „ვამბობთ პრაზდნიკი, — ვგულისხმობთ დალევას, ვამბობთ დალევა, — ვგულისხმობთ პრაზდნიკს“. ესე იგი, „პრაზდნიკიც“ მაშინაა, როცა დალევის საშუალება მეძლევაო.

ასეთი დღესასწაულები კი ორ კატეგორიად იყოფა: პირადი, ანუ ინდივიდუალური და საერთო-ეროვნული. პერსონალურად თითოეულს თავისი „საპრაზდნიკო“ აქვს, მაგალითად: დაბადების დღე (შვილის, ცოლის, სიდედრის და ა.შ.) — უნდა დალიოს, „სპარტაკმა“ მოიგო — უნდა დალიოს, „პალუჩკა“ მიიღო — უნდა დათვრეს, ავანსი — უნდა გაითიშოს, სატირალში — დათვრება, ქორწილია — ნახევარსაათიანი გორკა! გორკას ძახილის შემდეგ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ა.შ.

საერთო დღესასწაულებზე, ანუ ეროვნულ „პრაზდნიკებზე“, როცა კალენდარში წითლად აღნიშნული თარიღი მოახლოვდება და ხელისუფლება კვირა დღეს ორშაბათის ადგილას ჩასვამს, სამშაბათს, შაბათის ადგილას და სხვა მანიპულაციებით ზეიმსმოწყურებულ მოსახლეობას

►

ლულ ყრმათათვის.

არყის გამოხდაც მეცხრამეტე საუკუნეში ისწავლეს. მანამდე ჭაჭას წყალს ასხამდნენ, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ დუღდებოდა, დადუღებულ სითხეს შუა ღვინო ეწოდებოდა და წყლის მაგიერ სასმელად გამოიყენებოდა. ჩვენი წინაპრები ღვინოს სვამდნენ, როგორც დიდი სიხარულის, ასევე დიდი მწუხარების, სასოწარკვეთილებისა და შავნაღვლიანობის დროს. ღვინო ემოციას აწონასწორებდა, ცხოვრებას ნორმალურ კალაპოტში აყენებდა, ადამიანებს ჩამქრალი იმედის ნაპერწკალს უღვივებდა.

კაცი და ღვინო გაიგივებული იყო. კაცი ღვინით იცნობაო. კაცი ღვინოში გამოიცდებაო.

კეთილი კაცის დაწურულ-დაყენებული ღვინო ყოველთვის კეთილ თვისებებს გადასცემსო. კეთილ კაცს ყოველთვის კარგი ღვინო გამოუდისო. გაიძვერა მოყვარის დაყენებული ღვინო, ავია და მაწყინარიო. მაგრამ როგორი კარგიც უნდა იყოს ღვინო, მასში თანაბრადაა ჩაბუდებუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა




ერთბაშად „საპრაზდნიკოდ“ 11 დღეს უწყალობებს, როგორც წლევანდელი წლის დასაწყისში მოხდა, აი, „მაშინ იწყება თავდავიწყება.“ არა აქვს მნიშვნელობა, ვინაა, რას წარმოადგეს — მაწანწალა, „ბომჟი“, „მუჟიკი“, პენსიონერი, პარლამენტარი, თავდაცვის მინისტრი, პრეზიდენტი, მდიდარი თუ ღარიბი — მთელი ერი სიმთვრალისგან გათიშულ მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის ცენტრალური სატელევიზიო არხებით, მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საახალწლო-„საპრაზდნიკო“ არდადეგების გამო — გაგონილა ამოდენა „პრაზდნიკი?“ დავსკდით სმით, მეტი აღარ შეგვიძლია, სასმელიც ამოიხაპა, საჭმელიც გაგვითავდა და ტროლეიბუსის ფულიც აღარ გვაქვს, ბავშვები რომ საბავშვო ბალში წავიყვანოთო. ასეთია „ეროვნული ზეიმის თავისებურებანი“ რუსეთში.

ზემოთ ვთქვით, რომ რუსულად დალევის შემდეგ „ძაღლი პატრონს ვერ ცნობსო“, ეს ზოგადი მხატვრული გამოთქმაა, თორემ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში,

**ტეკილა მხიარული ხალხის სასმელია, მაგრამ ზედმეტი არც მხიარულობა ვარგა...**

რომელსაც ახლა მოგითხრობთ, პატრონს ცნობს და მერე როგორ ცნობს. დიდ რუსეთში, პროვინციულ ქალაქ ნაგორსკში ცხოვრობს მონადირე ძაღლი, სახელად ჯონი. მისი პატრონი, ჩვეულებრივი მოქალაქე, ნადირობის ტრფიალია და ოთხფეხა მეგობარიც იმიტომ გაიჩინა.

ერთ დღეს პატრონმა შენიშნა, რომ ჯონის ხასიათი გამოეცვალა, სადღაც გაუჩინარდება, დაბრუნების შემდეგ კი უფრო მხიარული და მოძრავი ხდება, პატრონის ბრძანებებს უხალისოდ, ან საერთოდ არ ასრულებს, ხშირად ისეთი თვალებით უყურებს, თითქოს ეუბნება — წადი, შენი...

დაინტერესებული მონადირე მეძებარს კვალში ჩაუდგა, კვალმა კი სასმლის მაღაზიასთან მიიყვანა, სადაც რუსული ტრადიციის მიხედვით „სამეულები“ არაყს ხუხავენ ხოლმე. აღმოჩნდა, რომ ჯონის მაღაზიასთან ამფსონები (საბუტილნიკები) გაეჩინა, რომლებსაც ყოველდღე აკითხავდა. ისინიც, რა თქმა უნდა, გაგებით ეკიდებოდნენ „კოლეგის“ მისწრაფებას და საკუთარ ულუფას უნაწილებდნენ.

მონადირეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა თავისი ძაღლის ადამიანური საქციელი და გადაწყვიტა, გამოესწორებინა იგი. ორი კვირის განმავლობაში ადგილობრივი ვეტერინარის მეთვალყურეობის ქვეშ კარანტინში ამყოფეს ალკოჰოლიკი ჯონი, ბოლოს კი ნამკურნალები და გამოსწორებული, ეზოში გაუშვეს თუ არა, იმწამსვე გაუჩინარდა. რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნებულმა ჯონიმ პატრონს ალერსიანად შეხედა თვალებში, თითქოს ეუბნებოდა — „ტი მენია უვაჟაეშ?“

რუსული ვოდკისა და მისი მოხმარე-

**შოტლანდიური ვისკიც თავისებური „სამაგონია“ — მყრალი და მომწარო...**

ბის წესების ასე „დეტალურად“ განხილვა არაფრისმთქმელი იქნებოდა, სხვა სასმელის ღირსებებზე რომ არ გველაპარაკა. ამიტომ, ახლა ღვინოს მივუბრუნდეთ და გავარკვიოთ, რა შეუძლია ამ სასმელს.

„მე ვარ ღვინო, ჩემი მამულის სული და გული — სანახევროდ აშიკი, სანახევროდ მეომარი“, — ეს ქებათაქება ღვინოს „მწარე და ძვირფასმა“ შარლ ბოდლერმა აღუვლინა.

ქალბატონები რომ შამპანურის შემდეგ დამყოლნი ხდებიან, ეს მოძველებული აზრი სახედაფიჟვინებულ სამოციანელებს ეკუთვნით. დღეს კი, ახალი ათასწლეულის დასაწყისის ქალებს არც ისე იზიდავს შამპანური, რადგან მას გაზების გამოყოფა ახასიათებს და სწრაფად მოქმედებს (შამპანურში შემავალი ნახშირმჟავას ბუშტულები კუჭს აღიზიანებს და აიძულებს მას სწრაფად შეიწოვოს ალკოჰოლი, რის შედეგადაც ადამიანი მალე თვრება).

ამის გამო ბრძენმა ქართველებმა, როცა ბანკეტებზე შამპანურის დიდი რაოდენო-




ლი ბოროტი და კეთილი, კაცი მაშინ ხარ, როცა ღვინისგან მხოლოდ კარგს გამოიტან, ბოროტს კი სასმისის ფსკერში ჩატოვებ.

ზომიერება ღვთაებრივი თვისებააო, უთქვამს ჩვენს წინაპარს და ვინც ზომიერებას იცავს, ღმერთს უახლოვდებაო.

ალბათ ზომიერების დაცვის მიზნით შემოიღეს ჩვენს წინაპრებმა თამადობის ადათ-წესი. ტრადიციულად, თამადად ირჩევენ ყველაზე ღირსეულ კაცს, გამორჩეულს ჭკუა-გონებით, მჭევრმეტყველებით, გარეგნობით, გვარიშვილობითა და ოჯახიშვილობით. თამადის თვისებებზეა დამოკიდებული ქართული სუფრის ავ-კარგიანობა. იგია ნადიმის გამგებელი, გამრიგე და მბრძანებელი, რაც მთავარია, პასუხისმგებელი ყოველივე ავსა თუ კარგზე.

ჩვენ წინაპრებს ვაზი ღვთიურ მცენარედ მიაჩნდათ, ღვთიურ სითხედ მიაჩნდათ ღვინოც და როცა ამ ღვთიური სითხით ავსებულ სასმისს ხელში აიღებდნენ, სჯეროდათ, რომ ღმერთისგან მოყვასის დალოცვის უფლება ენიჭებოდათ — სადღეგრძელოს ტრადიციასაც, ალბათ აქედან დაედო საფუძველი.

თუმცა ამ ყველაფერის შემდეგ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გადამეტებული არაფერი ვარგა და ყველა სასმელი ერთნაირი თვისებებით არ გამოირჩევა. ახლა ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი არყისა და „ვოდკის“ სმაზეა გადასული, რადგან ის სწრაფი ეფექტითა და დაბალი ფასით გამოირჩევა. ამ ფაქტს ვერსად გავექცევით, მაგრამ ვფიქრობთ, ზედა წერილში მოყვანილი ცნობები არყის ფანებს ნამდვილად დააინტერესებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით სმა უწევდათ, ერთი უცნაური ტრადიცია შემოიღეს, ბოკალში დასხმულ მოცქრიალე სითხეს, მწვანილის ღეროთი ურევდნენ, რის შედეგადაც ნახშირმჟავის გაზის რაოდენობა შამპანურში მცირდებოდა. ე.წ. ჰუსარები ამის გამო „გრუზინებს“ დასცინოდნენ, მაგრამ ოხრახუშის ღერი, ღორულად დათრობას უშლიდა ხელს, ბოყინსა და გულძმარვას კი საერთოდ აქრობდა.

დღეს დიაცთა საცდუნებლად შამპანურს აღარ იყენებენ. ახლა მათ ახლებური ხერხით აცდუნებენ (ყოველივე ახალი, კარგად დავიწყებული ძველია). ქალებს ახლა წითელ ღვინოს სთავაზობენ. ღვინო იმითაა კარგი, რომ ქალს უფრო ათამამებს, ტრფიალისადმი მიდრეკილს ხდის. ამასთან ერთად, არ აკარგვინებს ზომიერების გრძნობას. ეს კი ძლიერ საშური და სასურველი თვისებაა ბანკეტებისა და საზეიმო წვეულებებისათვის. კარგი ღვინო, კარგი პურმარილი, ზომიერი ფლირტი, — ასეთ სიტუაციაში გამორიცხულია წაქცევამდე დათრობა.

ბატონო მამაკაცებო! იცოდეთ, რომ რაც უფრო მეტს დალევს ქალი, მით უფრო სუსტდება, მაპატიეთ და, მისი ფიზიოლოგიური რეაქციები. რა თქმა უნდა, ქალი ამ დროს ემოციური, რომანტიკული, ტრფიალს მოწყურებული და დამყოლია, მაგრამ იმ მომენტისთვის, როცა სარეცელს მიუახლოვდებით, თქვენი მზეთუნახავის ქალურობა ალკოჰოლისგან იქნება ამომშრალი. გახსოვდეთ, — რაც უფრო მეტადაა ნასვამი ქალი, მით უფრო ნაკლებად ქალურია ის. თუ არ გინდათ, რომ ხელში სლოკინატეხილი, პომადაგათხაპნილი, კოლჰოტშემოხეული და აბდაუბდად მოლაპარაკე ამოუცნობი არსება შეგრჩეთ, არ მისცეთ მას უფლება, ზედმეტი დალიოს. ჯობს, მოუყვეთ გულისა და სისხლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ანდა უთხრათ, რომ ორი ჭიქა წითელი ღვინის ყოველდღიურ დალევას შეუძლია თავიდან ააცილოს ინფარქტი. ხოლო თუ მას ძლიერი შთაბეჭდილებების მიღება სურს, აუხსენით, რა განსხვავებაა ფრანგულსა და ქართულ ღვინოებს შორის. ფრანგები დამარცვლულ ყურძენს წურავენ, ქართველები კი საწნახელში ყურძენს კლერტებიანად ყრიან და ჭაჭაზე ადუღებენ. ამიტომაცაა ქართული ღვინო ძელგი დასალევი. ეს იყო შესავალი, ჭორი კი ასეთია — ერთხელ სტალინმა ერთ-ერთ მოკავშირეს პატივისცემის ნიშნად მთელი ყუთი ქართული ღვინო გაუგზავნა, ფაქიზმა უცხოელმა გასინჯა ღვინო და გაოცებულმა ჰკითხა ბელადს — რატომაა ასეთი უხეში საბჭოთა ღვინოო. იმიტომ, რომ მას სისხლის გემო აქვს, უპასუხა სტალინმა.

ასეთი საშინელი ზღაპრის შემდეგ თქვენი ტრფიალის ხელში ქინძმარაულით სავსე ბოკალი შეტოკდება, თქვენ კი ელდანაცემ ქალბატონს ფრთხილად და სათუთად დაუსვით ხელისგული ხერხემლის გაყოლებაზე და ნაზად მოხვიეთ ხელი კისერზე. მოფერება დაამშვიდებს. ქალისთვის ხომ მთავარია, თავიდან უხეში ძალით შეაშინო, შემდეგ კი მოფერებით დაამშვიდო, — ასე უნდა მოიქცეს მამაკაცი სანახევროდ აშიკი და სანახევროდ მეომარი რომ იყოს.




დღევანდელმა დღემ ღვინისა და „ვოდკის“ გარდა, კიდევ ბევრი სხვა სასმელ-სათრობი სითხე მოგვიტანა.

რად ღირს თუნდაც ტეკილა ლიმონით. მისი დალევის შემდეგ მამაკაცებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ ხელისუფლების ბეჭდის მფლობელები და მბრძანებლები არიან. ქალებს კი წარმოდგენა — თითქოს ისინი ზღაპრულ სამყაროში მოხვედრილ მზეთუნახავად გადაიქცნენ, რომელთაც ბაყბაყდევი მოტაცებას უპირებს, მზეჭაბუკი კი ამ მოტაცებას ელოდება, რომ შემდეგ გაათავისუფლოს.

ღვინო და კონიაკი — ძალიან კარგი და სასურველი შეთავსებაა, ეს იმიტომ, რომ ერთიცა და მეორეც ღვინის სპირტისგან იწარმოება და ერთიმეორეს არ ეწინააღმდეგება. რაც უფრო მეტია გრადუსი, მით მეტია სასიყვარულო გაბედულება — მთავარია, არ გადაამეტო. კონიაკი პორტვეინით 50/50. ეს გახლავთ საუკეთესო საძილე საშუალება, რომელსაც განსაკუთრებით ხანშიშესული ირლანდიელები მიმართავენ. ერთი ბოკალი პორტვეინისა და კონიაკის ნაზავის დალევის შემდეგ ადამიანი თხუთმეტიოდე წუთში ითიშება და დილამდე სძინავს. ამიტომ ასეთი ნაზავი უკეთესია დაწოლილმა დალიოთ, გირჩევთ მოერიდოთ მას სახლიდან მოშორებით ან სტუმრად ყოფნისას. თუ გსურს UP მდგომარეობაში ყოფნა, ჯეიმს ბონდის კოქტეილია საჭირო. არაყი + მარტინი ფიფტი-ფიფტი. წამი და სიმთვრალე გარანტირებული გაქვთ. მაგრამ მარტინი არყის დამაძინებელ თვისებას ანეიტრალებს. საბოლოოდ, ასეთი კოქტეილი ადამიანს მეგობრების მიმართ კეთილგანწყობილს ხდის, მტრების მიმართ კი — ირონიულს (და არა აგრესიულს). ჯეიმს ბონდის კოქტეილი მაღალი საზოგადოებისთვის იდეალური ვარიანტია.

ლუდი ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედებს როგორც ანტიდეპრესანტი. ამ თვისებით იგი სკანდინავიის რამდენიმე ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერაც არის დამტკიცებული. ლუდის ფანატიკოსები თავის საყვარელ სასმელს მრავალ სასწაულებრივ თვისებას მიაწერენ. ამ შემთხვევაში, აპოთეოზად გვევლინება ამბავი, რომელიც მიუნხენის ახლოს, ბენედიქტელთა მონასტერში მოხდა. ბერები მოსახლეობას ლუდით მკურნალობდნენ, მარტივად რომ ვთქვათ, ლუდს ასმევდნენ. მონასტრის ქრონიკებს თუ დავუჯერებთ, მხოლოდ სამი წლის განმავლობაში ლუდისგან 237 ყრუს სმენა დაუბრუნდა, 860 ბრმას — მხედველობა, 355 დამბლადაცემული ადგა და გაიარა. ლუდმა განკურნა აგრეთვე ეპილეფსიით შეპყრობილი 188 ადამიანი. 211 შეშლილს კი კვლავ ნათელი გონი დაუბრუნდა.

დიახ ასეა, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე რომ ღვინომ, ლუდმა თუ სხვა სასმელმა ადამიანი გადაარჩინა, განკურნა ან კიდევ მრავალი ასეთი რამ, მაგრამ კრინტს არავინ ძრავს იმაზე, რომ სასმელმა მილიონობით ადამიანი დაღუპა, არც მათი ნათესავების მიერ ქელეხებზე და პანაშვიდებზე დახარჯული სახსრების აღრიცხვიტ დაინტერესებულა ვინმე. უნდა გვახსოვდეს, რომ დამნაშავე სასმელი კი არა, — მისი დოზაა. ამიტომ აუცილებლად დალიეთ, მაგრამ იცოდეთ, რა, სად, როდის, რამდენი, როგორ და რატომ უნდა დალიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძაჩემი მეუბნება, რომ რუსის ჯარში მსახურობის დროს სპეციალურ ხიდების მანქანაზე მუშაობდა და მდინარეზე გადასასვლელად, სულ რაღაც 15-20 წუთი სჭირდებოდა. მართალია თუ არა, რომ ასეთი ტექნიკა არსებობს და თუ მართალია, მაშინ დაწერეთ ამ მანქანებზე.

*პატივისცემით, მამუკა ქოიავა, მარტვილი*

---

ძალიან მომწონს თქვენი ჟურნალი, თუ შესაძლებელია, გამოაქვეყნეთ სტატია ხიდდამგებ მანქანებზე.

*ბესო ბერიტაშვილი*

# ხიდი სამ წუთში



მას შემდეგ, რაც ადამიანმა მდინარეზე გადასასვლელად ხიდი გამოიგონა, საომარ მოქმედებებში მონაწილე მხარეები მუდმივად ცდილობდნენ მის განადგურებას ან პირიქით აღდგენას. ვინ იცის, რამდენი მებრძოლია ჩახოცილი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მდინარის გადალახვისას მტრის ცეცხლის სამიზნე ხდებოდა.

ამიტომაც ბრძოლების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხიდის სწრაფად აგებასა და მდინარის დროულად ფორსირებას, რათა არ შენელდეს შეტევის ტემპი. რაღა შორს წავიდეთ, როდესაც 1993 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში მოწინააღმდეგემ აფხაზეთში მდ. კოდორზე ცენტრალური ხიდი ჩაკეტა, სოხუმში ალყაში დარჩენილებისთვის დასახმარებლად ქართული სამხედრო დანაყოფის მცირე ნაწილი მდ. კოდორზე ფონით გადმოვიდა და ერთი ტანკი მდინარეში ჩარჩა.

თანამედროვე ბრძოლებისას, როდესაც შეტევას ჯავშანსატანკო ჯგუფი ახორციელებს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, დროის რაც შეიძლება მცირე მონაკვეთში ააგო ისეთი ხიდი, რომელიც ტანკს გაუძლებს.

საერთოდ, საბრძოლო პირობებში ხიდების სწრაფად აგების რამდენიმე მეთოდი არსებობს, მაგრამ ეს ძალიან დიდი თემაა და ერთ სტატიაში არ ჩაეტევა, თანაც კითხვის ავტორები „არსენალს" სწორედ ხიდდამგების მცნებისა და არსის გაგებას სთხოვს.

ტანკის ბაზაზე დამონტაჟებული ხიდდამგები, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ ტანკს წარმოადგენს, მაგრამ კოშკურისა და შეიარაღების ნაცვლად ზემოდან დაკეცილი ხიდის რკინის კონსტრუქცია აქვს დამონტაჟებული. პატარა მდინარესთან ან სპეციალურად გაჭრილ ტანკსაწინააღმდეგო თხრილთან მიახლოებისას ხიდდამგების ეკიპაჟი ტანკიდან გადმოუსვლელად პნევმატური მექანიზმების დახმარებით ხსნის ხიდს, მას თხრილის ან მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადადებს და შესამოწმებლად პირველად თავად გაივლის. ჯავშანტექნიკის გადასვლის შემდეგ ხიდდამგების ეკიპაჟი საპირისპირო ნაპირიდან იღებს გადებულ ხიდს, კეცავს და ზურგზე „ითავსებს" და უკან მიჰყვება შეტევაზე გადასულ თავისიანებს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა არმიას ტრადიციულად ყველაზე განვითარებული და ეფექტური ხიდდამგებები ჰქონდა შეიარაღებაში, რაც, ეტყობა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ სტალინის დროიდან კრემლის სტრატეგიულ გათვლებში ყოველთვის იდო მძლავრი და სწრაფი სატანკო იერიშის განხორციელება დასავლეთ ევროპის მიმართულებით და საბოლოოდ ლა-მანშის სრუტის სანაპიროზე წითელი დროშის აფრიალება. თითქმის 50 ათასი საბჭოთა ტანკის (არადა, ამდენი ტანკი შეიარაღებაში NATO-ს კი არა,მთელ დანარჩენ მსოფლიოს ერთად აღებულს არ გააჩნდა) უმძლავრესი არმიის ერთ-ერთ შემაკავებელ ფაქტორად ევროპელი და ამერიკელები გენერლები იმ ხიდების აფეთქებას მიიჩნევდნენ, რომლებიც უხვადაა „ბებერ" ევროპაში. დასავლეთის საიდუმლო ჩანაფიქრების შესახებ კი საბჭოთა სამხედრო დაზვერვას ინფორმაცია მუდმივად ჰქონდა, ამიტომაც საბჭოთა სამხედრო დოქტრინაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ევროპის მდინარეებზე აფეთქებული ხიდების სანაცვლოდ ახალი ხიდების სწრაფად გადადებას, ხოლო თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ ტანკის ბაზაზე შექმნილ ხიდდამგებს 15-20 მ სიგრძის ხიდის გასადებად სულ რაღაც 3-5 წთ სჭირდება, მის ასაღებად კი 8-10 წთ, ადვილი მისახვედრია, რა როლს თამაშობენ ხიდდამგებები ბრძოლებში.

ხიდდამგებებს იმხელა მნიშვნელობა ენიჭებათ, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების თანახმად მათი აღრიცხვა მიმდინარეობს, თუმცა, როგორც წესი, ხიდდამგებები შეუიარაღებლები არიან, თუ არ ჩავთვლით ეკიპაჟისთვის განკუთვნილ პისტოლეტებსა და ავტომატებს. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებას ბოლო პერიოდამდე 10 ხიდდამგები ჰყავდა (ძირითადად МТУ-20 და МТ-55А-ს ტიპის), მათგან 4 ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზაში და ორიც ახალქალაქის 62-ე სამხედრო ბაზაში.

სომხეთის არმიის შეიარაღებაში 4 МТУ-20-ია, ხოლო აზერბაიჯანულ სამხედროებს 8 ხიდდამგები ჰყავთ, მათ შორის 7 МТУ-20 და ერთი МТ-55.

ქართულ არმიას რუსეთის არმიისგან ორი МТУ-20 ერგო. ამ სტატიის ავ-



MT-55



XM104

ტორი ერთხელ ფოთთან გამართული სწავლებისას თავად გახდა იმის თვითმხილველი, თუ როგორ გადო ხიდი ხევზე საკმაო წვალების შემდეგ ქართულმა MTУ-20-მა.

ხიდდამგებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ისეთი მთაგორიანი რელიეფის მქონე ქვეყნებში, როგორსაც საქართველო წარმოადგენს, თუმცა ,,არსენალის" ინფორმაციით, არც ერთი ქართული ხიდდამგები დღესდღეობით მწყობრში არ არის. არადა, ომის გარეშეც საჭიროა ხიდდამგებები, განსაკუთრებით კი სტიქიური უბედურებების — ზვავის, მეწყერისა და წყალდიდობების დროს.

ერთ-ერთ იმედად რჩება, ცნობილი ქართველი კონსტრუქტორის გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი უნიკალური კონსტრუქციის ხიდები (ერთ-ერთი მათგანი ქართულ არმიასაც აჩუქეს, მაგრამ რა დღეშია ეს ხიდი დღეს, ძნელი სათქმელია), მაგრამ ეს სხვა თემაა.

*ირაკლი ალადაშვილი*

## ჩვენი დოსიე:

ხიდდამგები MTУ საბჭოთა არმიის შეიარაღებაში გასული საუკუნის 60-80-იანი წლებში გამოჩნდა. იგი T-54 ტიპის ტანკის ბაზაზეა შექმნილი. მას შეუძლია გადოს 60 ტ ტვირთამწეობის 12 მ სიგრძისა და 3.2 მ სიგანის ხიდი სულ რაღაც 4 წუთში.

ხიდდამგები MTУ-20 წარმოადგენს T-54 ტიპის ტანკის ბაზაზე დამონტაჟებულ 50 ტ ტვირთამწეობის 20 მ სიგრძისა და 3.3 მ სიგანის ხიდს, რომლის გასაშლელასალებად 5-10 წთ-ია საჭირო, მაგრამ იმის გამო, რომ ძველი MTУ-სგან განსხვავებით MTУ-20-ის ხიდის გასაშლელი ჰიდრავლიკური სისტემა ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, ხოლო 15-20 ტანკის გადასვლის შემდეგ ხიდის კონსტრუქცია რემონტსა და შედუღებას მოითხოვდა, რისი დრო და საშუალება საბრძოლო მოქმედების დროს ყოველთვის არ არის, MTУ-20-ს ჯარებში მაინც არ ემადლიერებოდნენ.

ხიდდამგები MT-55-ს 50 ტ ტვირთამწეობის 18 მ სიგრძისა და 3.3 მ სიგანის ხიდის გადება 3-8 წთ-ში შეუძლია. ეს ხიდდამგები T-55 ტიპის ტანკის ბაზაზე ჩეხოსლოვაკიაშია შექმნილი. თავისი წინამორბედებისგან იმით განსხვავდება, რომ MT-55 დაკეცილი ხიდი მაკრატლისებურად იშლება და მოსახერხებელია, თუმცა უარყოფითი მხარეც მაქვს — გაშლის მომენტში ხიდი 12 მ-ის სიმაღლეზე იწევა და შეიძლება მოწინააღმდეგემ შეამჩნიოს და მიხვდეს, სად ეწყობა ჯავშანტექნიკის გადასასვლელი გასაშლელი ხიდი.

ხიდდამგები MTУ-72 დღესაც არის რუსული არმიის შეიარაღებაში და იგი თავისი წინამორბედისგან MTУ-20-სგან ძირითადად მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ სავალ ნაწილად გამოყენებულია არა T-54 ტიპის ტანკის, არამედ შედარებით თანამედროვე T-72 ტანკის ბაზა. MTУ-72-საც 50 ტ ტვირთამწეობის 20 მ სიგრძისა და 3.3 სიგანის ხიდის გადება შეუძლია, ოღონდ უფრო მცირე დროში — 2-2.5 წუთში.

ხიდდამგები AVLB-ი აშშ-ის შეიარაღებაშია. იგი M6OA1 ტიპის ტანკის ბაზაზეა შექმნილი და 60 ტ ტვირთამწეობის 19 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის ხიდის გადება 4-5 წუთში შეუძლია. მისი ხიდიც მაკრატლისებრად იშლება, ისე როგორც ჩეხური MT-55-ისა.

ხიდდამგების XM104-ის შეიარაღებაში მიღებას აშშ-ის არმია ჯერ კიდევ აპირებს. იგი თანამედროვე ტანკის M1A2, ,,აბრამსის" ბაზაზეა შექმნილი. მასზე დამონტაჟებულია 70 ტ ტვირთამწეობის 26 მ სიგრძის 10.8 ტ მასის გასაშლელი ხიდი, რომელიც ამერიკელი ინჟინრების მტკიცებით, 5 ათასი ტანკის გადასვლას გაუძლებს.

სამხრეთკორეული ტანკის K1-ის ბაზაზე შექმნილი ხიდდამგებს შეუძლია 60 ტ ტვირთამწეობის 22 მ სიგრძის მაკრატლისებრად გასაშლელი ხიდი 3 წთ-ში გადოს და 10 წთ-ში უკან აიღოს.



AVLB



MTУ-72

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 4. ამერიკული ავიაბაზა აშშ-ის კონტინენტალურ ნაწილში; 5. პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყნებში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით; 6. ყაჩაღი გურიაში; 8. ჯარისკაცი თურქეთში; 11. მოკლე ხმალი; 13. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 15. ბრძოლის მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა; 16. საბჭოთა მწერალი და ჟურნალისტი მეორე მსოფლიო ომის დროს; 17. წარმოშობით დანიელი ზღვაოსანი, რუსეთის ფლოტის ოფიცერი, კაპიტან-კომანდორი; 20. ქართველი ძალოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი; 23. ღვინის ობი; 25. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 27. პოლიციის წინამორბედი; 28. გერმანიის სახელმწიფო იმპერია; 29. აეროდრომი საფრანგეთის ტერიტორიაზე; **შვეულად:** 1. ავსტრიული 9 მმ-იანი ავტომატური პისტოლეტი; 2. მედლის წინა მხარე; 3. იდუმალი რამ; 6. უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდება მეფის რუსეთისა და ზოგიერთ უცხოურ არმიაში, ასეულის მეთაურის თანაშემწე ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხებში; 7. ესპანური 5,56 მმ-იანი ხელის ტყვიამფრქვევი; 9. ერთგვარი სისტემის რევოლვერი; 10. ქვეითი ჯარის მოძველებული სახელწოდება; 11. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული დათვის სახეობა; 12. მოწყობილობა რადიოტალღების მისაღებად ან გადასაცემად; 14. ისრის წვერი; 18. ვეტერანი ესპანელი ფეხბურთელი; 19. ქალაქი საქართველოში; 21. ლიბანის სამხედრო-საზღვაო ხომალდების ტიპი; 22. ციხის საწოლი; 24. ოფიცრის წოდება; 26. ჯავახიშვილის რომანი „... მარაბდელი“; 27. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* ***თარაზულად:*** 4. ტროტილი; 5. უნაგირი; 6. დუგანი; 8. ემისია; 11. ქვიშა; 13. ორატორი; 15. პლანერი; 16. აპაჩი; 17. ტანდემი; 20. ესკადრა; 23. ოკა; 25. იაპონია; 27. მონოკლი; 28. სექტა; 29. რინგი. ***შვეულად:*** 1. სტიმული; 2. სტინგრეი; 3. დიონისე; 6. დეტონატორი; 7. აბოტი; 9. იპონი; 10. ამფითეატრი; 11. ქლიავი; 12. ასპიდე; 14. მაო; 18. დეპო; 19. მიგი; 21. სუმო; 22. არგო; 24. კლაქსონი; 26. ასკერი; 27. მანტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტური მებრძოლი

**ვაგრძელებთ ელიტური მებრძოლის მომზადების პროგრამას. ტრადიციულად ვიწყებთ ფიზიკური მომზადებით. სპორტდარბაზის შერჩევის, მოთელვისა და მოქნილობის ვარჯიშების შესრულების შემდეგ აუცილებლად უნდა შეასრულოთ სპეციალური ვარჯიშების პროგრამების ციკლი, რომელთა დახმარებით განივითარებთ ძალას სიმძიმეების გამოყენების გარეშე. ასეთი ვარჯიშები არ მოითხოვს სპეციალურ აღჭურვილობას. ამიტომ ისინი შეგიძლიათ ნებისმიერ ადგილას შეასრულოთ. მით უმეტეს, რომ სპეცრაზმის ჯარისკაცები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე შორეულ რაიონებში, სადაც კომფორტული სპორტდარბაზი კი არა, უბრალოდ, შესაბამისი სათავსოც არ არის. ამიტომ ვარჯიშთა ეს კომპლექსი დამწყებთათვისაც კი რეკომენდებულია. ვარჯიშთა კომპლექსით განივითარებთ სხეულის ყველა კუნთს, რაც უფრო რთული ვარჯიშებისთვის მომზადებაში დაგეხმარებათ.**

*სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ, მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ გაწუხებთ:*

მაღალი წნევა;

ტკივილები გულის მიდამოში;

სუნთქვის პრობლემები;

სისხლის მიმოქცევის დარღვევა;

სახსრების ტკივილი;

სიმსუქნე.

თუ ერთ-ერთი პრობლემა მაინც გაქვთ, ვარჯიშის დაწყებამდე მიიღეთ რჩევა ექიმისგან. იგივე ეხება 40 წელს მიტანებულ პირებს და მათ, ვისაც გულსისხლძარღვთა მწვავე დაავადებები აწუხებს.

ყურადღება! არ დაუშვათ შეცდომა — ნუ შეჭამთ საჭმელს ვარჯიშის წინ. ძალზე კარგი იქნება, თუ დილით ადრე ადგებით, ივარჯიშებთ, მიიღებთ შხაპს და მხოლოდ ამის შემდეგ ისაუზმებთ.

*ვარჯიში 1. ნიკაპით ძელზე შეხება.*

ეს შესანიშნავი ვარჯიშია კორპუსის ზედა ნაწილის კუნთებისა და მხრის სამთავა კუნთის (ტრიცეფსისი) გასავარჯიშებლად.

ძელი ისეთ სიმაღლეზე უნდა იყოს, რომ მას თითის წვერებზე აწევით შესწვდით. ძელს მაგრად ჩაეჭიდეთ, ხელებს შორის მანძილი დიდი უნდა იყოს;

მოხარეთ ხელები და აიზიდეთ ისე, რომ ნიკაპით ძელს შეეხოთ;

ჩამოუშვით ხელები ტანის სიგრძეზე;

*ვარჯიში 2. ბარძაყის კუნთების დამუშავება.*

ეს ვარჯიში გაგივითარებთ ფეხის ზედა კუნთებს.

ხელები კეფაზე შემოიწყვეთ და წინ გადადგით დიდი ნაბიჯი;

წინა ფეხი მოხარეთ მუხლში ისე, რომ ბარძაყი იატაკის პარალელურად მდებარეობდეს, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას;

იგივე ვარჯიში გაიმეორეთ მეორე ფეხით.

*ვარჯიში 3. აზიდვები პარალელურ ორძელზე.*

ორივე პარალელური ძელი იატაკიდან 1,2 მ სიმაღლეზე უნდა მდებარეობდეს. მათ შორის მანძილი კი მხრების სიგანეს არ უნდა აღემატებოდეს (ძელის მაგივრობა შეიძლება გარკვეული სახის ავეჯმაც გასწიოს).

ხელები ჩასჭიდეთ ძელებს, გადააჯვარედინეთ ფეხები და აიზიდეთ ხელების სრულ გაჭიმვამდე;

შემდეგ ნელ-ნელა დაეშვით, სანამ მხრები ძელების პარალელურ მდებარეობას არ მიიღებს. ამ დროს ფეხებით იატაკს არ შეეხოთ;

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

დასაწყისში ეს ვარჯიში გაგიძნელდებათ, მაგრამ საბოლოოდ იგი შესანიშნავ შედეგს იძლევა.

*ვარჯიში 4. აზიდვები წოლით მდგომარეობაში*

დაწექით პირქვე, მხრების სიგანეზე ხელისგულებით დაეყრდენით იატაკს. ფეხები გამართეთ, ფეხის თითებით იატაკს დაეყრდენით;

ნელ-ნელა მოხარეთ ხელები და დაიწიეთ დაბლა ისე, რომ შეეხოთ იატაკს. შემდეგ აიზიდეთ ხელების სრულ გაშლამდე. რაც შეიძლება ნელა დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ტანი არ მოხაროთ;

შემდეგ ვარჯიში გაიმეორეთ, მხოლოდ ხელები უფრო განზე დააწყვეთ და თითის წვერებს დაეყრდენით.

დაიწიეთ დაბლა ისე, რომ იატაკს ოდნავ შეეხოთ და ასე გაჩერდით ხუთი წამი.

# კოცონის დანთების რამდენიმე ხერხი

ამ წერილში შევეხებით სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ექსტრემალურ პირობებში. წინა ნომერში ჩვენ გასწავლეთ, თუ როგორ უნდა დაგენთოთ ცეცხლი ასანთისა თუ სანთებელას გარეშე. სამწუხაროდ, ექსტრემალური სიტუაციების დროს მარტო ცეცხლის დანთება საკმარისი არ არის, უნდა იცოდეთ მისი შენარჩუნებაც და ისეთი კოცონის დანთება, რომ უცხოსთვის შეუმჩნეველი დარჩეს. ამჯერად სწორედ კოცონის გაჩაღების რამდენიმე ხერხს შემოგთავაზებთ. ცეცხლის გარეშე ველურ ბუნებაში გაძლება მართლაც რომ გაგიჭირდებათ. გარდა იმისა, რომ გათბებით, იგი საჭიროა ტანსაცმლის გასაშრობად, საჭმ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მოსამზადებლად და წყლის ასადუღებლად. მაგრამ კოცონის დანთებას ცოდნა უნდა, რათა მისგან მაქსიმალური სითბო და რაც შეიძლება ნაკლები კვამლი მიიღოთ.

თუ ასანთი გაქვთ, ცეცხლის დანთებას ნებისმიერ ამინდში შეძლებთ. ასანთი რომ არ დაგისველდეთ, ღერები დამდნარ ცვილში ან პარაფინში ამოავლეთ. როცა შეშრება, ჩააწყვეთ მასრაში და დაუცეთ თავი. უმჯობესია, თუ პატარა კოცონს დაანთებთ, მას უფრო დიდხანს შეინახავთ. ცივ ამინდში წრეში დანთებული რამდენიმე პატარა კოცონი უფრო მეტ სითბოს მოგცემთ, ვიდრე ერთი დიდი კოცონი.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ცეცხლის დასანთებად შესაბამისი ადგილი შეარჩიოთ. იფრთხილეთ, რომ ცეცხლი არ გადაედოს ტყეს ან მშრალ ბალახს. თუ ცეცხლის დანთება ნესტიან მიწაზე ან თოვლზე გიწევთ, ჯერ ქვების ფენა დაალაგეთ და ისე დაანთეთ.

აი, კოცონის რამდენიმე სახე:

„ვარსკვლავისებური კოცონი“: მსხვილი შეშა დაალაგეთ ვარსკვლავისებურად, ცენტრში შეშის ბოლოები ერთმანეთზე დააწყვეთ. ასე დანთებულ კოცონს უფრო დიდხანს შეინარჩუნებთ ისე, რომ ახალი შეშის მუდმივად დამატება არ დაგჭირდებათ. საკმარისია დროდადრო დამწვარი შეშა ცენტრისკენ მისწიოთ.

„მონადირის კოცონი“: რაიმე საყრდენზე დადეთ სამი მსხვილი შეშა და წვეროებით ერთმანეთთან შეატყუპეთ, სადაც ცეცხლს მოუკიდებთ. ასე დანთებული კოცონი 6-8 საათი ანთია. საჭიროა მხოლოდ დროდადრო წინ წასწიოთ შეშა და ბოლოები ერთმანეთს მიაწყოთ.

„პოლინეზიური კოცონი“: არ ჩანს და ბევრ ნახშირს იძლევა. ასეთი კოცონის დასანთებად ამოთხარეთ ორმო, ამოფინეთ ქვებით ან ამოლესეთ თიხით, ფსკერზე კი დაანთეთ ცეცხლი. თუ საშუალება გექნებათ, ასეთი კოცონის დანთება კარგია კლდის შვერილის ან ხშირფოთლიანი ხის ქვეშ — ამით ცეცხლი არა მარტო გვერდებიდან, ზევიდანაც შეუმჩნეველი იქნება. იმისთვის, რომ შეშა კარგად იწვოდეს, იქვე ახლოს პატარა ორმო ამოთხარეთ და წვრილი არხით კოცონის ორმოს დაუკავშირეთ, რათა ცეცხლს ჰაერი მიეწოდოს და შეშა კარგად დაიწვას.

კოცონი „კერია“: მთაში, სადაც ორმოს ამოთხრა ძნელია, ქვებისგანააწყვეთ მართკუთხა ფორმის კერია. ქარიანი მხრიდან დაუტოვეთ პატარა ხვრელი ჰაერის ნაკადისთვის. სტეპზე ასეთი კერია შეიძლება მიწის ბელტებისგან მოაწყოთ.

კოცონი სამი მორით: ასეთ კოცონს, როგორც წესი, ხანგრძლივი გათბობისთვის ანთებენ, მაგალითად, მთელი ღამისთვის. აიღეთ ორი მორი და ერთმანეთთან მიტყუპული მიწაზე დადეთ. მორებს გაუკეთეთ ნაჭდევები და ისინი შიგნით მოაქციეთ. ნაჭდევებს შორის ჩაყარეთ აალებისთვის საჭირო მასალა, — ნახერხი, მშრალი ბალახი, ხის წვრილი ტოტები ან სხვა კოცონის ნაკვერჩხალი და ზემოდან მესამე მორი დაადეთ. კოცონი თანდათან გაჩაღდება და რამდენიმე საათის განმავლობაში დიდი ალით ცეცხლით უზრუნველყოფილი იქნებით.

# შაშხანიდან სროლის შესახებ



ახლა კი განვაგრძოთ შაშხანიდან სროლის ტექნიკის შესწავლა. შაშხანიდან სროლისას მსროლელთა უმეტესობა ამჯობინებს დაწოლილ მდგომარეობაში ყოფნას. სნაიპერული სროლის ეს ძირითადი მეთოდი გამოიყენება როგორც დამწყებთა სწავლებისას, ისე პროფესიონალი სნაიპერების მიერ. სროლის ეს ხერხი იარაღის თითქმის აბსოლუტურ სიმყარეს, უძრაობას უზრუნველყოფს და მას კონტრტერორისტული ქვედანაყოფების სნაიპერები განსაკუთრებულად ზუსტი და საპასუხისმგებლო სროლისთვის იყენებენ, მაგალითად, როდესაც ტერორისტი უნდა მოაშორონ მძევალს, რომელიც მას თან ახლავს.

წოლით მდგომარეობაში საყრდენიდან სროლისას მსროლელი წევს მუცელზე. ტანი აქეთ-იქით რომ არ მოძრაობდეს, ფეხებით მიწას ეხება. ქუსლები მჭიდროდ ეკვრის მიწას. ქუსლებს შორის მანძილი მხრების სიგანეს 1,5-ჯერ აღემატება. როდესაც ქუსლები მჭიდროდ ეკვრის მიწას, იგი სხეულის უფრო მეტი ფართობით ეხება მიწას, ანუ მეტია საყრდენი ფართობი. გარდა ამისა, საბრძოლო ვითარებაში მიწიდან აცილებულ, აწეულ ქუსლს უმალ მოხვდება ნამსხვრევი ან ტყვია. თუ სხვაგვარად შეუძლებელია, დასაშვებია, მარჯვენა ფეხის ოდნავ მოხრა მუხლის და მენჯბარძაყის სახსარში. საყრდენზე მოთავსებული შაშხანა მსროლელის ხერხემლის ღერძისადმი გარკვეული კუთხით მდებარეობს, ისე, როგორც უფრო მოსახერხებელია მსროლელისთვის დამიზნება.

სროლის დროს ხერხემლის ღერძი არ უნდა იყოს გამრუდებული, ტანის კუნთები დაძაბული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხდება მუსკულატურის არასასურველი დაჭიმვა და ირღვევა ხელების სწორი მდებარეობა. ძნელდება სუნთქვა და მატულობს ტყვიების გაფანტვა. თუკი საჭიროა სროლის მიმართულების შეცვლა (შესწორება), მსროლელი ამას აკეთებს ფეხების გადაადგილებით მარჯვნივ ან მარცხნივ.

მსროლელის გულმკერდი აწეულია ისე, როგორც ამას მოითხოვს საყრდენის სიმაღლე. ამ დროს იგი ეყრდნობა მარცხენა იდაყვს იმისდა მიუხედავად, რა მდგომარეობა უკავია მარცხენა ხელის მტევანს.

არსებობს საყრდენიდან სროლის ორი ხერხი. პირველ შემთხვევაში შაშხანა თავისუფლად დევს საყრდენზე, მარცხენა ხელის მტევნით მსროლელი იჭერს კონდახს მხართან ახლოს, რითიც ის კონდახს ერთგვაროვან, მყარ მდგომარეობაში აჩერებს. სროლის ამ ხერხით სარგებლობენ მეტყვიამფრქვევეები ხელის ტყვიამფრქვევებიდან სროლისას. იგი ასევე რეკომენდებულია დამწყებთათვის, ვისაც უკვე გამომუშავებული აქვს დამიზნებისა და სასხლეტის გამოკვრის მყარი ჩვევა, მარცხენა ხელით იჭერენ შაშხანის სალულეს. ნებისმიერ შემთხვევაში შაშხანის დადება უშუალოდ მყარ საყრდენზე არ შეიძლება. შაშხანასა და საყრდენს შორის აუცილებლად უნდა მოთავსდეს რბილი საგანი — ქუდი, ხელთათმანი და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სროლის დროს იარაღის ვიბრაცია გამოიწვევს საყრდენზე შაშხანის ხტუნვას და ტყვია მაღლა წავა.

მაიორი ზურაბ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნისანს" შვილობილი „მოუხწოო"



# Infiniti FX45

INFINITI

**უკვე რამდენიმე თვეა, თბილისის ქუჩებში Infiniti FX45 გამოჩნდა. შავი, თითქმის იდეალურად მრგვალი მანქანა უფრო კოსმოსურ სატრანსპორტო საშუალებას წააგავს ვიდრე ჩვეულებრივ ავტომობილს.**

ქაღალდზე თითქოს ყველაფერი გასაგებადაა – 2003 წლის მოდელი ჩრდილოეთ ამერიკიდან, ფასი 85.000$-დან... მაგრამ, თავად ავტოს რომ შეხედავ, ნამდვილად ველარ გაიხსენებ, ვერც ძრავისა და ვერც ტრანსმისიის მონაცემებს (ფასზე პრინციპულად არაფერს ვამბობთ). საერთოდ, „ინფინიტი" განთქმულია თამამი




არსენალი
Infiniti FX45

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინფინიტი ლუქსის კლასში ღირსეულ კონკურენციას უწევს „მერსედესს", „ბე-ემ-ვე"-სა და „ლექსუსს"



თბილისში ჯერჯერობით მხოლოდ შავი FX-ები დაფიქსირდა




FX45-ის ძრავიც კოსმოსისა და შატლების შთაბეჭდილებას ტოვებს

დიზაინითა და მოწინავე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ალბათ ღირს იმის შეხსენება, რომ ეს ფირმა კომპანია „ნისანს" ეკუთვნის და 1989 წელს აშშ-ში შეიქმნა, რათა ლუქსის კლასში ღირსეული კონკურენცია გაეწია „მერსედესის", „ბე-ემ-ვე"-სა და „ლექსუსისთვის" (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, „ტოიოტას" შვილობილი კომპანიაა).

20-დუიმიან, დაბალპროფილიან საბურავებზე შესკუპებულ, მინიმალური დეკორით გაფორმებულ, თითქმის მონოლითური გარეგნობის მანქანას, თითქოს მუსკულატურაც კი ეტყობა. ეფექტი სალონში მოხვედრის მერე ძლიერდება, მით უფრო, რომ ამისთვის არც გასაღებისა და არც საკეტის ძებნა არ დაგჭირდებათ – მანქანა პატრონს სპეციალური გასაღები-ბრელოკის მეშვეობით „ცნობს" და მიახლოებულ მძღოლს საკეტს ავტომატურად უღებს.

სალონი ჩვეულებრივი არ გეგონოთ, სპორტული სუპერკუპესთვის დამახასიათებელი კოკპიტივითაა, უფრო ფართოა, ვიდრე გარედან შეიძლება მოგეჩვენოთ. ერგონომიული, უბრალოდ რომ ვთქვათ, ლამაზი სავარძლები, ღრმა ჯდომა, ვიწრო სარკმლები, პატარა სპორტული საჭე და ალუმინი... ალუმინი ყველგან, სიჩქარეთა გადასართველზე, პედლებზე...

ყველა სარეგულირებელი ღილაკი, როგორც წესი, საჭესთან არის განლაგებული. აქ მარტო საჭის სიმაღლე და კუთხე კი არა, მასთან ერთად, მონაცემთა პანელიც იცვლება. საინტერესოა, რომ

საპარლამენტო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლომდე დაწეული სავარძლიდან ტან-მორჩილი ადამიანიც მშვენივრად ხედავს კაპოტს, რაც ჩვენს დროში ძალიან იშვიათია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ FX45-ი უკვე მეორე წელიწადში გადავიდა, მანქანა ძალიან ჰგავს კონცეპტუალურ მოდელს. ინტერიერი არაფრით ჩამოუვარდება მის გარეგნულ მონაცემებს. ყველაფერი ისეა, როგორც ძვირად ღირებულ „გერმანელებში“.

X-ის დასაქოქადაც აღარ დაგჭირდებათ გასაღები. 4,5 ლიტრიანი V8 ჩვეულებრივი ღილაკით იქოქება და პიკური 315 ცხ.ძ-ის „გაცემა“ შეუძლია. ეს ძრავა უზრუნველყოფს სწრაფ აჩქარებას და ნებისმიერ რეჟიმში დამატებითი გაწევის რეზერვს. ავტომატი კარგად მუშაობს: არც „ნელიკოა“ და არც ისტერიული. პედალზე დაწოლის შემდეგ შეუმჩნევლად ყოვნდება, თითქოს გამოწმებსო და მერე კატაპულტირებას ახდენს...

საკიდარი საკმაოდ უხეში აქვს. ყველგანმავლისგან უფრო მეტ სირბილეს ელი. თუმცა... ამდენი ხანია ყველგანმავლობა საერთოდ არ გვიხსენებია და ალბათ, სწორედ იმიტომ, რომ ყველაზე ნაკლებად ჰგავს ამ ტიპის მანქანას. მართალია მას X5-ისა და ML-ის კონკურენტად მოიაზრებენ, მაგრამ გამავლობით ML-თან კი არა და, X5-თანაც ვერ მოდის. სოფლის გზები კიდევ შეიძლება აიტანოს, ტალახსა და ოღროჩოღროზე კი თქვენ თვითონაც არ მოგინდებათ მისი გაშვება... მაქსიმუმი, რაც შეუძლია, მაღალ ტროტუარზე უპრობლემოდ ასვლა-ჩასვლა და ერთი-ორი გუბის გადალახვაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ის ასფალტისთვის და სწრაფი ქროლვისთვისაა შექმნილი.


„ინფინიტიში“ სალონს ორნაირად აფორმებენ: მდიდრულად და... ძალიან მდიდრულად







ეროვნული ბიბლიოთეკა

# XXI საუკუნის სახელოვანი CZ

n8/27

## შეიძლებოდა ქართული არმიის შეიარაღებაში მოხვედრილიყო

**ჩვენი დოსიე:** ჩეხური პისტოლეტი CZ-G2000-ი 755 გ-ს იწონის, მისი სიგრძე 188 მმ-ია, საიდანაც 102 მმ-ი ლულაზე მოდის. სიგანე 33 მმ-ია, სიმაღლე 135 მმ. მჭიდში 9X19 PAR ტიპის 15 ვაზნა თავსდება. თბილისის იარაღის მაღაზიებში მისი ფასი 1000 დოლარამდე აღწევს.

2000 წელი, ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა, გამოფენა, სადაც NATO-ს წევრი ქვეყნები გამოფენაზე სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის ნიმუშებს უწევენ რეკლამას. ქართული მხარე პირველად ანახვებს NATO-ელ გენერლებს ჩვენ მიერ შექმნილ ჯავშანჟილეტებსა და შეიარაღების რამდენიმე სახეობას.

საღამოს ქართულ დელეგაციას, რომლის შემადგენლობაშიც ამ სტატიის ავტორიც გახლდათ, სპეციალურად ხვდებიან ცნობილი ჩეხური საიარაღო ფირმის CZ-ს





წარმომადგენლები და ქართული არმიისთვის ძალიან საინტერესო წინადადებას სთავაზობენ – უახლესი პისტოლეტების CZ-G 2000-ების შესყიდვას და თანაც ძალიან იაფად, დაახლოებით 200 დოლარად...

ასე შეიძლებოდა აღმოჩენილიყო ქართული არმიის, პოლიციის ოფიცრებისა და ზემდეგების შეიარაღებაში 21-ე საუკუნის პისტოლეტები, მაგრამ არც თავდაცვისა და არც შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებმა მაშინ არ გამოიჩინეს იოტისოდენი დაინტერესებაც ჩეხების ამ საინტერესო წინადადებით და კვლავ ბულგარული „მაკაროვების“ შესყიდვა განაგრძეს იმავე ფასად ან უფრო ძვირადაც. ამ გადაწყვეტილების ახსნა ასეც შეიძლება: უფრო მეტი თანხის „მოტეხვას“ ახერხებდნენ...

ასეა თუ ისე, ლეგენდარული „ჩე-ზე“-ები ქართველი ოფიცრების ხელში ვერ აღმოჩნდა, მაგრამ „არსენალმა“ აისრულა ხუთი წლის ოცნება და CZ-G 2000-ი თბილისში, ტირში გამოსცადა.

თავიდანვე ვიტყვი, CZ-G 2000-მა ყველა ის დადებითი თვისება შეინარჩუნა, რაც იარაღის სახელოვანი ოჯახის წარმომადგენლებს – CZ-75-ს, CZ-83-ს, CZ-85-სა და CZ-100-ს ახასიათებდა, ანუ საუკეთესო ერგონომიულობა და საიმედოობა.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან ახალი „ჩე-ზე“-ს კონსტრუქცია „ბრაუნინგის“ გავრცელებული სისტემის მორიგ მოდიფიცირებას წარმოადგენს.

ახალი „ჩე-ზე“ გამოირჩევა შედარებით მცირე მასით, რადგან მის კონსტრუქციაში გამოყენებულია გამძლე პლასტმასისგან დამზადებული ნაწილები. პისტოლეტის ტარი ხელში კარგად ზის,

თუმცა ვისაც დიდი ხელის მტევანი აქვს, შეიძლება მცირე დისკორმფორტი იგრძნოს. პისტოლეტის ჩარჩოს ზემოთ დასამიზნებელი მოწყობილობაზე სპეციალურად ფოსფორიანი წერტილებია დატანებული, რაც ცუდი განათების დროს აადვილებს დამიზნებას.

სროლისას უკუდარტყმა არც ისე დიდია. ყოველ შემთხვევაში TT-ზე ბევრად ნაკლებია, რაც არცაა გასაკვირი, რადგან TT-ს 7.62 მმ-კალიბრიანი ძლიერი ვაზნისგან განსხვავებით „ჩე-ზე“ 9X19 PAR ტიპის შედარებით ნაკლებიმპულსიან ვაზნებს „მოიხმარს“.

პისტოლეტის სროლა ორი ხელითაც საკმაოდ მოსახერხებელია. სასხლეტზე თითის გამოკვრისას შეყენებული ჩახმახის პირობებში 2.4 კგ ძალის დატანებაა საჭირო. თუ ჩახმახი დაშვებულია, მაშინ 4.9 კგ ძალის. ეს მონაცემები საბრძოლო იარაღისთვის არსებულ მოთხოვნებს შეესაბამება.

პისტოლეტის სიგანე 33 მმ-ია, რაც არც ისე ცოტაა და ვისაც მისი მუდმივი ტარება სურს ბუდის გარეშე ქამრის ქვეშ, გარკვეული დისკომფორტი მუდმივად ექნება.

პისტოლეტის ავტომატიკა ლულის მცირე გადაადგილების ხარჯზე მუშაობს. დამრტყმელ-დამშვები მექანიზმი ერთმაგი სახისაა სამოქალაქო მოდელისთვის და ორმაგი მოქმედების სამხედრო-პოლიციური მოდელისთვის, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ არმიისთვის განკუთვნილი CZ-G2000-ის ჩახმახის შეყენება შეიძლება როგორც ხელით, ისე სასხლეტის გამოწევით.

პისტოლეტს არ გააჩნია დამცველი, თუმცა მისი მოხმარების უსაფრთხოება ამით არ იკლებს — გასროლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი სასხლეტს ბოლომდე გამოჰკრავთ. შეყენებულჩახმახიანი და ლულაში ვაზნამიცემული პისტოლეტი მაშინაც არ გაისვრის, თუკი დაბლა დიდი სიმაღლიდან დააგდებ — ჩახმახის დაცემის მიუხედავად, გასროლა მანამდე არ მოხდება, თუკი სასხლეტს ბოლომდე არ მოსწევ.

სასხლეტის წინ პისტოლეტის კორპუსზე სპეციალური ღარებია დატანებული, რაც უზრუნველყოფს პისტოლეტზე ტაქტიკური ფარნის ან ლაზერული მიზნის მაჩვენებლის დაყენებას.

CZ-G 2000 პირველად 1999 წელს ფართო საზოგადოების წინაშე წარმოდგინეს. მისი წინამორბედია ჩეხური კომერციული ფირმა Arms Moravia, რომელიც მანამდე, ძირითადად, ძველებური ფილთა თოფების ძვირად ღირებულ ასლებს ამზადებდა. თუმცა ჩეხმა კონსტრუქტორებმა გარისკეს თანამედროვე ტექნოლოგიებითა და დიზაინით შექმნილი პისტოლეტის სერიული წარმოების დაწყება და არც შემცდარან, რადგან ამ შედარებით იაფიანი, მაგრამ თანამედროვე პისტოლეტის დიდი პარტიის შესყიდვის მსურველი მაშინვე გამოჩნდა ახლო აღმოსავლეთში. გერმანიაში კი ახალი „ჩე-ზე“-ს ექსპორტი CUG-2000-ის სახელით მიმდინარეობს.

თბილისში იარაღის მაღაზიებში CZ-G2000-ს მოძებნა არც ისე ადვილია და მისი გასაყიდი ფასი დაახლოებით ათას დოლარს უტოლდება.

*ირაკლი ალადაშვილი*

*მადლობას ვუცხადებთ ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზია-სალონ „17/21“-ს (სანაპიროს ქ.№2) პისტოლეტის გამოცდაში გაწეული დახმარებისთვის.*

*ფოტოზე — სააგენტო „შარმის“ მოდელი თეა პარწიკანაშვილი*





არსენალი
CZ-G2000
9mm Luger
CZ-G 2000